

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რომან სამხარაძე, ლია გაჩეჩილაძე

ტესტების კრებული საგანში „Transact-SQL ენა“



დამტკიცებულია:
დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუ-ს
„IT-კონსალტინგის“ სამეცნიერო ცენტრის
სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის მიერ
ოქმი N4, 5.02.2016

თბილისი
2016

UDC: 004.65

კრებულში წარმოდგენილია T-SQL ენისთვის შემუშავებული ტესტები. ტესტებში ასახულია SQL სერვერთან მუშაობის საფუძვლები, მონაცემთა ბაზებისა და ცხრილების მართვის საკითხები, ფუნქციებთან, შენახულ პროცედურებთან, ინდექსებთან, წარმოდგენებთან, კურსორებთან და ტრიგერებთან მუშაობის პრინციპები. განკუთვნილია „ინფორმატიკა“ საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრებისთვის.

რეცენზენტი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. სურგულაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი მ. კიკნაძე

პროფ. გ. სურგულაძის რედაქციით

რედკოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), მ. ახოზაძე, ზ. ბაიაშვილი, ზ. ბოსიკაშვილი,
ზ. გასიტაშვილი, გ. გოგიჩაიშვილი, მ. თევდორაძე, ე. თურქია, ლ. იმნაიშვილი,
თ. კაიშაური, რ. კაკუბავა, ჰ. მელაძე, თ. ლომინაძე, ნ. ლომინაძე, თ. ოზგაძე,
რ. სამხარაძე, გ. სურგულაძე, გ. ჩაჩანიძე, ა. ცინცაძე, გ. ძიძიგური, ზ. წვერაიძე

პროფ. გ. სურგულაძის რედაქციით

© სტუ-ს "IT-კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი", 2016

ISBN 978-9941-0-8559-8

<http://gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არც ერთი ფორმითა დასაშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლების დარღვევა კანონით ისჯება.

სარჩევი

თავი 1. მონაცემთა ბაზების თეორიული საფუძვლები.....	7
საინფორმაციო სისტემები.....	7
მონაცემთა ბაზები.....	7
მონაცემთა ბაზების მოდელები.....	9
მონაცემთა რელაციური ბაზები.....	12
ცხრილების ნორმალიზება.....	12
ცხრილებს შორის არსებული კავშირები.....	14
თავი 2. მონაცემთა ბაზები.....	19
მონაცემთა ბაზების არქიტექტურა და ობიექტები.....	19
სისტემური მონაცემთა ბაზები. ფაილები და ფაილების ჯგუფები.....	29
მონაცემთა ბაზების შექმნა, წაშლა და სახელის შეცვლა.....	33
მონაცემთა ბაზის მიერთება და გამორთვა. ინფორმაციის მიღება მონაცემთა ბაზების შესახებ.....	39
მონაცემთა მომხმარებლის ტიპის შექმნა.....	42
თავი 3. ცხრილები.....	45
ცხრილების დაპროექტება.....	45
ცხრილის შექმნა. ცხრილის წაშლა.....	50
ცხრილისათვის სახელის შეცვლა. ინფორმაციის მიღება ცხრილების შესახებ. დიაგრამები....	69
თავი 4. მონაცემების მართვა.....	74
Transact SQL-ის საფუძვლები.....	74
ცხრილში მონაცემების ჩამატება, შეცვლა და წაშლა.....	84
ცხრილიდან მონაცემების ამორჩევა. SELECT განყოფილება.....	92
WHERE განყოფილება. ლოგიკის ოპერატორები.....	96
LIKE ოპერატორი.....	101
აგრეგირების ფუნქციები.....	104
GROUP BY განყოფილება.....	106
HAVING განყოფილება.....	108
ORDER BY განყოფილება.....	109
COMPUTE განყოფილება.....	111
NULL მნიშვნელობასთან მუშაობა.....	113
მონაცემების მასობრივი გადაწერა.....	115
თავი 5. შეკრებილება.....	118
FROM განყოფილება.....	118
ჯვარედინი შეერთებები.....	121

შიდა შეერთებები. შიდა შეერთების სახეები. შედგენილი შეერთებები. შეერთებები უტოლობის შემთხვევაში. მრავალცხრილიანი შეერთებები.....	122
გარე შეერთებები.....	124
თავი 6. მმართველი კონსტრუქციები.....	127
BEGIN...END.....	127
IF...ELSE.....	128
CASE.....	129
COALESCE.....	129
WHILE...BREAK & CONTINUE.....	130
თავი 7. ქვემოთხოვნი.....	132
დამოუკიდებელი სკალარული ქვემოთხოვნი. დამოუკიდებელი ქვემოთხოვნი მრავლობითი მნიშვნელობებით.....	132
ბმული ქვემოთხოვნი.....	135
ლოგიკის ოპერატორები. ALL და ANY ოპერატორები.....	136
EXISTS ოპერატორი.....	139
თავი 8. ოპერაციები სიმრავლეებზე.....	141
შესავალი. UNION ოპერაცია.....	141
INTERSECT ოპერაცია.....	144
EXCEPT ოპერაცია.....	145
პრიორიტეტი.....	147
თავი 9. ფუნქციები.....	148
მომხმარებლის ფუნქციები.....	148
Scalar ტიპის ფუნქციები.....	149
Inline ტიპის ფუნქციები.....	152
Multi-statement ფუნქციები.....	153
ფუნქციის წაშლა.....	154
ჩადგმული ფუნქციები. მათემატიკის ფუნქციები.....	154
სტრიქონებთან სამუშაო ფუნქციები.....	157
თარიღებთან სამუშაო ფუნქციები.....	161
თავი 10. შენახული პროცედურები.....	164
შესავალი. შენახული პროცედურების ტიპები.....	164
შენახული პროცედურის შექმნა.....	167
შენახული პროცედურების მართვა. შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება. შენახული პროცედურის სახელის შეცვლა. შენახული პროცედურის წაშლა. შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულების მართვა.....	172
თავი 11. ინდექსები.....	174

შესავალი. ინდექსების გამოყენების დაგეგმვა	174
არაკლასტერული ინდექსი. კლასტერული ინდექსი. უნიკალური ინდექსი	175
შევსების ფაქტორი	178
ინდექსის შექმნა	180
ინდექსების მართვა. ინდექსისთვის სახელის შეცვლა. ინდექსის წაშლა. ინდექსების გადაწყობა. ინდექსის შესახებ ინფორმაციის მიღება	184
თავი 12. წარმოდგენები	189
შესავალი.....	189
წარმოდგენის შექმნა.....	192
წარმოდგენების მართვა. წარმოდგენის სახელის შეცვლა. წარმოდგენის წაშლა. წარმოდგენის შესახებ ინფორმაციის მიღება. წარმოდგენის დამოკიდებულებების ნახვა.....	194
თავი 13. კურსორები.....	196
შესავალი. კურსორების რეალიზება.....	196
კურსორის ტიპები. სტატიკური კურსორები. დინამიკური კურსორები. მიმდევრობითი კურსორები. საგასაღებო კურსორები.....	198
კურსორების მართვა	200
კურსორის შექმნა. კურსორის გახსნა	201
მონაცემების წაკითხვა	206
მონაცემების შეცვლა. მონაცემების წაშლა.....	210
კურსორის დახურვა. კურსორის გათავისუფლება.....	210
თავი 14. ტრანზაქციები და დაბლოკვები	212
შესავალი.....	212
ტრანზაქციების მართვა. აშკარა ტრანზაქციები. ავტომატური ტრანზაქციები. არააშკარა ტრანზაქციები. განაწილებული ტრანზაქციები	213
ჩადგმული ტრანზაქციები. ტრანზაქციებში აკრძალული Transact SQL-ის ბრძანებები	217
დაბლოკვების მართვა.....	218
თავი 15. ტრიგერები.....	221
შესავალი.....	221
ტრიგერის შექმნა. ტრიგერის წაშლა.....	223
ტრიგერების შექმნისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. ტრიგერების მართვა. ტრიგერის სახელის შეცვლა. ტრიგერის შესახებ ინფორმაციის მიღება.....	230
თავი 16. ცხრილური ბამოსახულებები.....	234
წარმოებული ცხრილები. სვეტებისთვის ფსევდონიმების მინიჭება. არგუმენტების გამოყენება. ჩადგმულობა. მრავლობითი მიმართვები.....	234
საერთო ცხრილური გამოსახულებები. სვეტებისთვის ფსევდონიმების დანიშვნა. არგუმენტების გამოყენება. რამდენიმე საერთო ცხრილური გამოსახულების განსაზღვრა. მრავლობითი მიმართვები	235

APPLY ოპერაცია	236
თავი 17. მონაცემების რეორგანიზაცია და დაჯგუფების ნაკრებები	237
მონაცემების გაშლა. მონაცემების გაშლა T-SQL ენის PIVOT ოპერაციის გამოყენებით	237
მონაცემების შეკვება. მონაცემების შეკვება სტანდარტული SQL ენის საშუალებით. შეკვება T-SQL-ის UNPIVOT ოპერაციის საშუალებით	238
დაჯგუფების ნაკრებები. GROUPING SETS ჩადგმული ელემენტი. CUBE ჩადგმული ელემენტი. ROLLUP ჩადგმული ელემენტი. GROUPING() და GROUPING_ID() ფუნქციები	238
თავი 18. მონაცემთა ბაზისის სარეზერვო ასლები	241
სარეზერვო ასლის ტიპები	241
დამგროვებლის არჩევა. მოწყობილობის განსაზღვრა სარეზერვო ასლის მოსათავსებლად ...	242
მონაცემთა ბაზის სრული და დიფერენცირებული ასლები	244
სრული და დიფერენცირებული სარეზერვო ასლების შექმნა	246
სრული და დიფერენცირებული სარეზერვო ასლიდან აღდგენა	247
თავი 19. უსაფრთხოების სისტემა	249
უფლებამოსილების გამიჯვნის წესები	249
სერვერის უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურა. აუტენტიფიცირების რეჟიმები. Windows NT-ის აუტენტიფიცირების რეჟიმი. სერვერის აუტენტიფიცირების რეჟიმი	251
უსაფრთხოების სისტემის ელემენტები	255
სქემები	256
მომხმარებლები	260
სერვერის როლები. მონაცემთა ბაზის როლები	262
უსაფრთხოების სისტემის ადმინისტრირება. სააღრიცხვო ჩანაწერების შექმნა და მართვა ...	265
მიმართვის უფლებები. მონაცემთა ბაზის ობიექტებთან მიმართვის უფლებები	266
Transact-SQL-ის ბრძანებების შესრულების უფლებები	270
არაცხადი უფლებები	271
მიმართვის აკრძალვა	273
მიმართვის არაცხადი უარყოფა	274
დანართი. ტესტების პასუხები	276
ლიტერატურა	291

თავი 1. მონაცემთა ბაზების თეორიული საფუძვლები

საინფორმაციო სისტემები

1.1.1. საინფორმაციო სისტემა არის:

- ა. სტრუქტურირებული მონაცემებისა და აპარატურულ-პროგრამული საშუალებების ერთობლიობა
- ბ. მხოლოდ აპარატურულ-პროგრამული საშუალებების ერთობლიობა
- გ. მხოლოდ სტრუქტურირებული მონაცემების ერთობლიობა

1.1.2. არსებობს საინფორმაციო სისტემების:

- ა. 3 კლასი
- ბ. 2 კლასი
- გ. 1 კლასი

1.1.3. საინფორმაციო-სამეზნი საინფორმაციო სისტემები ორიენტირებულია:

- ა. მონაცემების ჩამატებაზე
- ბ. მონაცემების ცვლილებაზე
- გ. მონაცემების ძებნასა და მიღებაზე

1.1.4. მონაცემების დამუშავების სისტემები ორიენტირებულია:

- ა. მონაცემების ძებნაზე
- ბ. მონაცემების დამუშავებასა და დამუშავებული მონაცემების მიღებაზე
- გ. მონაცემების მიღებაზე

1.1.5. საინფორმაციო სისტემა შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ა. მხოლოდ ინფორმაციის შეტანა, ცვლილება და შენახვა
- ბ. ინფორმაციის ნახვა და ძებნა
- გ. მხოლოდ ინფორმაციის ამორჩევა გარკვეული კრიტერიუმის მიხედვით

1.1.6. საინფორმაციო სისტემა შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ა. ანგარიშების ფორმირება
- ბ. მხოლოდ ინფორმაციის ნახვა და ძებნა
- გ. მხოლოდ ინფორმაციის სისწორის შემოწმება

მონაცემთა ბაზები

1.2.1. მონაცემთა ბაზა არის გარკვეული საგნობრივი სფეროს ობიექტების შესახებ:

- ა. მონაცემების მოწესრიგებული ერთობლიობა
- ბ. მონაცემების დახარისხებული ერთობლიობა
- გ. მონაცემების მოუწესრიგებელი ერთობლიობა

1.2.2. მონაცემთა ბაზასთან მუშობა შეიძლება:

- ა. ნებისმიერი პროგრამის საშუალებით
- ბ. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის საშუალებით
- გ. საფაილო სისტემის საშუალებით

1.2.3. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა არის:

- ა. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება პროგრამების დასაპროექტებლად
- ბ. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მონაცემების გარდასაქმნელად
- გ. პროგრამული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა მონაცემთა ბაზის შესაქმნელად და მასში მოთავსებულ ობიექტებზე მანიპულირებისათვის

1.2.4. მონაცემთა ბაზა შეიძლება იყოს:

- ა. განაწილებული ან ცენტრალიზებული
- ბ. მხოლოდ განაწილებული
- გ. მხოლოდ ცენტრალიზებული

1.2.5. მონაცემთა განაწილებული ბაზის ნაწილები განთავსებულია:

- ა. მხოლოდ ერთ კომპიუტერზე
- ბ. არსად არ არის განლაგებული
- გ. სხვადასხვა კომპიუტერზე

1.2.6. მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა მოთავსებულია:

- ა. ერთ კომპიუტერზე
- ბ. რამდენიმე კომპიუტერზე
- გ. არსად არ არის მოთავსებული

1.2.7. არქიტექტურის მიხედვით მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზა შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ ფაილ-სერვერი
- ბ. ფაილ-სერვერი ან კლიენტ-სერვერი
- გ. მხოლოდ კლიენტ-სერვერი

1.2.8. ფაილ-სერვერული არქიტექტურის შემთხვევაში:

- ა. მონაცემების დამუშავება სერვერზე სრულდება
- ბ. მონაცემების დამუშავება ლოკალურ კომპიუტერზე სრულდება
- გ. მონაცემების დამუშავება არ სრულდება

1.2.9. ფაილ-სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებია:

- ა. Microsoft Access და Paradox for Windows
- ბ. Microsoft SQL Server და Microsoft Access
- გ. Microsoft SQL Server და Oracle

1.2.10. კლიენტ-სერვერული არქიტექტურის შემთხვევაში მონაცემთა ბაზა მოთავსებულია:

- ა. ლოკალურ კომპიუტერზე
- ბ. არსად არ არის მოთავსებული
- გ. სერვერი

1.2.11. სისტემა, რომელიც იყენებს კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიას, შედგება:

- ა. მხოლოდ კლიენტის ნაწილისაგან
- ბ. მხოლოდ სერვერის ნაწილისაგან

გ. კლიენტის ნაწილისაგან და სერვერის ნაწილისაგან

1.2.12. კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიაში:

ა. კლიენტის ნაწილი არ უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და არ იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე

ბ. კლიენტის ნაწილი უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე

გ. კლიენტის ნაწილი უზრუნველყოფს გრაფიკულ ინტერფეისს და არ იმყოფება მომხმარებლის კომპიუტერზე

1.2.13. კლიენტ-სერვერულ ტექნოლოგიაში:

ა. სერვერის ნაწილი მოთავსებულია სერვერზე და უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას

ბ. სერვერის ნაწილი მოთავსებული არ არის სერვერზე და უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას

გ. სერვერის ნაწილი მოთავსებული არ არის სერვერზე და არ უზრუნველყოფს მონაცემების მართვას, დანაწილებას, ადმინისტრირებასა და უსაფრთხოებას

1.2.14. კლიენტ-სერვერული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებია:

ა. Microsoft SQL Server და Microsoft Access

ბ. Microsoft SQL Server და Oracle

გ. Microsoft Access და Microsoft Visual FoxPro

1.2.15. კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიისათვის:

ა. არ არის დამახასიათებელი SQL ენის გამოყენება

ბ. დამახასიათებელია C# ენის გამოყენება

გ. დამახასიათებელია SQL ენის გამოყენება

მონაცემთა ბაზების მოდელები

1.3.1. მონაცემების მოდელი:

ა. არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა

ბ. არ არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა

გ. არის ცხრილებისა და ინდექსების ერთობლიობა

1.3.2. მონაცემების მოდელის მიხედვით:

ა. შეუძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა

ბ. შესაძლებელია მხოლოდ ობიექტების სტრუქტურის წარმოდგენა

გ. შესაძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა

1.3.3. არსობობს მონაცემების:

ა. მხოლოდ რელაციური მოდელი

ბ. იერარქიული, ქსელური და რელაციური მოდელები

გ. მხოლოდ ქსელური მოდელი

- 1.3.4. მონაცემთა ბაზა შეიძლება იყოს:
- ა. მხოლოდ რელაციური
 - ბ. იერარქიული, ქსელური და რელაციური
 - გ. მხოლოდ ქსელური
- 1.3.5. მონაცემების იერარქიული მოდელის თითოეული ელემენტი:
- ა. სხვა ელემენტებს წარმოქმნის
 - ბ. სხვა ელემენტებს არ წარმოქმნის
 - გ. ინდექსებს წარმოქმნის
- 1.3.6. მონაცემების იერარქიული მოდელის ნებისმიერ წარმოქმნილ ელემენტს აქვს:
- ა. მხოლოდ ერთი წარმომქმნელი ელემენტი
 - ბ. რამდენიმე წარმომქმნელი ელემენტი
 - გ. მხოლოდ ორი წარმომქმნელი ელემენტი
- 1.3.7. მონაცემების იერარქიული მოდელის ნაკლია ის, რომ:
- ა. ხანდახან შესაძლებელია იერარქიის შეცვლა
 - ბ. შესაძლებელია შემუშავებული იერარქიის შეცვლა
 - გ. შეუძლებელია შემუშავებული იერარქიის შეცვლა
- 1.3.8. ქსელური მოდელის წარმოქმნილ ელემენტს:
- ა. არ შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი წარმომქმნელი ელემენტი
 - ბ. შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი წარმომქმნელი ელემენტი
 - გ. შეიძლება ჰქონდეს ერთი წარმომქმნელი ელემენტი
- 1.3.9. ქსელურ მოდელის ნაკლია ის, რომ:
- ა. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშავოთ, არ უნდა ვიცოდეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა
 - ბ. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშავოთ, უნდა ვიცოდეთ ტრიგერის სტრუქტურა
 - გ. იმისათვის, რომ მონაცემები დავამუშავოთ, უნდა ვიცოდეთ მონაცემთა ბაზის სტრუქტურა
- 1.3.10. მონაცემების რელაციური მოდელის შემთხვევაში:
- ა. მონაცემების წარმოდგენა ხდება ორგანზომილებიანი ცხრილის სახით
 - ბ. მონაცემების წარმოდგენა ხდება სამგანზომილებიანი მასივის სახით
 - გ. მონაცემების წარმოდგენა ხდება ერთგანზომილებიანი მასივის სახით
- 1.3.11. მარტივ შემთხვევაში, რელაციური მოდელი აღწერს:
- ა. ერთ ერთგანზომილებიან ცხრილს
 - ბ. ერთ ორგანზომილებიან ცხრილს
 - გ. ერთ სამგანზომილებიან ცხრილს
- 1.3.12. ხშირ შემთხვევაში, რელაციური მოდელი:
- ა. არ აღწერს არაფერს
 - ბ. აღწერს ერთი ცხრილის სტრუქტურასა და მის შორის კავშირებს

გ. აღწერს რამდენიმე ცხრილის სტრუქტურასა და მათ შორის კავშირებს

1.3.13. რელაციური არის მონაცემთა ისეთი ბაზა, რომელშიც მონაცემები წარმოდგენილია:

- ა. სწორკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილების სახით
- ბ. სამკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილების სახით
- გ. ორკუთხა ორგანზომილებიანი ცხრილების სახით

1.3.14. მონაცემთა ბაზის შიგნით ცხრილის სახელი:

- ა. შეიძლება გამოვრდეს
- ბ. არ არის უნიკალური
- გ. უნიკალურია

1.3.15. ცხრილი შედგება:

- ა. მხოლოდ სტრიქონებისაგან
- ბ. სტრიქონებისა და სვეტებისაგან
- გ. მხოლოდ სვეტებისაგან

1.3.16. ცხრილი შეიცავს ინფორმაციას:

- ა. ორტიპური ობიექტების შესახებ
- ბ. მრავალტიპური ობიექტების შესახებ
- გ. ერთტიპური ობიექტების შესახებ

1.3.17. ცხრილის სტრიქონი შეიცავს ინფორმაციას:

- ა. კონკრეტული ობიექტის შესახებ
- ბ. არაკონკრეტული ობიექტის შესახებ
- გ. სხვადასხვა ობიექტის შესახებ

1.3.18. ცხრილის თითოეული სვეტი:

- ა. წარმოადგენს ობიექტების კონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობას
- ბ. არ წარმოადგენს ობიექტების კონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობას
- გ. წარმოადგენს ობიექტების არაკონკრეტული ატრიბუტის მნიშვნელობების ერთობლიობას

1.3.19. თითოეულ სვეტს აქვს:

- ა. მხოლოდ სახელი
- ბ. სახელი და ტიპი
- გ. მხოლოდ ტიპი

1.3.20. ერთი ცხრილის სვეტებს:

- ა. ერთნაირი სახელები უნდა ჰქონდეს
- ბ. სხვადასხვა სახელები არ უნდა ჰქონდეს
- გ. სხვადასხვა სახელები უნდა ჰქონდეს

1.3.21. სხვადასხვა ცხრილებს:

- ა. არ შეიძლება ერთნაირი სახელის მქონე სვეტები ჰქონდეთ
- ბ. აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა სახელები
- გ. შეიძლება ერთნაირი სახელის მქონე სვეტები ჰქონდეთ

1.3.22. ცხრილის სტრიქონებს სახელები:

- ა. არ აქვთ
- ბ. აქვთ
- გ. ხანდახან აქვთ

მონაცემთა რელაციური ბაზები

1.4.1. მონაცემთა რელაციური ბაზა:

- ა. არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცხრილების ერთობლიობა
- ბ. არ არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცხრილების ერთობლიობა
- გ. არის ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი ცხრილების ერთობლიობა

1.4.2. მონაცემთა ბაზაში თითოეულ ცხრილს:

- ა. არ უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისაგან
- ბ. უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისაგან
- გ. უნდა ჰქონდეს უნიკალური სახელი და არ უნდა შედგებოდეს ერთტიპური სტრიქონებისაგან

1.4.3. სტრიქონის ერთ სვეტში მოთავსებული უნდა იყოს:

- ა. მხოლოდ ორი მნიშვნელობა
- ბ. მხოლოდ ერთი მნიშვნელობა
- გ. მხოლოდ სამი მნიშვნელობა

1.4.4. ცხრილში:

- ა. უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი ორი სტრიქონი
- ბ. უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი სამი სტრიქონი
- გ. არ უნდა იყოს ზუსტად ერთნაირი ორი სტრიქონი

1.4.5. სტრიქონები უნდა განსხვავდებოდეს:

- ა. სამი სვეტის მნიშვნელობით მაინც
- ბ. ორი სვეტის მნიშვნელობით მაინც
- გ. ერთი სვეტის მნიშვნელობით მაინც

ცხრილების ნორმალიზება

1.5.1. მონაცემთა ბაზის დაპროექტების მიზნებია:

- ა. მონაცემების სიჭარბის არგამორიცხვა
- ბ. ცხრილების რაოდენობის მაქსიმუმამდე დაყვანა
- გ. მონაცემთა ბაზაში საჭირო მონაცემების შენახვის უზრუნველყოფა, მონაცემების სიჭარბის გამორიცხვა და ცხრილების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა

1.5.2. ცხრილების ნორმალიზება არის:

- ა. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ორგანოზომილებიანი ცხრილების სახით

- ბ. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი სამგანზომილებიანი ცხრილების სახით
- გ. მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ერთგანზომილებიანი ცხრილების სახით

1.5.3. ნორმალიზების მიზანია:

- ა. ცხრილების რაოდენობის მაქსიმუმამდე დაყვანა
- ბ. მონაცემების სიჭარბის გამორიცხვა
- გ. ცხრილების გადაწერა

1.5.4. ნორმალიზების მიზანია:

- ა. მონაცემების წინააღმდეგობრიობის გამორიცხვა
- ბ. მონაცემების არაწინააღმდეგობრიობის გამორიცხვა
- გ. მონაცემების წინააღმდეგობრიობის არგამორიცხვა

1.5.5. არსებობს ცხრილის ნორმალიზების:

- ა. სამი ფორმა
- ბ. ექვსი ფორმა
- გ. შვიდი ფორმა

1.5.6. ცხრილი იმყოფება პირველ ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

- ა. არ შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შედგენილ მნიშვნელობებს
- ბ. შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შედგენილ მნიშვნელობებს
- გ. შეიცავს გამეორებად სვეტებს და სვეტების შეუდგენელ მნიშვნელობებს

1.5.7. პირველ ნორმალურ ფორმაში მყოფ ცხრილს:

- ა. უნივერსალურ ცხრილს არ უწოდებენ
- ბ. ფიზიკურ ცხრილს უწოდებენ
- გ. უნივერსალურ ცხრილს უწოდებენ

1.5.8. ცხრილი იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

- ა. აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, შეიცავს ერთ ან მეტ სვეტს, რომლებიც ქმნიან პირველად გასაღებს თითოეული სტრიქონისათვის და ყველა ის სვეტი, რომელიც შედის პირველად გასაღებში, პირველად გასაღებთან დაკავშირებულია სრული ფუნქციონალური დამოკიდებულებით
- ბ. არ აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს
- გ. აკმაყოფილებს პირველი ნორმალური ფორმის მოთხოვნებს, შეიცავს ერთ ან მეტ სვეტს, რომლებიც ქმნიან პირველად გასაღებს თითოეული სტრიქონისათვის და ყველა ის სვეტი, რომელიც არ შედის პირველად გასაღებში, პირველად გასაღებთან დაკავშირებულია სრული ფუნქციონალური დამოკიდებულებით

1.5.9. თუ ცხრილს აქვს მარტივი პირველადი გასაღები, რომელიც მხოლოდ ერთი სვეტისაგან შედგება, მაშინ ის:

- ა. ავტომატურად იმყოფება პირველ ნორმალურ ფორმაში
- ბ. ავტომატურად იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში
- გ. ავტომატურად არ იმყოფება მეორე ნორმალურ ფორმაში

1.5.10. ცხრილი იმყოფება მესამე ნორმალურ ფორმაში მაშინ, როცა ის:

ა. აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს და მისი არც ერთი არასაგასაღებო სვეტი ფუნქციონალურად არ არის დამოკიდებული სხვა ნებისმიერ არასაგასაღებო სვეტზე

ბ. არ აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს

გ. აკმაყოფილებს მეორე ნორმალური ფორმის მოთხოვნებს და მისი ყველა არასაგასაღებო სვეტი ფუნქციონალურად არ არის დამოკიდებული სხვა ნებისმიერ არასაგასაღებო სვეტზე

1.5.11. მესამე ნორმალური ფორმის მოთხოვნა დაიყვანება იმაზე, რომ:

ა. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე და იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე

ბ. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე

გ. ყველა არასაგასაღებო სვეტი დამოკიდებული იყოს მხოლოდ პირველად გასაღებზე და არ იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე

ცხრილებს შორის არსებული კავშირები

1.6.1. ორ ცხრილს შორის კავშირის დამყარების დროს:

ა. ორივე მთავარია

ბ. ერთი არის მთავარი (მშობელი), მეორე კი - დამოკიდებული (შვილობილი)

გ. ორივე დამოკიდებულია

1.6.2. ორ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად:

ა. მთავარი ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს

ბ. დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება მთავარი ცხრილის გარე გასაღებს

გ. დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს

1.6.3. პირველადი გასაღები:

ა. ცალსახად არ განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში

ბ. ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში

გ. ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სვეტს ცხრილში

1.6.4. პირველადი გასაღები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა. უნიკალურობა და მინიმალურობა

ბ. მხოლოდ უნიკალურობა

გ. მხოლოდ მინიმალურობა

1.6.5. უნიკალურობა იმას ნიშნავს, რომ:

ა. ცხრილში უნდა იყოს ორი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნებათ

ბ. ცხრილში არ უნდა იყოს სამი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნებათ

გ. ცხრილში არ უნდა იყოს ორი ისეთი სტრიქონი, რომლებსაც პირველადი გასაღების ერთნაირი მნიშვნელობები ექნებათ

1.6.6. მინიმალურობა იმას ნიშნავს, რომ:

- ა. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება არ უნდა იწვევდეს გასაღების უნიკალურობის დარღვევას
- ბ. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება უნდა იწვევდეს გასაღების უნიკალურობის დარღვევას
- გ. პირველად გასაღებში შემავალი სვეტებიდან ნებისმიერის გამოკლება უნდა იწვევდეს გასაღების უნიკალურობის დაურღვევლობას

1.6.7. პირველადი გასაღები არ უნდა შეიცავდეს ისეთ სვეტს, რომლის მოცილების შემდეგ გასაღები:

- ა. ისევ უნიკალური დარჩება
- ბ. ისევ უნიკალური არ დარჩება
- გ. ისევ არაუნიკალური დარჩება

1.6.8. პირველადი გასაღები:

- ა. უნდა შეიცავდეს ცხრილის მხოლოდ ერთ სვეტს
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს ცხრილის ერთ ან მეტ სვეტს
- გ. შეიძლება შეიცავდეს ცხრილის ერთ ან მეტ სვეტს

1.6.9. პირველად გასაღებში შემავალმა:

- ა. არც ერთმა სვეტმა არ უნდა მიიღოს განუსაზღვრელი მნიშვნელობა
- ბ. ყველა სვეტმა უნდა მიიღოს განუსაზღვრელი მნიშვნელობა
- გ. არც ერთმა სვეტმა არ უნდა მიიღოს განსაზღვრული მნიშვნელობა

1.6.10. გარე გასაღები (FOREIGN KEY) იქმნება:

- ა. მთავარ ცხრილში
- ბ. დამოკიდებულ ცხრილში
- გ. როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ცხრილში

1.6.11. გარე გასაღები შეიძლება შედგებოდეს:

- ა. მხოლოდ ერთი სვეტისგან
- ბ. არც ერთი სვეტისგან
- გ. ერთი ან მეტი სვეტისაგან

1.6.12. გარე გასაღების მნიშვნელობა:

- ა. ყოველთვის უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან არ უნდა იყოს განუსაზღვრელი
- ბ. ყოველთვის არ უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან უნდა იყოს განუსაზღვრელი
- გ. ყოველთვის უნდა არსებობდეს მთავარ ცხრილში ან უნდა იყოს განუსაზღვრელი

1.6.13. მთავარი ცხრილის რომელიმე სტრიქონის პირველადი გასაღების მნიშვნელობა:

- ა. შეიძლება იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის ყველა სტრიქონთან
- ბ. შეიძლება იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის არც ერთ სტრიქონთან
- გ. შეიძლება არ იყოს დაკავშირებული დამოკიდებულებული ცხრილის არც ერთ სტრიქონთან

1.6.14. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლისას არსებობს:

- ა. დამოკიდებული ცხრილის ქცევის სამი ვარიანტი
- ბ. დამოკიდებული ცხრილის ქცევის ორი ვარიანტი
- გ. დამოკიდებული ცხრილის ქცევის ერთი ვარიანტი

1.6.15. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლისას არსებობს დამოკიდებული ცხრილის ქცევის შემდეგი ვარიანტები:

- ა. მხოლოდ კასკადირება
- ბ. კასკადირება, შეზღუდვა და დაყენება
- გ. მხოლოდ შეზღუდვა

1.6.16. კასკადირების დროს:

- ა. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობების შეცვლისას სრულდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღების შესაბამისი მნიშვნელობების ცვლილება. ხდება ყველა არსებული კავშირების შენარჩუნება
- ბ. მთავარ ცხრილში პირველადი გასაღების მნიშვნელობების შეცვლისას არ სრულდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღების შესაბამისი მნიშვნელობების ცვლილება
- გ. არ ხდება ყველა არსებული კავშირების შენარჩუნება

1.6.17. შეზღუდვის დროს:

- ა. დაუშვებელია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც არ არის დაკავშირებული დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან
- ბ. დასაშვებია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც დაკავშირებულია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან
- გ. დაუშვებელია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც დაკავშირებულია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან. დასაშვებია პირველადი გასაღების იმ მნიშვნელობების შეცვლა, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამოკიდებული ცხრილის სტრიქონებთან

1.6.18. დაყენების დროს:

- ა. ინფორმაცია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონების კავშირის შესახებ არ იკარგება
- ბ. პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლის დროს გარე გასაღები იღებს განსაზღვრულ მნიშვნელობას
- გ. პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლის დროს გარე გასაღები იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას (NULL). ინფორმაცია დამოკიდებული ცხრილის სტრიქონების კავშირის შესახებ იკარგება

1.6.19. მთავარი ცხრილის სტრიქონის წაშლისას არსებობს დამოკიდებული ცხრილის ქცევის შემდეგი ვარიანტები:

- ა. მხოლოდ კასკადირება
- ბ. კასკადირება, შეზღუდვა და დაყენება
- გ. მხოლოდ დაყენება

1.6.20. კასკადირების დროს:

- ა. დამოკიდებულ ცხრილში სტრიქონების წაშლისას სრულდება მთავარი ცხრილის შესაბამისი სტრიქონების წაშლა
- ბ. მთავარ ცხრილში სტრიქონების წაშლისას არ სრულდება დამოკიდებული ცხრილის

შესაბამისი სტრიქონების წაშლა

გ. მთავარ ცხრილში სტრიქონების წაშლისას სრულდება დამოკიდებული ცხრილის შესაბამისი სტრიქონების წაშლა

1.6.21. შეზღუდვის დროს:

ა. დასაშვებია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც არ აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაშლის ოპერაცია არ შესრულდება

ბ. დაუშვებელია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც არ აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში

გ. დასაშვებია მთავარი ცხრილის მხოლოდ იმ სტრიქონების წაშლა, რომლებსაც აქვთ ბმული სტრიქონები დამოკიდებულ ცხრილში

1.6.22. დაყენების დროს:

ა. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები არ იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას

ბ. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები იღებს განსაზღვრულ მნიშვნელობას

გ. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის დროს დამოკიდებულ ცხრილში შესაბამისი გარე გასაღები იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას (NULL)

1.6.23. ორ ცხრილს შორის დამყარებულია „ერთი-ერთთან“ კავშირი:

ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებული არ არის მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან რამდენიმე სტრიქონთან

1.6.24. „ერთი-ერთთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. ორივე სვეტი არის პირველადი გასაღები ან ორივე სვეტს აქვს უნიკალურობის შეზღუდვა

ბ. ორივე სვეტი არ არის პირველადი გასაღები

გ. ორივე სვეტს არ აქვს უნიკალურობის შეზღუდვა

1.6.25. „ერთი-ერთთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში, როცა:

ა. არ გვინდა ბევრი სვეტის მქონე ცხრილის დაყოფა

ბ. არ გვინდა ცხრილის ნაწილის იზოლირება უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე

გ. გვინდა ბევრი სვეტის მქონე ცხრილის დაყოფა, ცხრილის ნაწილის იზოლირება უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე და ა.შ.

1.6.26. „ერთი-ბევრთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში:

ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის მხოლოდ ერთ სტრიქონთან

ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში

დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის რამდენიმე სტრიქონთან გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებული არ არის მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან

1.6.27. „ბევრი-ბევრთან“ კავშირი იქმნება იმ შემთხვევაში:

ა. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და მეორე ცხრილის ნებისმიერი სტრიქონი დაკავშირებულია პირველის ცხრილის მხოლოდ ერთ სტრიქონთან

ბ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ, ერთ ან მეტ სტრიქონთან და პირიქით

გ. თუ პირველი (მთავარი) ცხრილის კონკრეტული სტრიქონი დროის ნებისმიერ მომენტში დაკავშირებულია მეორე (დამოკიდებული) ცხრილის ნულ (არც ერთ) ან ერთ სტრიქონთან

თავი 2. მონაცემთა ბაზები

მონაცემთა ბაზების არქიტექტურა და ობიექტები

- 2.1.1. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა შეიძლება იყოს:
- ა. მხოლოდ ლოგიკური
 - ბ. მხოლოდ ფიზიკური
 - გ. ლოგიკური და ფიზიკური
- 2.1.2. მონაცემთა ბაზის ლოგიკური სტრუქტურა მოიცავს:
- ა. მხოლოდ ცხრილების სტრუქტურას
 - ბ. ცხრილების სტრუქტურას, მათ შორის კავშირებს, მომხმარებლებების სიას, შენახულ პროცედურებს და მონაცემთა ბაზის სხვა ობიექტებს
 - გ. მხოლოდ ცხრილებს შორის კავშირებს
- 2.1.3. მონაცემთა ბაზის ფიზიკური სტრუქტურა:
- ა. მოიცავს მონაცემთა ბაზის ფაილებისა და ტრანზაქციების ჟურნალის აღწერას, მათ საწყის ზომას, ნაზარდის ზომას, მაქსიმალურ ზომას, კონფიგურირების პარამეტრებს და ა.შ.
 - ბ. არ მოიცავს მონაცემთა ბაზის ფაილებისა და ტრანზაქციების ჟურნალის აღწერას, მათ საწყის ზომას, ნაზარდის ზომას, მაქსიმალურ ზომას, კონფიგურირების პარამეტრებს და ა.შ.
 - გ. მოიცავს მონაცემთა ბაზის ლოგიკურ სტრუქტურას
- 2.1.4. მონაცემთა ბაზების ობიექტებია:
- ა. მხოლოდ ცხრილები
 - ბ. ცხრილები, შენახული პროცედურები, ტრიგერები, წარმოდგენები, ინდექსები, მომხმარებლების ტიპები, მომხმარებლების ფუნქციები
 - გ. მხოლოდ ცხრილები და ინდექსები
- 2.1.5. მონაცემთა ბაზის ობიექტებიდან საკუთრივ მონაცემებს შეიცავს მხოლოდ:
- ა. ცხრილი
 - ბ. ტრიგერი
 - გ. წარმოდგენა
- 2.1.6. ცხრილის ზოგიერთი სვეტი შეიძლება იყოს:
- ა. გამოთვლადი
 - ბ. წარმოდგენა
 - გ. პირობითი
- 2.1.7. გამოთვლად სვეტებში მიეთითება:
- ა. წარმოდგენა
 - ბ. ფორმულა
 - გ. პირობა
- 2.1.8. სისტემური ცხრილები შეიცავს:
- ა. ინფორმაციას მხოლოდ ტრიგერებისა და ინდექსების შესახებ
 - ბ. სერვერის მუშაობისათვის არასაჭირო ინფორმაციას
 - გ. სერვერის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციას

2.1.9. დროებითი ცხრილები განკუთვნილია:

- ა. მონაცემების გლობალურად შესანახად
- ბ. მონაცემების ხანგრძლივად შესანახად
- გ. მონაცემების დროებით შესანახად

2.1.10. დროებითი ცხრილები მოთავსებულია:

- ა. model სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- ბ. tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში
- გ. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში

2.1.11. თუ დროებითი ცხრილის შექმნის დროს აშკარად მივუთითებთ მონაცემთა ბაზის სახელს, რომელშიც ის უნდა შეიქმნას, მაშინ:

- ა. ცხრილი tempdb სისტემურ მონაცემთა ბაზაში შეიქმნება
- ბ. ცხრილი master სისტემურ მონაცემთა ბაზაში შეიქმნება
- გ. ცხრილი მომხმარებლის მონაცემთა ბაზაში შეიქმნება

2.1.12. დროებითი ცხრილი:

- ა. არ არის ლოკალური და გლობალური
- ბ. არის მხოლოდ ლოკალური
- გ. არის ლოკალური და გლობალური

2.1.13. დროებითი ცხრილები ავტომატურად:

- ა. არ იშლება შეერთების დახურვის დროს
- ბ. იშლება შეერთების დახურვის დროს
- გ. იშლება შეერთების გახსნის დროს

2.1.14. ლოკალური დროებითი ცხრილის სახელი:

- ა. ერთი # სიმბოლოთი იწყება
- ბ. ორი # სიმბოლოთი იწყება
- გ. # სიმბოლოთი არ იწყება

2.1.15. ლოკალური დროებითი ცხრილები:

- ა. ხილულია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი არ შეიქმნა
- ბ. უხილავია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი შეიქმნა
- გ. ხილულია, მხოლოდ იმ შეერთების შიგნით, რომელშიც ისინი შეიქმნა

2.1.16. შეერთების დახურვის დროს:

- ა. ლოკალური დროებითი ცხრილი ავტომატურად იშლება
- ბ. ლოკალური დროებითი ცხრილი ავტომატურად არ იშლება
- გ. ლოკალური დროებითი ცხრილი ხანდახან ავტომატურად არ იშლება

2.1.17. თუ ლოკალური დროებითი ცხრილი შეიქმნა შენახული პროცედურის მუშაობის დროს, მაშინ ამ პროცედურიდან გამოსვლის შემდეგ:

- ა. ცხრილი ავტომატურად არ წაიშლება
- ბ. ცხრილი ავტომატურად წაიშლება

გ. ცხრილი არავტომატურად წაიშლება

2.1.18. გლობალური დროებითი ცხრილის სახელი:

- ა. # სიმბოლოებით არ იწყება
- ბ. ## სიმბოლოებით არ იწყება
- გ. ## სიმბოლოებით იწყება

2.1.19. გლობალური დროებითი ცხრილის შესაქმნელად:

- ა. საკმარისია ცხრილის სახელის წინ ## სიმბოლოების მითითება
- ბ. არ არის საკმარისი ცხრილის სახელის წინ ## სიმბოლოების მითითება
- გ. საკმარისია ცხრილის სახელის წინ # სიმბოლოს მითითება

2.1.20. გლობალურ ცხრილზე მიმართვა:

- ა. არ შეგვიძლია ნებისმიერი შერთებიდან
- ბ. შეგვიძლია ნებისმიერი შერთებიდან
- გ. დაუშვებელია ნებისმიერი შერთებიდან

2.1.21. დროებითი გლობალური ცხრილები:

- ა. არ არის განკუთვნილი მონაცემების გასაცვლელად სხვადასხვა პროგრამას შორის
- ბ. განკუთვნილია მონაცემების გასაცვლელად სხვადასხვა პროგრამას შორის
- გ. განკუთვნილია მხოლოდ ტრიგერებთან სამუშაოდ

2.1.22. გლობალური დროებითი ცხრილი:

- ა. არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი შეიქმნა
- ბ. არ არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი შეიქმნა
- გ. არის იმ შეერთების დამთავრებამდე, რომელშიც ეს ცხრილი არ შეიქმნა

2.1.23. გლობალური დროებითი ცხრილის წაშლა და შეცვლა:

- ა. არ შეგვიძლია სხვადასხვა შეერთებიდან
- ბ. შეუძლებელია
- გ. შეგვიძლია სხვადასხვა შეერთებიდან

2.1.24. დროებითი ცხრილი ყოველთვის იქმნება:

- ა. მიმდინარე სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- ბ. სხვა სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- გ. მიმდინარე სერვერზე model მონაცემთა ბაზაში

2.1.25. სერვერის გაჩერების შემთხვევაში:

- ა. ავტომატურად იშლება მხოლოდ ლოკალური ცხრილი
- ბ. ავტომატურად იშლება მხოლოდ გლობალური ცხრილი
- გ. ლოკალური და გლობალური დროებითი ცხრილები ავტომატურად იშლება

2.1.26. ცხრილის თითოეულ სვეტს განსაზღვრული ტიპი:

- ა. ხანდახან აქვს
- ბ. არ აქვს
- გ. აქვს

2.1.27. მიუთითებს თუ რა მნიშვნელობები იქნება მოთავსებული ცხრილის:

- ა. სვეტებში
- ბ. სტრიქონებში
- გ. ფუნქციებში

2.1.28. CHAR ტიპი:

- ა. აღწერს წილადს
- ბ. არ აღწერს ფიქსირებული სიგრძის სტრიქონს
- გ. აღწერს ფიქსირებული სიგრძის სტრიქონს

2.1.29. DATE ტიპი:

- ა. აღწერს სტრიქონს
- ბ. არ აღწერს თარიღს
- გ. აღწერს თარიღს

2.1.30. DATETIME ტიპი:

- ა. არ აღწერს დროსა და თარიღს
- ბ. აღწერს ერთ სიმბოლოს
- გ. აღწერს დროსა და თარიღს

2.1.31. FLOAT ტიპი:

- ა. აღწერს წილად რიცხვებს
- ბ. არ აღწერს წილად რიცხვებს
- გ. აღწერს მთელ რიცხვებს

2.1.32. IMAGE ტიპი:

- ა. არ აღწერს ორობით მონაცემებს
- ბ. აღწერს ორობით მონაცემებს
- გ. აღწერს მთელ რიცხვებს

2.1.33. INT ტიპი:

- ა. არ აღწერს 4 ბაიტი ზომის მთელ რიცხვებს
- ბ. აღწერს 4 ბაიტი ზომის მთელ რიცხვებს
- გ. აღწერს 2 ბაიტი ზომის მთელ რიცხვებს

2.1.34. NVARCHAR ტიპი:

- ა. აღწერს ცვლადი სიგრძის Unicode სიმბოლოების სტრიქონს ზომით 8000 სიმბოლომდე
- ბ. არ აღწერს ცვლადი სიგრძის Unicode სიმბოლოების სტრიქონს ზომით 8000 სიმბოლომდე
- გ. აღწერს წილად რიცხვებს

2.1.35. TABLE ტიპი:

- ა. გამოიყენება ცხრილების შესანახად
- ბ. არ გამოიყენება ცხრილების შესანახად
- გ. გამოიყენება პროცედურების შესანახად

2.1.36. მონაცემთა მომხმარებლის ტიპები:

- ა. არ იქმნება მონაცემების სისტემური ტიპების საფუძველზე
- ბ. იქმნება მონაცემების სისტემური ტიპების საფუძველზე
- გ. იქმნება მონაცემების არასისტემური ტიპების საფუძველზე

2.1.37. მომხმარებლის ტიპის სახელი უნიკალური:

- ა. არ უნდა იყოს მფლობელის ფარგლებში
- ბ. უნდა იყოს მფლობელის ფარგლებში
- გ. უნდა იყოს არამფლობელის ფარგლებში

2.1.38. სხვადასხვა მფლობელებს:

- ა. შეუძლიათ შექმნან ერთნაირი სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები
- ბ. არ შეუძლიათ შექმნან ერთნაირი სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები
- გ. არ შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა სახელის მქონე მომხმარებლის ტიპები

2.1.39. წარმოდგენა არის ვირტუალური ცხრილი, რომლის შემცველობა განისაზღვრება:

- ა. UPDATE მოთხოვნით
- ბ. DELETE მოთხოვნით
- გ. SELECT მოთხოვნით

2.1.40. წარმოდგენა შედგება:

- ა. მხოლოდ სვეტებისაგან
- ბ. სვეტებისა და სტრიქონებისაგან
- გ. მხოლოდ სტრიქონებისაგან

2.1.41. წარმოდგენა მონაცემებს:

- ა. არ შეიცავს
- ბ. შეიცავს
- გ. ხანდახან შეიცავს

2.1.42. უმარტივესი წარმოდგენა:

- ა. შექმნილია რამდენიმე ცხრილის ბაზაზე და არ შეიცავს ფილტრებს
- ბ. შექმნილია ერთი ცხრილის ბაზაზე და არ შეიცავს ფილტრებს
- გ. შექმნილია ერთი ცხრილის ბაზაზე და შეიცავს ფილტრებს

2.1.43. რთული წარმოდგენა შეიცავს:

- ა. მხოლოდ ერთი ცხრილის გაუფილტრავ ინფორმაციას
- ბ. მხოლოდ ერთ ცხრილს
- გ. რამდენიმე ცხრილის გაფილტრულ ინფორმაციას

2.1.44. შენახული პროცედურა არის:

- ა. ერთ მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი აქვს
- ბ. ერთ მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი არ აქვს
- გ. რამდენიმე მოდულში გაერთიანებული ბრძანებების ჯგუფი, რომელსაც სახელი არ აქვს

2.1.45. სისტემური შენახული პროცედურების სახელები:

- ა. არ იწყება sp_ პრეფიქსით
- ბ. იწყება sp_ პრეფიქსით
- გ. იწყება sys_ პრეფიქსით

2.1.46. საკუთარი შენახული პროცედურების შექმნა:

- ა. შესაძლებელია
- ბ. შეუძლებელია
- გ. ხანდახან შესაძლებელია

2.1.47. როცა შენახული პროცედურა პირველად სრულდება, მაშინ სერვერი:

- ა. არ ქმნის მისი შესრულების გეგმას
- ბ. ქმნის მისი შესრულების გეგმას
- გ. ქმნის მისი შეუსრულებლობის გეგმას

2.1.48. შენახული პროცედურის განმეორებით შესრულებისას, სერვერი:

- ა. არ იყენებს მეხსიერებაში მოთავსებულ გეგმას
- ბ. იყენებს სხვა სერვერზე მოთავსებულ გეგმას
- გ. იყენებს მეხსიერებაში მოთავსებულ გეგმას

2.1.49. ტრიგერები არის შენახული პროცედურის სპეციალური კლასი, რომლებიც ავტომატურად:

- ა. გაიშვება ცხრილებში მონაცემების დამატების, შეცვლის ან წაშლის დროს
- ბ. არ გაიშვება ცხრილებში მონაცემების დამატების, შეცვლის ან წაშლის დროს
- გ. გაიშვება ცხრილებში მონაცემების მხოლოდ ამორჩევის დროს

2.1.50. ტრიგერები სამ კატეგორიად იყოფა:

- ა. ამორჩევის, ჩამატებისა და წაშლის ტრიგერები
- ბ. შეცვლის, ჩამატებისა და წაშლის ტრიგერები
- გ. შეცვლის, ჩამატებისა და ამორჩევის ტრიგერები

2.1.51. ერთი ცხრილისთვის:

- ა. არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის რამდენიმე ტრიგერი
- ბ. შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის რამდენიმე ტრიგერი
- გ. შეიძლება განსაზღვრულ იქნეს თითოეული ტიპის ერთი ტრიგერი

2.1.52. ერთი ტრიგერიდან:

- ა. შეგვიძლია სხვა ტრიგერები გამოვიძახოთ
- ბ. არ შეგვიძლია სხვა ტრიგერები გამოვიძახოთ
- გ. სხვა ტრიგერები აუცილებლად უნდა გამოვიძახოთ

2.1.53. ინდექსი განკუთვნილია შესაბამის ცხრილში ან წარმოდგენაში ინფორმაციის:

- ა. ძებნის შესანელებლად
- ბ. შესაცვლელად
- გ. ძებნის დასაჩქარებლად

2.1.54. ინდექსი განისაზღვრება:

- ა. მხოლოდ ერთი სვეტისთვის
- ბ. ერთი ან მეტი სვეტისთვის
- გ. არც ერთი სვეტისთვის

2.1.55. ინდექსი:

- ა. არ შეიცავს ინდექსირებული სვეტის ან სვეტების დახარისხებულ მნიშვნელობებს საწყისი ცხრილის ან წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართვებთან ერთად
- ბ. შეიცავს ინდექსირებული სვეტის ან სვეტების დახარისხებულ მნიშვნელობებს საწყისი ცხრილის ან წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართვებთან ერთად
- გ. შეიცავს მხოლოდ წარმოდგენის შესაბამის სტრიქონზე მიმართვებს

2.1.56. მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლოგიკურ დონეზე
- ბ. გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ფიზიკურ დონეზე
- გ. არ გამოიყენება მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლოგიკურ დონეზე

2.1.57. მთლიანობის შეზღუდვა ესაა მექანიზმი, რომელიც:

- ა. უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის არავტომატურ კონტროლს
- ბ. არ უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის ავტომატურ კონტროლს
- გ. უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაზღვრულ პირობებთან (ან შეზღუდვებთან) მონაცემების შესაბამისობის ავტომატურ კონტროლს

2.1.58. მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. შეიძლება გამოყენებულ იქნეს სვეტის ან ცხრილის დონეზე
- ბ. არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სვეტის ან ცხრილის დონეზე
- გ. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სვეტის დონეზე

2.1.59. მთლიანობის შეზღუდვა, რომელიც სვეტის დონეზე გამოიყენება:

- ა. მოქმედებს მხოლოდ ამ სვეტში შესატან მონაცემებზე
- ბ. არ მოქმედებს ამ სვეტში შესატან მონაცემებზე
- გ. მოქმედებს სხვა სვეტში შესატან მონაცემებზე

2.1.60. თუ მთლიანობის შეზღუდვა გამოიყენება რამდენიმე სვეტის მიმართ, მაშინ შეზღუდვა:

- ა. მუშაობს მონაცემთა ბაზის დონეზე
- ბ. არ მუშაობს ცხრილის დონეზე
- გ. მუშაობს ცხრილის დონეზე

2.1.61. არსებობს მთლიანობის შეზღუდვის:

- ა. ორი ტიპი
- ბ. სამი ტიპი
- გ. ხუთი ტიპი

2.1.62. NULL მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. მხოლოდ სვეტის დონეზე

- ბ. სვეტისა და მომხმარებლის ტიპის დონეზე
- გ. მონაცემთა ბაზის დონეზე

2.1.63. სვეტისა და მომხმარებლის ტიპისთვის:

- ა. შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ NULL შეზღუდვა
- ბ. შეგვიძლია განვსაზღვროთ NULL ან NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა
- გ. არ შეგვიძლია განვსაზღვროთ NULL ან NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა

2.1.64. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია NULL მთლიანობის შეზღუდვა, მაშინ:

- ა. სვეტში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. სვეტში არ არის ნებადართული NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. ტრიგერში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.1.65. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია NOT NULL მთლიანობის შეზღუდვა, მაშინ:

- ა. სვეტში არ არის ნებადართული NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. სვეტში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. ტრიგერში ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.1.66. NULL არის სპეციალური მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნავს:

- ა. ტრიგერის არსებობას
- ბ. მნიშვნელობის ყოფნას
- გ. მნიშვნელობის არყოფნას

2.1.67. NULL არ არის იგივე, რაც:

- ა. მნიშვნელობის არყოფნა
- ბ. ინტერვალის სიმბოლო, ნული ან ნულოვანი სიგრძის სტრიქონი
- გ. ტრიგერის არარსებობა

2.1.68. NULL მნიშვნელობა შეიძლება შეფასდეს, როგორც:

- ა. UNKNOWN (უცნობი)
- ბ. TRUE
- გ. FALSE

2.1.69. CHECK მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. ცხრილის დონეზე და არ ზღუდავს სვეტში შესანახი მნიშვნელობების დიაპაზონს
- ბ. ცხრილის დონეზე
- გ. სვეტის დონეზე და ზღუდავს სვეტში შესანახი მნიშვნელობების დიაპაზონს

2.1.70. თუ CHECK მთლიანობის შეზღუდვის შემოწმების შედეგია TRUE, მაშინ მონაცემების შეცვლა:

- ა. ნებადართული იქნება
- ბ. ნებადართული არ იქნება
- გ. აკრძალება ყველა მომხმარებელს

2.1.71. თუ CHECK მთლიანობის შეზღუდვის შემოწმების შედეგია FALSE, მაშინ ცვლილებები:

- ა. აკრძალება და შეტყობინება გაიცემა შეცდომის შესახებ

- ბ. არ აიკრძალება და შეტყობინება გაიცემა შეცდომის შესახებ
- გ. არ აიკრძალება და შეტყობინება არ გაიცემა შეცდომის შესახებ

2.1.72. ერთი სვეტისთვის შეგვიძლია შევქმნათ:

- ა. არც ერთი CHECK შეზღუდვა
- ბ. ერთი CHECK შეზღუდვა
- გ. რამდენიმე CHECK შეზღუდვა

2.1.73. UNIQUE მთლიანობის შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. ცხრილის დონეზე და იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას
- ბ. სვეტის დონეზე და იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას
- გ. ცხრილის დონეზე და არ იძლევა სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას

2.1.74. UNIQUE მთლიანობის შეზღუდვა:

- ა. ხანდახან არ უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას
- ბ. არ უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას
- გ. უშვებს NULL მნიშვნელობის არსებობას

2.1.75. PRIMARY KEY შეზღუდვა მოქმედებს:

- ა. მხოლოდ სვეტის დონეზე
- ბ. სვეტის ან ცხრილის დონეზე
- გ. მხოლოდ ცხრილის დონეზე

2.1.76. პირველადი გასაღები:

- ა. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში
- ბ. არ შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში
- გ. არ შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისაგან და არ არის სტრიქონის უნიკალური იდენტიფიკატორი ცხრილის ფარგლებში

2.1.77. თუ პირველადი გასაღები ერთი სვეტისაგან შედგება, მაშინ ამ სვეტისთვის:

- ა. უნდა იყოს დაყენებული UNIQUE შეზღუდვა
- ბ. არ უნდა იყოს დაყენებული UNIQUE შეზღუდვა
- გ. უნდა იყოს დაყენებული DEFAULT შეზღუდვა

2.1.78. თუ პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისაგან შედგება, მაშინ თითოეულ სვეტში მნიშვნელობები:

- ა. არ შეიძლება გამეორდეს
- ბ. შეიძლება გამეორდეს
- გ. არ უნდა გამეორდეს

2.1.79. თუ პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისაგან შედგება, მაშინ:

- ა. უნიკალური უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული სვეტისათვის
- ბ. უნიკალური არ უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული

სტრიქონისათვის

გ. უნიკალური უნდა იყოს ამ სვეტების მნიშვნელობების კომბინაცია თითოეული სტრიქონისათვის

2.1.80. პირველად გასაღებში შემავალი:

- ა. არც ერთი სვეტისათვის არ უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა
- ბ. ყველა სვეტისათვის არ უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა
- გ. ყველა სვეტისათვის უნდა იყოს დაყენებული NULL შეზღუდვა

2.1.81. ცხრილში შეგვიძლია შევქმნათ მხოლოდ:

- ა. ერთი პირველადი გასაღები
- ბ. ორი პირველადი გასაღები
- გ. სამი პირველადი გასაღები

2.1.82. FOREIGN KEY შეზღუდვა იქმნება:

- ა. სვეტის დონეზე
- ბ. ცხრილის დონეზე
- გ. სტრიქონის დონეზე

2.1.83. დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღები უკავშირდება:

- ა. დამოკიდებული ცხრილის პირველად გასაღებს
- ბ. მთავარი ცხრილის გარე გასაღებს
- გ. მთავარი ცხრილის პირველად გასაღებს

2.1.84. მთავარი ცხრილიდან შეუძლებელია სტრიქონის წაშლა, თუ მასთან:

- ა. დაკავშირებულია თუნდაც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში
- ბ. არ არის დაკავშირებული თუნდაც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში
- გ. დაკავშირებული არ არის არც ერთი სტრიქონი დამოკიდებულ ცხრილში

2.1.85. მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის წინ:

- ა. არ არის აუცილებელი წინასწარ წავშალოთ დამოკიდებული ცხრილის ყველა სტრიქონი
- ბ. აუცილებელია წინასწარ წავშალოთ დამოკიდებული ცხრილის ყველა სტრიქონი
- გ. აუცილებელია წინასწარ წავშალოთ მთავარი ცხრილის ყველა სტრიქონი

2.1.86. ნაგულისხმევია მნიშვნელობა, რომელიც:

- ა. ხელით მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა
- ბ. ავტომატურად არ მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა
- გ. ავტომატურად მიენიჭება ცხრილის სვეტს სტრიქონის ჩასმის დროს, თუ ჩასმის ბრძანებაში ამკარად არ არის მითითებული ამ სვეტის მნიშვნელობა

2.1.87. ნაგულისხმევი მნიშვნელობა:

- ა. შეიძლება იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების მიერ გაცემული შედეგი
- ბ. არ შეიძლება იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების

მიერ გაცემული შედეგი

გ. შეიძლება არ იყოს მუდმივა, ჩადგმული ფუნქციის ან მათემატიკური გამოსახულების მიერ გაცემული შედეგი

2.1.88. ფუნქცია არის კონსტრუქცია, რომელიც:

- ა. არ შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და აქვს სახელი
- ბ. შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და აქვს სახელი
- გ. შეიცავს ხშირად გამოყენებად კოდს და არ აქვს სახელი

2.1.89. არსებობს ფუნქციების ორი ტიპი:

- ა. მხოლოდ მომხმარებლის ფუნქციები
- ბ. მხოლოდ ჩადგმული ფუნქციები
- გ. ჩადგმული ფუნქციები და მომხმარებლის ფუნქციები

2.1.90. ჩადგმული ფუნქციები:

- ა. პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებებს ასრულებენ
- ბ. პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებებს არ ასრულებენ
- გ. არ არის პროგრამირების გარემოს შემადგენელი ნაწილია და წინასწარგანსაზღვრულ მოქმედებებს არ ასრულებენ

სისტემური მონაცემთა ბაზები. ფაილები და ფაილების ჯგუფები

2.2.1. სერვერის სისტემური მონაცემთა ბაზებია:

- ა. master; msdb; model; tempdb
- ბ. msdb; model; tempdb
- გ. master; msdb; model

2.2.2. სისტემურ ცხრილებთან მუშაობა დასაშვებია:

- ა. INSERT და DELETE ბრძანებების გამოყენებით
- ბ. SELECT ბრძანების გამოყენებით
- გ. UPDATE და DELETE ბრძანებების გამოყენებით

2.2.3. სისტემურ ცხრილებში მონაცემების შეცვლა:

- ა. შესაძლებელია ინდექსების გამოყენებით
- ბ. შეუძლებელია სისტემური შენახული პროცედურების გამოყენებით
- გ. შესაძლებელია სისტემური შენახული პროცედურების გამოყენებით

2.2.4. master მონაცემთა ბაზა შეიცავს:

- ა. სერვერის მთელ არასისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა ბაზებისა და მათი პირველადი ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ
- ბ. სერვერის მთელ სისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა ბაზებისა და მათი პირველადი ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ
- გ. სერვერის მთელ სისტემურ ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას სხვა მონაცემთა

ბაზებისა და მათი მეორეული ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ

2.2.5. master მონაცემთა ბაზა შემდეგი ფაილებისგან შედგება:

- ა. Master.mdf და Mastlog.ldf
- ბ. msdbdata.mdf და msdblog.ldf
- გ. tempdb.mdf და templogldf

2.2.6. master სისტემურ მონაცემთა ბაზაში მომხმარებლის ობიექტების შექმნა:

- ა. ხანდახან დასაშვებია
- ბ. დასაშვებია
- გ. დაუშვებელია

2.2.7. tempdb მონაცემთა ბაზა:

- ა. არ შეიცავს დროებით ობიექტებს
- ბ. შეიცავს დროებით ობიექტებს
- გ. შეიცავს მუდმივ ობიექტებს

2.2.8. tempdb მონაცემთა ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. tempdb.mdf და templogldf
- ბ. Master.mdf და Mastlog.ldf
- გ. model.mdf და model.ldf

2.2.9. სერვერზე ახალი მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება მასში:

- ა. master სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით
- ბ. tempdb სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით
- გ. model სისტემური მონაცემთა ბაზის ობიექტების გადაწერის გზით

2.2.10. model სისტემური მონაცემთა ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. model.mdf და model.ldf
- ბ. Master.mdf და Mastlog.ldf
- გ. tempdb.mdf და templogldf

2.2.11. msdb მონაცემთა ბაზა ინახავს მთელ ინფორმაციას, რომელიც:

- ა. ეხება ადმინისტრირების ავტომატიზებასა და სერვერის მართვას
- ბ. არ ეხება ადმინისტრირების ავტომატიზებასა და სერვერის მართვას
- გ. ეხება ადმინისტრირების ხელით შესრულებას

2.2.12. msdb სისტემური მონაცემთა ბაზა გამოიყენება:

- ა. SQL Server Agent სამსახურის მიერ მხოლოდ მოვლენების (alerts) დაგეგმვისათვის
- ბ. SQL Server Agent სამსახურის მიერ მოვლენების (alerts), ამოცანების (jobs) და ოპერატორების (operators) რეგისტრირების დაგეგმვისათვის
- გ. SQL Server Agent სამსახურის მიერ მხოლოდ ამოცანების (jobs) დაგეგმვისათვის

2.2.13. msdb ბაზა ორი ფაილისგან შედგება:

- ა. tempdb.mdf და templogldf
- ბ. msdbdata.mdf და msdblog.ldf

გ. Master.mdf და Mastlog.ldf

2.2.14. თითოეული მონაცემთა ბაზა მინიმუმ:

- ა. სამი ფაილისაგან შედგება
- ბ. ორი ფაილისაგან შედგება
- გ. ერთი ფაილისაგან შედგება

2.2.15. თითოეული მონაცემთა ბაზა შემდეგი ფაილებისაგან შედგება:

- ა. მხოლოდ მონაცემთა ბაზის ფაილებისაგან
- ბ. მხოლოდ ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან
- გ. მონაცემთა ბაზისა და ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან

2.2.16. მონაცემთა ბაზის შესაძლებელი შემდეგი ტიპის ფაილები გამოიყენება:

- ა. Secondary და Transaction Log
- ბ. Primary, Secondary და Transaction Log
- გ. Primary და Secondary

2.2.17. მონაცემთა ბაზაში გამოყენებულ თითოეულ ფაილს აქვს:

- ა. ფაილის ლოგიკური და ფაილის ფიზიკური სახელები
- ბ. ფაილის ლოგიკური სახელი
- გ. ფაილის ფიზიკური სახელი

2.2.18. მონაცემთა ბაზის:

- ა. ყველა ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად გაიზარდოს
- ბ. ზოგიერთი ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად გაიზარდოს
- გ. ყველა ფაილის ზომა შეიძლება ავტომატურად არ გაიზარდოს

2.2.19. არსებობს ფაილების შემდეგი ტიპის ჯგუფები:

- ა. ფაილების ძირითადი ჯგუფი და მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი
- ბ. მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი და ფაილების ნაგულისხმევი ჯგუფი
- გ. ფაილების ძირითადი ჯგუფი, მომხმარებლების მიერ შექმნილი ფაილების ჯგუფი და ფაილების ნაგულისხმევი ჯგუფი

2.2.20. ფაილების ძირითადი ჯგუფი შეიცავს:

- ა. primary ტიპის ფაილსა და ყველა ფაილს, რომლებიც არ არის ჩართული სხვა ჯგუფში
- ბ. მხოლოდ primary ტიპის ფაილს
- გ. primary ტიპის ფაილსა და ყველა ფაილს, რომლებიც ჩართულია სხვა ჯგუფში

2.2.21. მონაცემთა ბაზას:

- ა. შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ერთი ძირითადი ჯგუფი
- ბ. არ შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ერთი ძირითადი ჯგუფი
- გ. შეიძლება ჰქონდეს ფაილების მხოლოდ ორი ძირითადი ჯგუფი

2.2.22. მონაცემთა ბაზაში:

- ა. არ შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების რამდენიმე ჯგუფი ფაილების ნებისმიერი შედგენილობით

ბ. შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების რამდენიმე ჯგუფი ფაილების ნებისმიერი შედგენილობით

გ. შეიძლება შევქმნათ მომხმარებლების მიერ განსაზღვრული ფაილების მხოლოდ ერთი ჯგუფი ფაილების ნებისმიერი შედგენილობით

2.2.23. მონაცემთა ბაზაში ფაილების:

ა. სამი ჯგუფია ნაგულისხმევი

ბ. ორი ჯგუფია ნაგულისხმევი

გ. ერთ-ერთი ჯგუფია ნაგულისხმევი

2.2.24. თუ მონაცემთა ბაზის შექმნის დროს არ არის მითითებული ფაილების ასეთი ჯგუფი, მაშინ:

ა. ფაილების ძირითადი ჯგუფი არ ხდება ნაგულისხმევი

ბ. ფაილების ძირითადი ჯგუფი ხდება ნაგულისხმევი

გ. ფაილების მეორეული ჯგუფი ხდება ნაგულისხმევი

2.2.25. თუ მონაცემთა ბაზის ობიექტის (ცხრილის ან სვეტის) შექმნის დროს აშკარად არ არის მითითებული თუ ფაილების რომელ ჯგუფს ეკუთვნის ის, მაშინ:

ა. ეს ობიექტი შეიქმნება ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფში

ბ. ეს ობიექტი შეიქმნება ფაილების ძირითად ჯგუფში

გ. ეს ობიექტი არ შეიქმნება ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფში

2.2.26. მონაცემთა ბაზის მფლობელმა:

ა. შეიძლება ფაილების მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფი დანიშნოს ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფად

ბ. შეიძლება ფაილების ნებისმიერი ჯგუფი დანიშნოს ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფად

გ. არ შეიძლება ფაილების ნებისმიერი ჯგუფი დანიშნოს ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფად

2.2.27. ფაილების მხოლოდ:

ა. ერთი ჯგუფი შეიძლება იყოს ნაგულისხმევი

ბ. ორი ჯგუფი შეიძლება იყოს ნაგულისხმევი

გ. სამი ჯგუფი შეიძლება იყოს ნაგულისხმევი

2.2.28. ნებისმიერი ფაილი შეიძლება ჩართული იყოს ფაილების მხოლოდ:

ა. სამ ჯგუფში

ბ. ორ ჯგუფში

გ. ერთ ჯგუფში

2.2.29. ფაილების ჯგუფის განსაზღვრა ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისთვის:

ა. არ შეიძლება

ბ. შეიძლება

გ. ხანდახან შეიძლება

2.2.30. თუ მონაცემთა ბაზაში არ იქმნება ფაილების ჯგუფები, მაშინ:

ა. ყველა ობიექტი არ მოთავსდება ფაილების ძირითად ჯგუფში

ბ. ყველა ობიექტი მოთავსდება ფაილების ძირითად ჯგუფში

გ. ყველა ობიექტი მოთავსდება ფაილების ნაგულისხმევ ჯგუფში

მონაცემთა ბაზების შექმნა, წაშლა და სახელის შეცვლა

2.3.1. სერვერთან შეერთებისას კავშირი:

- ა. არ მყარდება კონკრეტულ მონაცემთა ბაზასთან
- ბ. მყარდება კონკრეტულ მონაცემთა ბაზასთან
- გ. მყარდება კონკრეტულ ტრიგერთან

2.3.2. სერვერთან შეერთებისას კავშირი მყარდება კონკრეტულ მონაცემთა ბაზასთან, რომელსაც:

- ა. მიმდინარე მონაცემთა ბაზა ეწოდება
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზა არ ეწოდება
- გ. master მონაცემთა ბაზა ეწოდება

2.3.3. სხვა მონაცემთა ბაზაზე გადართვისთვის გამოიყენება:

- ა. SELECT ბრძანება
- ბ. UPDATE ბრძანება
- გ. USE ბრძანება

2.3.4. USE Baza_1 ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. მიმდინარე გახდება Baza_1 მონაცემთა ბაზა
- ბ. დაიხურება Baza_1 მონაცემთა ბაზა
- გ. გაიფილტრება Baza_1 მონაცემთა ბაზა

2.3.5. მონაცემთა ბაზის შექმნა შესაძლებელია:

- ა. როგორც Transact-SQL-ის ბრძანებების, ისე გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით
- ბ. მხოლოდ Transact-SQL-ის ბრძანებების საშუალებით
- გ. მხოლოდ გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით

2.3.6. მონაცემთა ბაზის შექმნისას master მონაცემთა ბაზის sys.databases სისტემურ წარმოდგენაში:

- ა. შეიტანება მხოლოდ მონაცემთა ბაზის სახელი
- ბ. არ შეიტანება მონაცემთა ბაზის სახელი და შესაბამისი მონაცემები
- გ. შეიტანება მონაცემთა ბაზის სახელი და შესაბამისი მონაცემები

2.3.7. მონაცემთა ბაზის შემქმნელი მომხმარებელი ავტომატურად:

- ა. კარგავს მასთან მუშაობის უფლებას
- ბ. არ ხდება მისი მფლობელი
- გ. ხდება მისი მფლობელი

2.3.8. ჩვეულებრივ, მონაცემთა ბაზის შექმნა:

- ა. არ შეუძლიათ სერვერის sysadmin და dbcreator ფიქსირებული როლების წევრებს
- ბ. შეუძლიათ სერვერის sysadmin და dbcreator ფიქსირებული როლების წევრებს
- გ. შეუძლია ყველას

2.3.9. მომხმარებელს, რომელიც არ არის ადმინისტრატორი:

- ა. ეკრძალება მონაცემთა ბაზის შექმნა
- ბ. არ შეიძლება მიეცეს მონაცემთა ბაზების შექმნის უფლება
- გ. შეიძლება მიეცეს მონაცემთა ბაზების შექმნის უფლება

2.3.10. მონაცემთა ბაზის შექმნისას:

- ა. master მონაცემთა ბაზის sys.databases სისტემურ წარმოდგენაში შეიტანება შესაბამისი მონაცემები
- ბ. tempdb მონაცემთა ბაზის sys.databases სისტემურ წარმოდგენაში შეიტანება შესაბამისი მონაცემები
- გ. model მონაცემთა ბაზის sys.databases სისტემურ წარმოდგენაში შეიტანება შესაბამისი მონაცემები

2.3.11. თუ მონაცემთა ბაზა შეიცავს ინტერვალებს ან სხვა დაუშვებელ სიმბოლოებს, მაშინ მისი სახელი უნდა მოვათავსოთ:

- ა. მრგვალ ფრჩხილებში
- ბ. შემზღუდავ სიმბოლოებში
- გ. ფიგურულ ფრჩხილებში

2.3.12. მონაცემთა ბაზის სახელი:

- ა. შეიძლება იყოს უნიკალური სერვერის ფარგლებში
- ბ. არ უნდა იყოს უნიკალური სერვერის ფარგლებში
- გ. უნდა იყოს უნიკალური სერვერის ფარგლებში

2.3.13. თუ ტრანზაქციების ჟურნალის სახელი მითითებული არ არის, მაშინ სერვერი ტრანზაქციების ჟურნალის სახელად იღებს:

- ა. მონაცემთა ბაზის სახელს და არაფერს არ უმატებს
- ბ. მონაცემთა ბაზის სახელს და უმატებს _Log სიმბოლოებს
- გ. ნებისმიერ სახელს და უმატებს _Log სიმბოლოებს

2.3.14. თუ ტრანზაქციების ჟურნალის ფაილის სახელი არ არის მითითებული, მაშინ:

- ა. სერვერი ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის სამ ფაილს
- ბ. სერვერი ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის ორ ფაილს
- გ. სერვერი ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის ერთ ფაილს

2.3.15. მონაცემთა ბაზის მისაერთებლად:

- ა. საკმარისია მხოლოდ მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის ადგილმდებარეობის მითითება
- ბ. არ არის საკმარისი მხოლოდ მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის ადგილმდებარეობის მითითება
- გ. საკმარისია მხოლოდ მონაცემთა ბაზის მეორეული ფაილის ადგილმდებარეობის მითითება

2.3.16. ინფორმაცია მონაცემთა ბაზის ფაილების ადგილმდებარეობის შესახებ:

- ა. ინახება მონაცემთა ბაზის პირველად ფაილში
- ბ. არ ინახება მონაცემთა ბაზის პირველად ფაილში

გ. ინახება მონაცემთა ბაზის ტრანზაქციების ჟურნალის ფაილში

2.3.17. CREATE DATABASE ბრძანების ON არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ იწყება მონაცემთა ბაზის ფაილების განსაზღვრა
- ბ. იწყება მონაცემთა ბაზის ფაილების განსაზღვრა
- გ. იწყება მონაცემთა ბაზის ინდექსების განსაზღვრა

2.3.18. CREATE DATABASE ბრძანების PRIMARY არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ იწყება მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის აღწერა
- ბ. მთავრდება მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის აღწერა
- გ. იწყება მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის აღწერა

2.3.19. CREATE DATABASE ბრძანების LOG ON არგუმენტი:

- ა. არ განსაზღვრავს ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებს
- ბ. განსაზღვრავს ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებს
- გ. განსაზღვრავს პირველად ფაილს

2.3.20. თუ CREATE DATABASE ბრძანების LOG ON არგუმენტი არ არის მითითებული, მაშინ სერვერი:

- ა. ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის ერთ ფაილს
- ბ. ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის ორ ფაილს
- გ. ავტომატურად ქმნის ტრანზაქციების ჟურნალის სამ ფაილს

2.3.21. CREATE DATABASE ბრძანების FOR ATTACH არგუმენტი გამოიყენება მაშინ, როცა:

- ა. უნდა შესრულდეს სერვერთან ტრიგერის მიერთება
- ბ. არ უნდა შესრულდეს სერვერთან მონაცემთა ბაზის მიერთება
- გ. უნდა შესრულდეს სერვერთან მონაცემთა ბაზის მიერთება

2.3.22. მონაცემთა ბაზის მისაერთებლად:

- ა. არასაკმარისია მხოლოდ მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის ადგილმდებარეობის მითითება
- ბ. საკმარისია მხოლოდ მონაცემთა ბაზის პირველადი ფაილის ადგილმდებარეობის მითითება
- გ. საკმარისია მხოლოდ მონაცემთა ბაზის მეორეული ფაილის ადგილმდებარეობის მითითება

2.3.23. სერვერთან მონაცემთა ბაზის მიერთება შეიძლება შესრულდეს:

- ა. sp_attach_db სისტემური შენახული პროცედურის გამოყენებით
- ბ. sp_attach სისტემური შენახული პროცედურის გამოყენებით
- გ. sp_renamedb შენახული პროცედურის გამოყენებით

2.3.24. CREATE DATABASE ბრძანების NAME არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. ფაილის ლოგურ სახელს
- ბ. ფაილის ფიზიკურ სახელს
- გ. ფაილის საიდენტიფიკაციო ნომერს

2.3.25. CREATE DATABASE ბრძანების FILENAME არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. ფაილის საიდენტიფიკაციო ნომერს
- ბ. ფაილის ლოგურ სახელს
- გ. ფაილის ფიზიკურ სახელს

2.3.26. CREATE DATABASE ბრძანების SIZE არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. ფაილის საწყის ზომას მეგაბაიტებში
- ბ. ფაილის საწყის ზომას ბაიტებში
- გ. კატალოგის ზომას მეგაბაიტებში

2.3.27. CREATE DATABASE ბრძანების FILEGROWTH არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. ნაზარდის ზომას კატალოგისათვის
- ბ. ნაზარდის ზომას ფაილისათვის
- გ. ნაზარდის ზომას ტრიგერისათვის

2.3.28. ნაზარდის ზომა:

- ა. უნდა მივუთითოთ მხოლოდ გიგაბაიტებში
- ბ. არ შეიძლება მივუთითოთ მეგაბაიტებში ან პროცენტებში
- გ. შეიძლება მივუთითოთ მეგაბაიტებში ან პროცენტებში

2.3.29. ავტომატურად ნაზარდის ზომა აიღება:

- ა. 1 ბაიტი
- ბ. 1 მეგაბაიტი
- გ. 1 კილობაიტი

2.3.30. თუ ნაზარდის ზომა მითითებული არ არის, მაშინ ფაილის ზომა გაიზრდება საწყისი ზომის:

- ა. 10%-ით
- ბ. 20%-ით
- გ. 30%-ით

2.3.31. CREATE DATABASE ბრძანების MAXSIZE არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. ფაილის მინიმალურ ზომას
- ბ. ფაილის მაქსიმალურ ზომას
- გ. ფაილის საშუალო ზომას

2.3.32. ფაილის მაქსიმალური ზომა ეთითება:

- ა. ბაიტებში
- ბ. კილობაიტებში
- გ. მეგაბაიტებში

2.3.33. ერთი ფაილის ზომის შეზღუდვა:

- ა. არ ზღუდავს მონაცემთა ბაზის ზომის ზრდას
- ბ. ზღუდავს მონაცემთა ბაზის ზომის ზრდას
- გ. ზღუდავს ფუნქციის ზომას

- 2.3.34. ერთი ფაილის ზომის შეზღუდვა არ ზღუდავს მონაცემთა ბაზის ზომის ზრდას, რადგან:
- ა. მონაცემთა ბაზის ზომა არ შეიძლება გაიზარდოს სხვა ფაილების ზომის ზრდის ხარჯზე
 - ბ. მონაცემთა ბაზის ზომა შეიძლება გაიზარდოს სხვა ფაილების ზომის ზრდის ხარჯზე
 - გ. მონაცემთა ბაზის ზომა შეიძლება არ გაიზარდოს სხვა ფაილების ზომის ზრდის ხარჯზე

2.3.35. CREATE DATABASE ბრძანების MAXSIZE არგუმენტის UNLIMITED მნიშვნელობა მუთითებს, რომ:

- ა. კატალოგის ზომა უნდა შეიზღუდოს
- ბ. ფაილის ზომა უნდა შეიზღუდოს
- გ. ფაილის ზომა არ უნდა შეიზღუდოს

2.3.36. თუ ფაილის ზომა არ უნდა შეიზღუდოს, მაშინ:

- ა. უნდა გამოვტოვოთ MAXSIZE არგუმენტი
- ბ. არ უნდა გამოვტოვოთ MAXSIZE არგუმენტი
- გ. აუცილებელია MAXSIZE არგუმენტის მითითება

2.3.37. ფაილები, რომლებიც არ ეკუთვნის არც ერთ ჯგუფს, ჩართული:

- ა. არ იქნება ფაილების ავტომატურ ჯგუფში
- ბ. იქნება ფაილების ავტომატურ ჯგუფში
- გ. იქნება ფაილების მეორეულ ჯგუფში

2.3.38. CREATE DATABASE ბრძანების FILEGROUP არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. არც ერთ ფაილს
- ბ. ერთ ფაილს
- გ. ფაილების ჯგუფს

2.3.39. მონაცემთა ბაზის წასაშლელად გამოიყენება:

- ა. CREATE DATABASE ბრძანება
- ბ. DROP DATABASE ბრძანება
- გ. ALTER DATABASE ბრძანება

2.3.40. ერთი DROP DATABASE ბრძანებით შესაძლებელია:

- ა. რამდენიმე მონაცემთა ბაზის წაშლა
- ბ. მხოლოდ ერთი მონაცემთა ბაზის წაშლა
- გ. მხოლოდ ორი მონაცემთა ბაზის წაშლა

2.3.41. მონაცემთა ბაზის სახელის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. sp_renamedb შენახული პროცედურა
- ბ. sp_attach_db სისტემური შენახული პროცედურა
- გ. DROP DATABASE ბრძანება

2.3.42. sp_renamedb შენახული პროცედურის შესრულების უფლება:

- ა. აქვს სერვერის sysadmin ფიქსირებული როლის წევრებს
- ბ. არ აქვს სერვერის sysadmin ფიქსირებული როლის წევრებს
- გ. არავის არ აქვს

2.3.43. CREATE DATABASE Shekveta; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. წაიშლება Shekveta მონაცემთა ბაზა
- ბ. არ შეიქმნება Shekveta მონაცემთა ბაზა
- გ. შეიქმნება Shekveta მონაცემთა ბაზა

2.3.44. Shekveta მონაცემთა ბაზის შესაქმნელად უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. DROP DATABASE Shekveta;
- ბ. CREATE DATABASE Shekveta;
- გ. CREATE DATABASE Personali;

2.3.45.

```
CREATE DATABASE Baza2
```

```
ON
```

```
(
```

```
NAME = Baza2,
```

```
FILENAME =
```

```
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza2.mdf',
```

```
SIZE = 15MB,
```

```
MAXSIZE = 36MB,
```

```
FILEGROWTH = 3MB
```

```
)
```

```
LOG ON
```

```
( NAME = Baza2_log,
```

```
FILENAME =
```

```
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza2_Log.ldf',
```

```
SIZE = 3MB,
```

```
MAXSIZE = 25MB,
```

```
FILEGROWTH = 2MB );
```

ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. შეიქმნება Baza2 მონაცემთა ბაზა
- ბ. არ შეიქმნება Baza2 მონაცემთა ბაზა
- გ. წაიშლება Baza2 მონაცემთა ბაზა

2.3.46.

```
DECLARE @data_path NVARCHAR(256);
```

```
SET @data_path =
```

```
(
```

```
SELECT SUBSTRING(physical_name, 1, CHARINDEX(N'master.mdf', LOWER(physical_name)) - 1)
```

```
FROM master.sys.master_files
```

```
WHERE database_id = 1 AND file_id = 1
```

```
);
```

```
--
```

```
EXEC (
```

```
'CREATE DATABASE Baza1
```

```
ON
```

```
(
```

FILENAME = '"+ @data_path + 'Baza1_dat1.mdf'

)

FOR ATTACH'

); კოდის შესრულების შედეგად:

- ა. შესრულდება Baza1 მონაცემთა ბაზის მიერთება სერვერთან
- ბ. არ შესრულდება Baza1 მონაცემთა ბაზის მიერთება სერვერთან
- გ. შესრულდება Baza1 მონაცემთა ბაზის გამორთვა სერვერიდან

2.3.47. DROP DATABASE Baza1; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. შეიქმნება Baza1 მონაცემთა ბაზა
- ბ. წაიშლება Baza1 მონაცემთა ბაზა
- გ. არ წაიშლება Baza1 მონაცემთა ბაზა

2.3.48. DROP DATABASE Baza1, Baza2, Baza3; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. წაიშლება Baza1 მონაცემთა ბაზა
- ბ. წაიშლება Baza2 და Baza3 მონაცემთა ბაზები
- გ. წაიშლება Baza1, Baza2 და Baza3 მონაცემთა ბაზები

2.3.49. Baza1 და Baza2 მონაცემთა ბაზების წასაშლელად უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. DROP DATABASE Baza1, Baza2;
- ბ. DROP DATABASE Baza1, Baza2, Baza3;
- გ. DROP DATABASE Baza3;

2.3.50. EXEC sp_renamedb 'Baza1', 'Baza2'; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. Baza2 მონაცემთა ბაზას დაერქმევა ახალი Baza1 სახელი
- ბ. Baza1 მონაცემთა ბაზას დაერქმევა ახალი Baza2 სახელი
- გ. წაიშლება Baza1 მონაცემთა ბაზა

2.3.51. მისათვის, რომ Baza1 მონაცემთა ბაზას დავარქვათ ახალი Baza2 სახელი, უნდა შევასრულოთ შენახული პროცედურა:

- ა. CREATE DATABASE Baza1;
- ბ. DROP DATABASE Baza1, Baza2;
- გ. sp_renamedb 'Baza1', 'Baza2';

მონაცემთა ბაზის მიერთება და გამორთვა. ინფორმაციის მიღება მონაცემთა ბაზების შესახებ

2.4.1. მონაცემთა ბაზის სერვერთან მიერთება და სერვერიდან გამორთვა შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემთა ბაზის:

- ა. შესაცვლელად
- ბ. გადასატანად ერთი სერვერიდან მეორეზე
- გ. წასაშლელად

2.4.2. მონაცემთა ბაზების მიერთებისა და გამორთვის ოპერაციების შესრულება შეუძლია:

- ა. არც ერთ მომხმარებელს
- ბ. ნებისმიერ მომხმარებელს

გ. მხოლოდ სერვერის sysadmin როლის წევრებს

2.4.3. მონაცემთა ბაზების მიერთებისა და გამორთვის ოპერაციების შესრულების უფლების გადაცემა:

- ა. შეიძლება სხვა მომხმარებლისათვის
- ბ. არ შეიძლება სხვა მომხმარებლისათვის
- გ. ხანდახან შეიძლება სხვა მომხმარებლისათვის

2.4.4. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს მონაცემთა ბაზების მიერთებისა და გამორთვის ოპერაციების შესრულება, ის:

- ა. უნდა წავშალოთ
- ბ. არ უნდა ჩავრთოთ ამ როლში
- გ. უნდა ჩავრთოთ ამ როლში

2.4.5. სერვერიდან გამორთვის შემდეგ:

- ა. ველარ შევძლებთ მონაცემთა ბაზასთან მიმართვას და მასთან მუშაობას
- ბ. შევძლებთ მონაცემთა ბაზასთან მიმართვას და მასთან მუშაობას
- გ. ველარ შევძლებთ მონაცემთა ბაზასთან მიმართვას და მაგრამ შევძლებთ მასთან მუშაობას

2.4.6. მონაცემთა ბაზის გამოსართავად გამოიყენება:

- ა. sp_renamedb შენახული პროცედურა
- ბ. sp_detach_db შენახული პროცედურა
- გ. sp_attach_db სისტემური შენახული პროცედურა

2.4.7. მონაცემთა ბაზის მიერთება არის პროცესი, როცა:

- ა. master მონაცემთა ბაზის sysdatabases წარმოდგენაში არ იქმნება ახალი სტრიქონი, რომელიც შეიცავს მომხმარებლის მონაცემთა ბაზის აღწერას თვით მონაცემთა ბაზის შექმნის გარეშე
- ბ. master მონაცემთა ბაზის sysdatabases წარმოდგენაში იქმნება ახალი სტრიქონი, რომელიც შეიცავს მომხმარებლის მონაცემთა ბაზის აღწერას თვით მონაცემთა ბაზის შექმნის გარეშე
- გ. master მონაცემთა ბაზის sysdatabases წარმოდგენაში იქმნება ახალი სტრიქონი, რომელიც არ შეიცავს მომხმარებლის მონაცემთა ბაზის აღწერას თვით მონაცემთა ბაზის შექმნის გარეშე

2.4.8. სერვერთან მონაცემთა ბაზის მისაერთებლად გამოიყენება:

- ა. sp_detach_db შენახული პროცედურა
- ბ. sp_renamedb შენახული პროცედურა
- გ. sp_attach_db სისტემური შენახული პროცედურა

2.4.9. თუ მისაერთებელია 16-ზე მეტი ფაილი, მაშინ:

- ა. არ უნდა გამოვიყენოთ CREATE DATABASE FOR ATTACH ბრძანება
- ბ. უნდა გამოვიყენოთ CREATE DATABASE FOR ATTACH ბრძანება
- გ. უნდა გამოვიყენოთ sp_renamedb შენახული პროცედურა

2.4.10. სერვერთან მონაცემთა ბაზის მიერთებისას ტრანზაქციების ჟურნალის მიერთება:

- ა. აუცილებელი არ არის
- ბ. აუცილებელია

გ. ზოგჯერ არის აუცილებელი

2.4.11. მიერთების დროს:

- ა. ხდება, მონაცემების მთლიანობის შემოწმება და მოწმდება მონაცემთა ბაზის მომხმარებლების კავშირების კორექტულობა სააღრიცხვო ჩანაწერებთან
- ბ. ხდება, მონაცემების მთლიანობის შემოწმება და არ მოწმდება მონაცემთა ბაზის მომხმარებლების კავშირების კორექტულობა სააღრიცხვო ჩანაწერებთან
- გ. არ ხდება მონაცემების მთლიანობის შემოწმება და არ მოწმდება მონაცემთა ბაზის მომხმარებლების კავშირების კორექტულობა სააღრიცხვო ჩანაწერებთან

2.4.12. მონაცემთა ბაზების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. sp_changedb ბრძანება
- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. sp_helpdb შენახული პროცედურა

2.4.13. sp_helpdb ბრძანების სინტაქსია:

- ა. sp_helpdb [[@dbname =] 'მონაცემთა_ბაზის_სახელი']
- ბ. sp_helpdb [@dbname
- გ. sp_helpdb 'მონაცემთა_ბაზის_სახელი']

2.4.14. sp_helpdb ბრძანება გაცემს:

- ა. ცხრილის ზომას, მონაცემთა ბაზის შექმნის თარიღს და მის მიმდინარე სტატუსს
- ბ. მონაცემთა ბაზის მიმდინარე ზომას, მონაცემთა ბაზის მფლობელის სააღრიცხვო ჩანაწერის სახელს, ცხრილის სახელს
- გ. მონაცემთა ბაზის მიმდინარე ზომას, მონაცემთა ბაზის მფლობელის სააღრიცხვო ჩანაწერის სახელს, მონაცემთა ბაზის შექმნის თარიღს და მის მიმდინარე სტატუსს, ინფორმაციას მონაცემთა ბაზის ფაილების შესახებ

2.4.15.

```
EXEC sp_attach_db 'Baza1',  
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza1.mdf',  
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza1_log.ldf';
```

შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. Baza1 მონაცემთა ბაზა მიერთდება სერვერს
- ბ. Baza1 მონაცემთა ბაზა არ მიერთდება სერვერს
- გ. Baza1 მონაცემთა ბაზა გამოირთვება სერვერიდან

2.4.16.

```
EXEC sp_attach_db 'Baza2',  
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza2.mdf';
```

შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. Baza2 მონაცემთა ბაზა მიერთდება სერვერს
- ბ. Baza2 მონაცემთა ბაზა არ მიერთდება სერვერს
- გ. Baza2 მონაცემთა ბაზა გამოირთვება სერვერიდან

2.4.17. Baza2 მონაცემთა ბაზის მისაერთებლად სერვერთან უნდა შევასრულოთ შენახული

პროცედურა:

- ა. EXEC sp_attach_db 'Baza1',
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza2.mdf';
- ბ. EXEC sp_attach_db 'Baza2',
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza2.mdf';
- გ. EXEC sp_attach_db 'Baza2',
'C:\Program Files\Microsoft SQL Server\MSSQL10.MSSQLSERVER\MSSQL\DATA\Baza1.mdf';

2.4.18. EXEC sp_helpdb 'Shekveta'; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. არ მივიღებთ ინფორმაციას Shekveta მონაცემთა ბაზის შესახებ
- ბ. მივიღებთ ინფორმაციას Shekveta მონაცემთა ბაზის შესახებ
- გ. წაიშლება Shekveta მონაცემთა ბაზა

2.4.19. Shekveta მონაცემთა ბაზის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა შევიტანოთ ბრძანება:

- ა. sp_changedb 'Baza2'
- ბ. EXEC sp_attach_db 'Baza2'
- გ. EXEC sp_helpdb 'Shekveta';

მონაცემთა მომხმარებლის ტიპის შექმნა

2.5.1. მონაცემთა მომხმარებლის ტიპის შესაქმნელად გამოიყენება სისტემური შენახული პროცედურა:

- ა. sp_helpfilegroup
- ბ. sp_spaceused
- გ. sp_addtype

2.5.2. sp_addtype შენახული პროცედურის სინტაქსია:

- ა. sp_addtype [@typename=] ტიპის_სახელი, ,[@nulltype=] 'null_ტიპი'
- ბ. sp_addtype [@typename=] , [@phystype=] სისტემური_ტიპის_სახელი
[,[@nulltype=] 'null_ტიპი']
- გ. sp_addtype [@typename=] ტიპის_სახელი, [@phystype=] სისტემური_ტიპის_სახელი
[,[@nulltype=] 'null_ტიპი']

2.5.3. sp_addtype შენახული პროცედურის 'ტიპის_სახელი' არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. შესაქმნელი ტიპის იდენტიფიკატორს
- ბ. შესაქმნელი ტიპის სახელს
- გ. შესაქმნელი ტიპის ფაილს

2.5.4. sp_addtype შენახული პროცედურის ტიპის_სახელი არგუმენტი:

- ა. უნდა იყოს უნიკალური მფლობელის ფარგლებში
- ბ. არ უნდა იყოს უნიკალური მფლობელის ფარგლებში
- გ. უნდა იყოს უნიკალური სერვერის ფარგლებში

2.5.5. sp_addtype შენახული პროცედურის სისტემური_ტიპის_სახელი არგუმენტი განსაზღვრავს:

- ა. მონაცემების სისტემურ ტიპს, რომლის საფუძველზეც იქმნება მომხმარებლის ტიპი

- ბ. მონაცემების სისტემურ ტიპს, რომლის საფუძველზეც არ იქმნება მომხმარებლის ტიპი
- გ. მონაცემების არასისტემურ ტიპს, რომლის საფუძველზეც იქმნება მომხმარებლის ტიპი

2.5.6. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტი იღებს NULL მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. აკრძალულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. გამოიყენება ავტომატურად განსაზღვრული მნიშვნელობა

2.5.7. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტი იღებს NOT NULL მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. გამოიყენება ავტომატურად განსაზღვრული მნიშვნელობა
- გ. აკრძალულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.5.8. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტი იღებს NONULL მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. აკრძალულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. გამოიყენება ავტომატურად განსაზღვრული მნიშვნელობა
- გ. ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა

2.5.9. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტი მითითებული არ არის, მაშინ:

- ა. ნებადართულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- ბ. აკრძალულია NULL მნიშვნელობის შენახვა
- გ. მომხმარებლის ტიპის შექმნისას გამოიყენება ავტომატური მნიშვნელობა

2.5.10. თუ სვეტის შექმნის დროს აშკარადაა მითითებული NULL ან NOT NULL მნიშვნელობები, მაშინ:

- ა. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტის მნიშვნელობა იგნორირდება
- ბ.
- გ. `sp_addtype` შენახული პროცედურის 'null_ტიპი' არგუმენტის მნიშვნელობა არ იგნორირდება

2.5.11. მომხმარებლის ტიპის სახელის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. `sp_rename` შენახული პროცედურა
- ბ. `sp_addtype` შენახული პროცედურა
- გ. `sp_spaceused` შენახული პროცედურა

2.5.12. `sp_rename` შენახული პროცედურის სინტაქსია:

- ა. `sp_rename [@objname =]`
`[@newname=] 'მომხმარებლის_ტიპის_ახალი_სახელი',[@objtype=] 'ობიექტის_ტიპი'`
- ბ. `sp_rename [@objname =]` 'მომხმარებლის_ტიპის_ძველი_სახელი',
`[@newname=] 'მომხმარებლის_ტიპის_ახალი_სახელი',[@objtype=] 'ობიექტის_ტიპი'`
- გ. `sp_rename [@objname =]` 'მომხმარებლის_ტიპის_ძველი_სახელი',
`[@newname=] 'მომხმარებლის_ტიპის_ახალი_სახელი',[@objtype=]`

- 2.5.13. `sp_rename` შენახული პროცედურის 'მომხმარებლის_ტიპის_ძველი_სახელი' არგუმენტი:
- ა. არ არის მომხმარებლის ტიპის მიმდინარე სახელი, რომლის შეცვლაც გვინდა
 - ბ. არის მომხმარებლის ტიპის ახალი სახელი, რომლის შეცვლაც გვინდა
 - გ. არის მომხმარებლის ტიპის მიმდინარე სახელი, რომლის შეცვლაც გვინდა
- 2.5.14. `sp_rename` შენახული პროცედურის 'მომხმარებლის_ტიპის_ახალი_სახელი' არგუმენტი:
- ა. არ არის მომხმარებლის ტიპის ახალი სახელი
 - ბ. არის მომხმარებლის ტიპის მიმდინარე სახელი
 - გ. არის მომხმარებლის ტიპის ახალი სახელი
- 2.5.15. `sp_rename` შენახული პროცედურის 'ობიექტის_ტიპი' არგუმენტს მომხმარებლის ტიპისათვის სახელის შესაცვლელად უნდა მივანიჭოთ:
- ა. 'USERDATATYPE' მნიშვნელობა
 - ბ. 'USERDBTYPE' მნიშვნელობა
 - გ. 'USERDATETYPE' მნიშვნელობა
- 2.5.16. EXEC `sp_addtype mobiluri, 'VARCHAR(10)', 'NOT NULL'`; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:
- ა. წაიშლება mobiluri მომხმარებლის ტიპი
 - ბ. VARCHAR ტიპის საფუძველზე არ შეიქმნება mobiluri მომხმარებლის ტიპი
 - გ. VARCHAR ტიპის საფუძველზე შეიქმნება mobiluri მომხმარებლის ტიპი
- 2.5.17. DATETIME ტიპის საფუძველზე dabadebis_dge მომხმარებლის ტიპის შესაქმნელად უნდა შევასრულოთ შენახული პროცედურა:
- ა. `sp_spaceused` შენახული პროცედურა
 - ბ. `sp_rename` შენახული პროცედურა
 - გ. EXEC `sp_addtype dabadebis_dge, DATETIME, 'NULL'`;
- 2.5.18. EXEC `sp_rename N'mobiluri', N'Mobiluri_Telefoni', N'USERDATATYPE'`; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:
- ა. 'mobiluri' მომხმარებლის ტიპს დაერქმევა ახალი 'Mobiluri_Telefoni' სახელი
 - ბ. 'mobiluri' მომხმარებლის ტიპს არ დაერქმევა ახალი 'Mobiluri_Telefoni' სახელი
 - გ. 'Mobiluri_Telefoni' მომხმარებლის ტიპს დაერქმევა ახალი 'mobiluri' სახელი
- 2.5.19. 'mobiluri' მომხმარებლის ტიპისთვის ახალი 'Mobiluri_Telefoni' სახელის დასარქმევად უნდა შევასრულოთ შენახული პროცედურა:
- ა. EXEC `sp_rename N'mobiluri', N'Mobiluri_Telefoni', N'USERDATATYPE'`;
 - ბ. EXEC `sp_rename N'Mobiluri_Telefoni', N'mobiluri', N'USERDATATYPE'`;
 - გ. `sp_addtype`

თავი 3. ცხრილები

ცხრილების დაპროექტება

- 3.1.1. პირველადი გასაღების დანიშნულებაა:
- ა. ცხრილის მთლიანობის უზრუნველყოფა
 - ბ. მონაცემთა ბაზის მთლიანობის უზრუნველყოფა
 - გ. სვეტის მთლიანობის უზრუნველყოფა
- 3.1.2. პირველადი გასაღები შეიძლება შედგებოდეს:
- ა. მხოლოდ ერთი სვეტისგან
 - ბ. ერთი ან მეტი სვეტისაგან
 - გ. არც ერთი სვეტისაგან
- 3.1.3. თუ პირველადი გასაღები ერთი სვეტისაგან შედგება, მაშინ ამ სვეტის მნიშვნელობები:
- ა. უნიკალური უნდა იყოს
 - ბ. უნიკალური არ უნდა იყოს
 - გ. უნიკალური შეიძლება იყოს
- 3.1.4. თუ პირველადი გასაღები რამდენიმე სვეტისაგან შედგება, მაშინ თითოეული სვეტის შიგნით მნიშვნელობები შეიძლება:
- ა. არ გამეორდეს
 - ბ. გამეორდეს
 - გ. არ იყოს დუბლირებული
- 3.1.5. პირველად გასაღებში შემავალი ყველა სვეტის მნიშვნელობების ნებისმიერი კომბინაცია:
- ა. არ უნდა იყოს უნიკალური
 - ბ. უნდა იყოს დუბლირებული
 - გ. უნდა იყოს უნიკალური
- 3.1.6. პირველადი გასაღების შექმნის დროს მასში შემავალი სვეტებისათვის სერვერი ავტომატურად:
- ა. არ ქმნის უნიკალურ ინდექსს
 - ბ. ქმნის უნიკალურ ინდექსს
 - გ. ქმნის უნიკალურ ფაილს
- 3.1.7. მოთხოვნებში პირველადი გასაღების გამოყენების დროს უნიკალური ინდექსი პირველად გასაღებში შემავალი სვეტების მონაცემებთან მიმართებას:
- ა. ამცირებს
 - ბ. არ აჩქარებს
 - გ. აჩქარებს
- 3.1.8. ცხრილს შეიძლება ჰქონდეს:
- ა. მხოლოდ ერთი PRIMARY KEY შეზღუდვა
 - ბ. რამდენიმე PRIMARY KEY შეზღუდვა
 - გ. ორი PRIMARY KEY შეზღუდვა

3.1.9. პირველად გასაღებში შემავალი:

- ა. არც ერთი სვეტი არ უნდა შეიცავდეს NULL მნიშვნელობას
- ბ. ყველა სვეტი უნდა შეიცავდეს NULL მნიშვნელობას
- გ. ზოგიერთი სვეტი არ უნდა შეიცავდეს NULL მნიშვნელობას

3.1.10. პირველადი გასაღების ერთ-ერთი დანიშნულებაა:

- ა. ცხრილის მონაცემების გადაწერა
- ბ. რამდენიმე ცხრილის მონაცემების მიმართებითი მთლიანობის უზრუნველყოფა
- გ. ცხრილის მონაცემების წაკითხვა

3.1.11. გარე გასაღები შეიძლება შეიცავდეს:

- ა. ყველა სვეტს
- ბ. მხოლოდ ორ სვეტს
- გ. ერთ ან მეტ სვეტს

3.1.12. გარე გასაღები გამოიყენება:

- ა. სამ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად
- ბ. ორ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად
- გ. ერთ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად

3.1.13. დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებში შემავალ სვეტებში მონაცემებმა მხოლოდ ის მნიშვნელობები უნდა მიიღონ, რომლებიც აქვთ:

- ა. მათთან დაკავშირებული მთავარი ცხრილის გარე გასაღების სვეტებს
- ბ. მათთან დაკავშირებული მთავარი ცხრილის პირველადი გასაღების სვეტებს
- გ. მათთან დაკავშირებული მთავარი ცხრილის პირველადი გასაღების სტრიქონებს

3.1.14. FOREIGN KEY შეზღუდვის მთავარი მიზანია:

- ა. დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებში მოთავსებული მონაცემების მართვა
- ბ. დამოკიდებული ცხრილის პირველად გასაღებში მოთავსებული მონაცემების მართვა
- გ. მთავარი ცხრილის გარე გასაღებში მოთავსებული მონაცემების მართვა

3.1.15. FOREIGN KEY შეზღუდვა საშუალებას გვაძლევს ვმართოთ:

- ა. მთავარი ცხრილის გარე გასაღებში მონაცემების ცვლილება
- ბ. დამოკიდებული ცხრილის პირველად გასაღებში მონაცემების ცვლილება
- გ. მთავარი ცხრილის პირველად გასაღებში მონაცემების ცვლილება

3.1.16. თუ გარე გასაღების სვეტი NULL მნიშვნელობას შეიცავს, მაშინ:

- ა. შემოწმება FOREIGN KEY შეზღუდვაზე შესრულდება
- ბ. შემოწმება FOREIGN KEY შეზღუდვაზე არ შესრულდება
- გ. შემოწმება PRIMARY KEY შეზღუდვაზე არ შესრულდება

3.1.17. გარე გასაღების ინდექსირება:

- ა. ანელებს საჭირო მონაცემების მოძებნას
- ბ. არ აჩქარებს საჭირო მონაცემების მოძებნას
- გ. აჩქარებს საჭირო მონაცემების მოძებნას

3.1.18. UNIQUE შეზღუდვა განკუთვნილია:

- ა. სვეტში მნიშვნელობების უნიკალურობის უზრუნველსაყოფად
- ბ. სტრიქონში მნიშვნელობების უნიკალურობის უზრუნველსაყოფად
- გ. მონაცემთა ბაზაში მნიშვნელობების უნიკალურობის უზრუნველსაყოფად

3.1.19. PRIMARY KEY შეზღუდვისათვის:

- ა. ავტომატურად არ ხდება მნიშვნელობების უნიკალურობის უზრუნველყოფა
- ბ. ავტომატურად ხდება მნიშვნელობების უნიკალურობის უზრუნველყოფა
- გ. ავტომატურად ხდება მნიშვნელობების უნიკალურობის შეცვლა

3.1.20. თუ პირველადი გასაღები განსაზღვრულია და კიდევ ერთ ან მეტ სვეტშია საჭირო უნიკალურობის უზრუნველყოფა, მაშინ:

- ა. უნდა გამოვიყენოთ FOREIGN KEY შეზღუდვა
- ბ. არ უნდა გამოვიყენოთ UNIQUE შეზღუდვა
- გ. უნდა გამოვიყენოთ UNIQUE შეზღუდვა

3.1.21. FOREIGN KEY შეზღუდვისაგან განსხვავებით UNIQUE შეზღუდვა:

- ა. უშვებს სვეტში NULL მნიშვნელობის არსებობას
- ბ. არ უშვებს სვეტში NULL მნიშვნელობის არსებობას
- გ. უშვებს მონაცემთა ბაზაში NULL მნიშვნელობის არსებობას

3.1.22. UNIQUE შეზღუდვის გამოყენებისას შესაბამის სვეტში შეიძლება იყოს:

- ა. სამი NULL მნიშვნელობა
- ბ. ორი NULL მნიშვნელობა
- გ. მხოლოდ ერთი NULL მნიშვნელობა

3.1.23. CHECK შეზღუდვა განსაზღვრავს შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონს:

- ა. მხოლოდ ერთი სვეტისთვის
- ბ. ერთი ან მეტი სვეტისთვის
- გ. ერთი სტრიქონისთვის

3.1.24. ერთი სვეტისთვის შეიძლება განისაზღვროს:

- ა. რამდენიმე CHECK შეზღუდვა
- ბ. მხოლოდ ერთი CHECK შეზღუდვა
- გ. არც ერთი CHECK შეზღუდვა

3.1.25. თუ რამდენიმე სვეტის მიმართ უნდა გამოვიყენოთ ერთი და იგივე CHECK შეზღუდვა, მაშინ ეს შეზღუდვა:

- ა. ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს თითოეული მონაცემთა ბაზისთვის
- ბ. ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს თითოეული სტრიქონისთვის
- გ. ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს თითოეული სვეტისთვის

3.1.26. CHECK შეზღუდვას საფუძვლად უდევს:

- ა. არითმეტიკული გამოსახულება
- ბ. ლოგიკური გამოსახულება
- გ. ფიზიკური გამოსახულება

- 3.1.27. თუ CHECK შეზღუდვაში ლოგიკური გამოსახულება იღებს true მნიშვნელობას, მაშინ:
- ა. მთლიანობის შეზღუდვა არ სრულდება და მონაცემების შეცვლისა და ჩასმის ოპერაციები ნებადართული იქნება
 - ბ. მთლიანობის შეზღუდვა სრულდება და მონაცემების შეცვლისა და ჩასმის ოპერაციები ნებადართული იქნება
 - გ. მთლიანობის შეზღუდვა სრულდება და მონაცემების შეცვლისა და ჩასმის ოპერაციები ნებადართული არ იქნება
- 3.1.28. თუ მითითებულია რამდენიმე CHECK შეზღუდვა, მაშინ ისინი:
- ა. გამოყენებული იქნება იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც მოხდა მათი შექმნა
 - ბ. გამოყენებული არ იქნება იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც მოხდა მათი შექმნა
 - გ. გამოყენებული იქნება იმ მიმდევრობით, რა მიმდევრობითაც არ მოხდა მათი შექმნა
- 3.1.29. CHECK შეზღუდვებში:
- ა. დასაშვებია სხვა სტრიქონების სახელების მითითებაც
 - ბ. დაუშვებელია სხვა სვეტების სახელების მითითებაც
 - გ. დასაშვებია სხვა სვეტების სახელების მითითებაც
- 3.1.30. თითოეული სტრიქონის სვეტი ყოველთვის შეიცავს:
- ა. კონკრეტულ ან NULL მნიშვნელობას
 - ბ. მხოლოდ NULL მნიშვნელობას
 - გ. მხოლოდ კონკრეტულ მნიშვნელობას
- 3.1.31. თუ სვეტისათვის განსაზღვრულია ნაგულისხმევი მნიშვნელობა, მაშინ:
- ა. ის იქნება სვეტის მნიშვნელობა, თუ აშკარად მივუთითებთ ამ სვეტის მნიშვნელობას
 - ბ. ის არ იქნება სვეტის მნიშვნელობა, თუ აშკარად არ მივუთითებთ ამ სვეტის მნიშვნელობას
 - გ. ის იქნება სვეტის მნიშვნელობა, თუ აშკარად არ მივუთითებთ ამ სვეტის მნიშვნელობას
- 3.1.32. ნაგულისხმევი მნიშვნელობა შეგვიძლია გამოვიყენოთ მაშინ, როცა სვეტს:
- ა. ხშირად ენიჭება ერთი და იგივე მნიშვნელობა
 - ბ. იშვიათად ენიჭება ერთი და იგივე მნიშვნელობა
 - გ. არასოდეს არ ენიჭება ერთი და იგივე მნიშვნელობა
- 3.1.33. ნაგულისხმევი მნიშვნელობის განსაზღვრისას:
- ა. არ შეგვიძლია ჩადგმული ფუნქციების გამოყენებაც
 - ბ. შეგვიძლია ჩადგმული ფუნქციების გამოყენებაც
 - გ. შეუძლებელია ჩადგმული ფუნქციების გამოყენებაც
- 3.1.34. სვეტი-მთვლელისთვის სრულდება უნიკალური მნიშვნელობების:
- ა. ხელით გენერირება
 - ბ. ავტომატურად გენერირება
 - გ. არანაირი გენერირება
- 3.1.35. IDENTITY საკვანძო სიტყვის გამოყენება:
- ა. უზრუნველყოფს მონაცემების უნიკალურობას ორი სვეტის ფარგლებში

- ბ. არ უზრუნველყოფს მონაცემების უნიკალურობას ერთი სვეტის ფარგლებში
 - გ. უზრუნველყოფს მონაცემების უნიკალურობას ერთი სვეტის ფარგლებში
- 3.1.36. სვეტი-მთვლელის განსაზღვრისას უნდა მივუთითოთ:
- ა. მისი საწყისი მნიშვნელობა და ბიჯი
 - ბ. მისი ბიჯი
 - გ. მისი საწყისი მნიშვნელობა
- 3.1.37. თუ სვეტი-მთვლელის საწყისი მნიშვნელობა და ბიჯი მითითებული არ არის, მაშინ:
- ა. ორივეს მნიშვნელობა 1-ის ტოლი იქნება
 - ბ. ორივეს მნიშვნელობა 10-ის ტოლი იქნება
 - გ. ორივეს მნიშვნელობა 0-ის ტოლი იქნება
- 3.1.38. ცხრილს შეიძლება ჰქონდეს:
- ა. ორი სვეტი-მთვლელი
 - ბ. მხოლოდ ერთი სვეტი-მთვლელი
 - გ. სამი სვეტი-მთვლელი
- 3.1.39. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია IDENTITY თვისება, მაშინ ამ სვეტის ტიპი უნდა იყოს:
- ა. DATETIME, DECIMAL
 - ბ. FLOAT, NUMERIC
 - გ. BIGINT, DECIMAL, INT, NUMERIC, SMALLINT, TINYINT
- 3.1.40. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია IDENTITY თვისება, მაშინ ამ სვეტისთვის:
- ა. აკრძალული უნდა იყოს NULL მნიშვნელობის შენახვა
 - ბ. ნებადართული უნდა იყოს NULL მნიშვნელობის შენახვა
 - გ. აკრძალული არ უნდა იყოს NULL მნიშვნელობის შენახვა
- 3.1.41. თუ სვეტისთვის განსაზღვრულია IDENTITY თვისება, მაშინ ამ სვეტისთვის:
- ა. სვეტისთვის უნდა იყოს განსაზღვრული ავტომატური (ნაგულისხმევი) მნიშვნელობა
 - ბ. სვეტისთვის არ უნდა იყოს განსაზღვრული ავტომატური (ნაგულისხმევი) მნიშვნელობა
 - გ. შეიძლება განსაზღვრული იყოს ავტომატური (ნაგულისხმევი) მნიშვნელობა
- 3.1.42. სვეტი-მთვლელი:
- ა. აუცილებლად უნდა შევიდეს ცხრილის პირველადი გასაღების შემადგენლობაში
 - ბ. არ უნდა შევიდეს ცხრილის პირველადი გასაღების შემადგენლობაში
 - გ. შეიძლება შევიდეს ცხრილის პირველადი გასაღების შემადგენლობაში
- 3.1.43. მიმდინარე IDENTITY მნიშვნელობა ინახება:
- ა. master მონაცემთა ბაზის sys.identity_columns სისტემურ წარმოდგენაში
 - ბ. ამავე მონაცემთა ბაზის sys.identity_columns სისტემურ წარმოდგენაში
 - გ. model მონაცემთა ბაზის sys.identity_columns სისტემურ წარმოდგენაში
- 3.1.44. თუ ცხრილიდან ყველა სტრიქონს წავშლით:
- ა. ეს არ გამოიწვევს სვეტი-მთვლელში ნუმერაციის თავიდან დაწყებას
 - ბ. ეს გამოიწვევს სვეტი-მთვლელში ნუმერაციის თავიდან დაწყებას

გ. ეს გამოიწვევს სვეტი-მთვლელობის ნუმერაციის ნულიდან დაწყებას

3.1.45. თუ სტრიქონის ჩასმა არ მოხერხდა, მაშინ სერვერი:

- ა. მაინც გაზრდის სვეტი-მთვლელობის მნიშვნელობას
- ბ. არ გაზრდის სვეტი-მთვლელობის მნიშვნელობას
- გ. შეამცირებს სვეტი-მთვლელობის მნიშვნელობას

3.1.46. თუ ცხრილის უკანასკნელ სტრიქონს წავშლით, რომელშიც სვეტი-მთვლელობის მნიშვნელობა იყო 20 და შემდეგ ერთ სტრიქონს დავუმატებთ, მაშინ დამატებულ სტრიქონში სვეტი-მთვლელობის მნიშვნელობა იქნება:

- ა. 19
- ბ. 20
- გ. 21

ცხრილის შექმნა. ცხრილის წაშლა

3.2.1. ცხრილის შესაქმნელად გამოიყენება ბრძანება:

- ა. CREATE TABLE
- ბ. DBCC CHECKIDENT
- გ. SET IDENTITY_INSERT

3.2.2. თუ CREATE TABLE ბრძანებაში მითითებულია არ არის მონაცემთა ბაზის სახელი, მაშინ:

- ა. ცხრილი model მონაცემთა ბაზაში შეიქმნება
- ბ. ცხრილი მიმდინარე მონაცემთა ბაზაში არ შეიქმნება
- გ. ცხრილი მიმდინარე მონაცემთა ბაზაში შეიქმნება

3.2.3. ცხრილის სახელისა და სქემის სახელის კომბინაცია:

- ა. უნიკალური არ უნდა იყოს მონაცემთა ბაზის ფარგლებში
- ბ. უნიკალური უნდა იყოს მონაცემთა ბაზის ფარგლებში
- გ. უნიკალური უნდა იყოს სერვერის ფარგლებში

3.2.4. თუ ცხრილი არ იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში, მაშინ მონაცემთა ბაზის სახელი:

- ა. აშკარად უნდა მივუთითოთ
- ბ. აშკარად არ უნდა მივუთითოთ
- გ. საერთოდ არ უნდა მივუთითოთ

3.2.5. თუ ცხრილის სახელის წინ მივუთითებთ # სიმბოლოს, მაშინ შეიქმნება:

- ა. არალოკალური დროებითი ცხრილი
- ბ. ლოკალური დროებითი ცხრილი
- გ. გლობალური დროებითი ცხრილი

3.2.6. თუ ცხრილის სახელის წინ მივუთითებთ ## სიმბოლოებს, მაშინ შეიქმნება:

- ა. გლობალური დროებითი ცხრილი
- ბ. არაგლობალური დროებითი ცხრილი
- გ. ლოკალური დროებითი ცხრილი

3.2.7. CREATE TABLE ბრძანებაში 'გამოსახულება' არგუმენტის გამოთვლის შედეგად:

- ა. მიიღება მნიშვნელობა ჩვეულებრივი სვეტისათვის
- ბ. არ მიიღება მნიშვნელობა გამოთვლადი სვეტისათვის
- გ. მიიღება მნიშვნელობა გამოთვლადი სვეტისათვის

3.2.8. გამოთვლადი სვეტები:

- ა. ვირტუალური სტრიქონებია
- ბ. არაა ვირტუალური სვეტები
- გ. ვირტუალური სვეტებია

3.2.9. გამოთვლადი სვეტები:

- ა. ფიზიკურად არ ინახება ცხრილში
- ბ. ფიზიკურად ინახება ცხრილში
- გ. ფიზიკურად ინახება ცხრილში

3.2.10. გამოთვლადი სვეტის მნიშვნელობა:

- ა. არ გამოითვლება ცხრილის გახსნის დროს ამავე ცხრილის სხვა სვეტების მნიშვნელობების გამოყენებით
- ბ. გამოითვლება ცხრილის გახსნის დროს ამავე ცხრილის სხვა სვეტების მნიშვნელობების გამოყენებით
- გ. გამოითვლება ცხრილის დახურვის დროს ამავე ცხრილის სხვა სვეტების მნიშვნელობების გამოყენებით

3.2.11. CREATE TABLE ბრძანებაში 'გამოსახულება' არგუმენტი:

- ა. შეიძლება შეიცავდეს სტრიქონების სახელებს
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს სვეტების სახელებს, მუდმივებს, ფუნქციებს
- გ. შეიძლება შეიცავდეს სვეტების სახელებს, მუდმივებს, ფუნქციებს

3.2.12. CREATE TABLE ბრძანების 'გამოსახულება' არგუმენტში ქვემოთხოვანების გამოყენება:

- ა. დასაშვებია
- ბ. დაუშვებელია
- გ. ხანდახან დასაშვებია

3.2.13. გამოთვლადი სვეტები:

- ა. შეიძლება ჩართული იყოს SELECT მოთხოვნაში სვეტების სიის მითითების დროს
- ბ. არ შეიძლება ჩართული იყოს SELECT მოთხოვნაში სვეტების სიის მითითების დროს
- გ. შეიძლება ჩართული იყოს SELECT მოთხოვნაში სტრიქონების სიის მითითების დროს

3.2.14. გამოთვლადი სვეტები:

- ა. შეიძლება გამოვიყენოთ ინდექსებში
- ბ. არ შეიძლება გამოვიყენოთ ინდექსებში
- გ. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ინდექსებში

3.2.15. გამოთვლადი სვეტები:

- ა. არ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც პირველადი გასაღების ნაწილი
- ბ. შეიძლება გამოვიყენოთ როგორც პირველადი გასაღების ნაწილი

გ. შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გარე გასაღების ნაწილი

3.2.16. თუ გამოთვლადი სვეტი გამოიყენება ინდექსში ან როგორც პირველადი გასაღების ნაწილი, მაშინ გამოთვლადი სვეტის მნიშვნელობები:

- ა. უნდა განისაზღვროდეს არადეტერმინირებული გამოსახულებით
- ბ. არ უნდა განისაზღვროდეს დეტერმინირებული გამოსახულებით
- გ. უნდა განისაზღვროდეს დეტერმინირებული გამოსახულებით

3.2.17. დავუშვათ ცხრილში გვაქვს ორი მთელი ცხვით სვეტი A და B, ხოლო გამოთვლადი სვეტის მნიშვნელობა გამოითვლება $A + B$ გამოსახულებით. ასეთ შემთხვევაში, ამ სვეტის ინდექსირება:

- ა. ხანდახან არ შეიძლება
- ბ. არ შეიძლება
- გ. შეიძლება

3.2.18. თუ გამოთვლადი სვეტი განისაზღვრება $A + DATEPART(dd, GETDATE())$ გამოსახულებით, მაშინ მისი ინდექსირება:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

3.2.19. გამოთვლადი სვეტისათვის:

- ა. არ შეიძლება UNIQUE მნიშვნელობის განსაზღვრა
- ბ. შეიძლება UNIQUE მნიშვნელობის განსაზღვრა
- გ. ხანდახან შეიძლება UNIQUE მნიშვნელობის განსაზღვრა

3.2.20. გამოთვლადი სვეტები:

- ა. ხანდახან უნდა შევიდეს გარე გასაღების შემადგენლობაში
- ბ. უნდა შევიდეს გარე გასაღების შემადგენლობაში
- გ. არ უნდა შევიდეს გარე გასაღების შემადგენლობაში

3.2.21. გამოთვლადი სვეტებისთვის:

- ა. შეიძლება ავტომატური მნიშვნელობების განსაზღვრა
- ბ. არ შეიძლება ავტომატური მნიშვნელობების განსაზღვრა
- გ. ხანდახან შეიძლება ავტომატური მნიშვნელობების განსაზღვრა

3.2.22. გამოთვლადი სვეტების გამოყენება:

- ა. არ შეიძლება INSERT და UPDATE ოპერაციებში
- ბ. შეიძლება INSERT და UPDATE ოპერაციებში
- გ. ხანდახან შეიძლება INSERT და UPDATE ოპერაციებში

3.2.23. სვეტის განსაზღვრისას DEFAULT არგუმენტი:

- ა. მიუთითებს ნაგულისხმევ მნიშვნელობას მოცემული სტრიქონისთვის
- ბ. არ მიუთითებს ნაგულისხმევ მნიშვნელობას მოცემული სვეტისათვის
- გ. მიუთითებს ნაგულისხმევ (ავტომატურ) მნიშვნელობას მოცემული სვეტისათვის

3.2.24. DEFAULT მნიშვნელობა მიენიჭება სვეტს თუ სტრიქონის ჩასმისას:

- ა. აშკარად იქნება მითითებული სვეტის მნიშვნელობა
- ბ. აშკარად არ იქნება მითითებული სვეტის მნიშვნელობა
- გ. აშკარად არ იქნება მითითებული სტრიქონის მნიშვნელობა

3.2.25. ნაგულისხმევი (DEFAULT) მნიშვნელობის განსაზღვრა:

- ა. არ შეიძლება timestamp ტიპის სვეტებისათვის, აგრეთვე, IDENTITY თვისების მქონე სვეტებისათვის
- ბ. შეიძლება timestamp ტიპის სვეტებისათვის, აგრეთვე, IDENTITY თვისების მქონე სვეტებისათვის
- გ. ხანდახან შეიძლება timestamp ტიპის სვეტებისათვის, აგრეთვე, IDENTITY თვისების მქონე სვეტებისათვის

3.2.26. ნაგულისხმევი (DEFAULT) მნიშვნელობა:

- ა. აუცილებლად უნდა იყოს მუდმივა
- ბ. არ შეიძლება იყოს მუდმივა, სისტემური ფუნქციების მნიშვნელობები
- გ. შეიძლება იყოს მუდმივა, სისტემური ფუნქციების მნიშვნელობები

3.2.27. თუ სვეტისათვის არ არის განსაზღვრული DEFAULT მნიშვნელობა და სვეტისათვის არ არის მითითებული მნიშვნელობა სტრიქონის დამატებისას, მაშინ სვეტს:

- ა. NULL მნიშვნელობა მიენიჭება, თუ ეს ნებადართულია
- ბ. NULL მნიშვნელობა მიენიჭება, თუ ეს ნებადართული არაა
- გ. ნული მიენიჭება

3.2.28. სვეტის განსაზღვრისას IDENTITY არგუმენტი მიუთითებს, რომ შესაბამისი სვეტი:

- ა. იქნება სტრიქონი-მთვლელი
- ბ. არ იქნება სვეტი-მთვლელი
- გ. იქნება სვეტი-მთვლელი

3.2.29. თუ სვეტის განსაზღვრისას გამოყენებულია IDENTITY არგუმენტი, მაშინ 'საწყისი_მნიშვნელობა' არის:

- ა. მთვლელის ნაზრდი
- ბ. მთვლელის საწყისი მნიშვნელობა
- გ. მთვლელის საბოლოო მნიშვნელობა

3.2.30. თუ სვეტის განსაზღვრისას გამოყენებულია IDENTITY არგუმენტი, მაშინ 'ნაზრდი' არის:

- ა. მთვლელის საბოლოო მნიშვნელობა
- ბ. მთვლელის ნაზრდი
- გ. მთვლელის საწყისი მნიშვნელობა

3.2.31. სვეტის შეზღუდვის მითითებისას CONSTRAINT პარამეტრის შემდეგ ეთითება:

- ა. სვეტის მნიშვნელობებზე შეზღუდვის სახელი, რომელიც მონაცემთა ბაზის ფარგლებში უნიკალური უნდა იყოს
- ბ. სვეტის მნიშვნელობებზე შეზღუდვის სახელი, რომელიც მონაცემთა ბაზის ფარგლებში უნიკალური არ უნდა იყოს
- გ. სვეტის მნიშვნელობებზე შეზღუდვის სახელი, რომელიც სერვერის ფარგლებში უნიკალური უნდა იყოს

- 3.2.32. სვეტის შეზღუდვის მითითებისას NULL პარამეტრი:
- ა. გვაძლევს სტრიქონში NULL მნიშვნელობის შენახვის უფლებას
 - ბ. არ გვაძლევს სვეტში NULL მნიშვნელობის შენახვის უფლებას
 - გ. გვაძლევს სვეტში NULL მნიშვნელობის შენახვის უფლებას
- 3.2.33. სვეტის შეზღუდვის მითითებისას NOT NULL პარამეტრი:
- ა. არ კრძალავს სვეტში NULL მნიშვნელობის შენახვას
 - ბ. კრძალავს სვეტში NULL მნიშვნელობის შენახვას
 - გ. კრძალავს სვეტში ნულის შენახვას
- 3.2.34. სვეტის შეზღუდვის მითითებისას PRIMARY KEY პარამეტრი მიუთითებს, რომ სვეტის ბაზაზე:
- ა. უნდა შეიქმნას გარე გასაღები
 - ბ. არ უნდა შეიქმნას პირველადი გასაღები
 - გ. უნდა შეიქმნას პირველადი გასაღები
- 3.2.35. თითოეული ცხრილისათვის შეიძლება შეიქმნას მხოლოდ:
- ა. ორი PRIMARY KEY შეზღუდვა
 - ბ. ერთი PRIMARY KEY შეზღუდვა
 - გ. რამდენიმე PRIMARY KEY შეზღუდვა
- 3.2.36. თუ სვეტის შეზღუდვაში მითითებულია PRIMARY KEY პარამეტრი, მაშინ პირველადი გასაღები ასეთი გზით განისაზღვრება:
- ა. ცხრილის დონეზე
 - ბ. სვეტის დონეზე
 - გ. მონაცემთა ბაზის დონეზე
- 3.2.37. თუ სვეტის შეზღუდვაში მითითებულია PRIMARY KEY პარამეტრი, მაშინ პირველადი გასაღები შემდგარი იქნება მხოლოდ:
- ა. ერთი სვეტისაგან
 - ბ. ორი სვეტისაგან
 - გ. ერთმდენიმე სვეტისაგან
- 3.2.38. თუ საჭიროა პირველადი გასაღების ფორმირება ორი და მეტი სვეტის ბაზაზე, მაშინ საჭიროა მისი კონფიგურირება:
- ა. სვეტის დონეზე
 - ბ. ცხრილის დონეზე
 - გ. მონაცემთა ბაზის დონეზე
- 3.2.39. სვეტის შეზღუდვაში UNIQUE პარამეტრი მიუთითებს, რომ სვეტში მოთავსებული მონაცემები:
- ა. უნიკალური არ იქნება, ანუ სვეტში არ მოთავსდება გამეორებადი მნიშვნელობები
 - ბ. უნიკალური იქნება, ანუ სვეტში არ მოთავსდება გამეორებადი მნიშვნელობები
 - გ. უნიკალური იქნება, ანუ სვეტში მოთავსდება გამეორებადი მნიშვნელობები

3.2.40. UNIQUE მთლიანობის შეზღუდვისათვის ავტომატურად:

- ა. ხანდახან იქმნება ინდექსი
- ბ. არ იქმნება ინდექსი
- გ. იქმნება ინდექსი

3.2.41. ერთ ცხრილში სხვადასხვა სვეტისთვის:

- ა. შეგვიძლია შევქმნათ მხოლოდ ორი UNIQUE შეზღუდვა
- ბ. არ შეგვიძლია შევქმნათ რამდენიმე UNIQUE შეზღუდვა
- გ. შეგვიძლია შევქმნათ რამდენიმე UNIQUE შეზღუდვა

3.2.42. CLUSTERED პარამეტრი გამოიყენება სვეტისათვის:

- ა. კლასტერული ინდექსის შესაქმნელად
- ბ. არაკლასტერული ინდექსის შესაქმნელად
- გ. კლასტერული ტრიგერის შესაქმნელად

3.2.43. NOT CLUSTERED პარამეტრი გამოიყენება სვეტისათვის:

- ა. არაკლასტერული ტრიგერის შესაქმნელად
- ბ. არაკლასტერული ინდექსის შესაქმნელად
- გ. კლასტერული ინდექსის შესაქმნელად

3.2.44. CLUSTERED და NOT CLUSTERED პარამეტრები:

- ა. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ PRIMARY KEY ან UNIQUE საკვანძო სიტყვებთან ერთად
- ბ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ PRIMARY KEY ან UNIQUE საკვანძო სიტყვებთან ერთად
- გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ PRIMARY KEY ან UNIQUE საკვანძო სიტყვებთან ერთად

3.2.45. PRIMARY KEY შეზღუდვისათვის ავტომატურად:

- ა. იქმნება არაკლასტერული ინდექსი
- ბ. იქმნება კლასტერული ინდექსი
- გ. არ იქმნება კლასტერული ინდექსი

3.2.46. UNIQUE შეზღუდვისათვის ავტომატურად:

- ა. იქმნება არაკლასტერული ინდექსი
- ბ. იქმნება კლასტერული ინდექსი
- გ. არ იქმნება არაკლასტერული ინდექსი

3.2.47. [FOREIGN KEY] REFERENCES მთავარი_ცხრილი [(სვეტის_სახელი [,...n])] პარამეტრი მიუთითებს, რომ 'მთავარი_ცხრილი' პარამეტრით განსაზღვრული ცხრილისათვის სვეტი:

- ა. იქნება პირველადი გასაღები
- ბ. არ იქნება გარე გასაღები
- გ. იქნება გარე გასაღები

3.2.48. გარე გასაღებში შემავალი სვეტები:

- ა. არ შეიძლება მიმართავდეს მხოლოდ 'მთავარი_ცხრილი' პარამეტრით განსაზღვრული ცხრილის PRIMARY KEY ან UNIQUE შეზღუდვის მქონე სვეტებს
- ბ. შეიძლება მიმართავდეს მხოლოდ 'მთავარი_ცხრილი' პარამეტრით განსაზღვრული

ცხრილის PRIMARY KEY ან UNIQUE შეზღუდვის მქონე სვეტებს

გ. შეიძლება მიმართავდეს მხოლოდ 'მთავარი_ცხრილი' პარამეტრით განსაზღვრული ცხრილის FOREIGN KEY შეზღუდვის მქონე სვეტებს

3.2.49. თუ მივუთითებთ ON DELETE CASCADE პარამეტრს, მაშინ მთავარი ცხრილიდან სტრიქონის წაშლის შემთხვევაში დამოკიდებულ ცხრილში:

- ა. შესრულდება სტრიქონების ჩამატება
- ბ. არ წაიშლება შესაბამისი სტრიქონი ან სტრიქონები
- გ. წაიშლება შესაბამისი სტრიქონი ან სტრიქონები

3.2.50. თუ მივუთითებთ ON DELETE NO ACTION პარამეტრს, მაშინ:

- ა. სერვერი გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და სტრიქონები არ წაიშლება მთავარი ცხრილიდან
- ბ. სერვერი არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და სტრიქონები არ წაიშლება მთავარი ცხრილიდან
- გ. სერვერი გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და სტრიქონები წაიშლება მთავარი ცხრილიდან

3.2.51. ON DELETE პარამეტრში NO ACTION რეჟიმი:

- ა. ნაწილობრივ იგულისხმება
- ბ. ავტომატურად იგულისხმება
- გ. ავტომატურად არ იგულისხმება

3.2.52. თუ მივუთითებთ ON UPDATE CASCADE პარამეტრს, მაშინ მთავარი ცხრილის პირველადი გასაღების მნიშვნელობის შეცვლისას დამოკიდებული ცხრილის შესაბამის სტრიქონებში:

- ა. შეიცვლება პირველადი გასაღების მნიშვნელობაც
- ბ. არ შეიცვლება გარე გასაღების მნიშვნელობაც
- გ. შეიცვლება გარე გასაღების მნიშვნელობაც

3.2.53. თუ მივუთითებთ ON UPDATE NO ACTION პარამეტრს, მაშინ სერვერი:

- ა. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და არ შეასრულებს ცვლილებებს მთავარ ცხრილში
- ბ. არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და არ შეასრულებს ცვლილებებს მთავარ ცხრილში
- გ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და შეასრულებს ცვლილებებს მთავარ ცხრილში

3.2.54. CHECK (ლოგიკური_გამოსახულება) პარამეტრი:

- ა. ახორციელებს მთლიანობის შეზღუდვას იმ შესაძლო მნიშვნელობების შემოწმების გზით, რომლებიც არ შეგვაქვს სვეტში ან სვეტებში
- ბ. არ ახორციელებს მთლიანობის შეზღუდვას
- გ. ახორციელებს მთლიანობის შეზღუდვას იმ შესაძლო მნიშვნელობების შემოწმების გზით, რომლებიც შეგვაქვს სვეტში ან სვეტებში

3.2.55. თუ CHECK (ლოგიკური_გამოსახულება) პარამეტრში ლოგიკური გამოსახულება იღებს true მნიშვნელობას, მაშინ მონაცემების შეცვლის ან ჩასმის ოპერაციები:

- ა. ნებადართული არ იქნება
- ბ. ნებადართული იქნება
- გ. ხანდახან იქნება ნებადართული

3.2.56. თუ CHECK (ლოგიკური_გამოსახულება) პარამეტრში ლოგიკური გამოსახულება იღებს false მნიშვნელობას, მაშინ მონაცემების შეცვლის ან ჩასმის ოპერაციები:

- ა. ნებადართული არ იქნება
- ბ. ხანდახან არ იქნება ნებადართული
- გ. ნებადართული იქნება

3.2.57. <ცხრილის_შეზღუდვა> კონსტრუქცია განსაზღვრავს მთლიანობის შეზღუდვებს:

- ა. სვეტის დონეზე
- ბ. მონაცემთა ბაზის დონეზე
- გ. ცხრილის დონეზე

3.2.58. <ცხრილის_შეზღუდვა> კონსტრუქციაში თუ მითითებულია ASC, მაშინ ინდექსში მონაცემები:

- ა. დახარისხდება კლებადობის მიხედვით
- ბ. არ დახარისხდება
- გ. დახარისხდება ზრდადობის მიხედვით

3.2.59. <ცხრილის_შეზღუდვა> კონსტრუქციაში თუ მითითებულია DESC, მაშინ ინდექსში მონაცემები:

- ა. დახარისხდება ზრდადობის მიხედვით
- ბ. დახარისხდება კლებადობის მიხედვით
- გ. არ დახარისხდება

3.2.60. ცხრილის წასაშლელად გამოიყენება ბრძანება:

- ა. DROP TABLE
- ბ. CREATE TABLE
- გ. DROP DATABASE

3.2.61. იმისათვის, რომ შევძლოთ ცხრილის წაშლა:

- ა. არ უნდა ვიყოთ სერვერის sysadmin სტანდარტული როლის წევრი, ან მონაცემთა ბაზის db_owner ან db_dba სტანდარტული როლის წევრი
- ბ. უნდა ვიყოთ სერვერის sysadmin სტანდარტული როლის წევრი, ან მონაცემთა ბაზის db_owner ან db_dba სტანდარტული როლის წევრი
- გ. არ უნდა ვიყოთ სერვერის sysadmin სტანდარტული როლის წევრი

3.2.62. ჩვენ ვერ წავშლით ცხრილს თუ

- ა. არსებობენ ცხრილები, რომლებიც არ მიმართავენ ამ ცხრილს გარე გასაღების საშუალებით ან თუ ამ ცხრილთან დაკავშირებულია ერთი ან მეტი წარმოდგენა
- ბ. არ არსებობენ ცხრილები, რომლებიც მიმართავენ ამ ცხრილს გარე გასაღების საშუალებით ან თუ ამ ცხრილთან დაკავშირებული არ არის ერთი ან მეტი წარმოდგენა
- გ. არსებობენ ცხრილები, რომლებიც მიმართავენ ამ ცხრილს გარე გასაღების საშუალებით ან თუ ამ ცხრილთან დაკავშირებულია ერთი ან მეტი წარმოდგენა

3.2.63.

```
CREATE TABLE Cxrili
(  
cxriliID INT PRIMARY KEY IDENTITY (1,1),  
sveti1 INT,  
sveti2 NVARCHAR(20),  
sveti3 FLOAT,  
sveti4 DATETIME  
);
```

ბრძანების შესრულების შედეგად:

FROM Xelshekruleba ORDER BY tarigi_dawyebis, vali_1 DESC;

COMPUTE განყოფილება

4.10.1. COMPUTE განყოფილება საშუალებას გვაძლევს არჩეული:

- ა. სვეტების მიმართ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები
- ბ. სვეტების მიმართ არ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები
- გ. სტრიქონების მიმართ გამოვიყენოთ აგრეგირების ფუნქციები

4.10.2. COMPUTE განყოფილების გამოყენების შემთხვევაში, აგრეგირების შედეგი:

- ა. არ გაიცემა ცალკე სტრიქონის სახით, მონაცემების შემდეგ
- ბ. გაიცემა ცალკე სტრიქონის სახით, მონაცემების შემდეგ
- გ. გაიცემა ცალკე სვეტის სახით, მონაცემების შემდეგ

4.10.3. COMPUTE განყოფილებაში BY 'გამოსახულება' არგუმენტი:

- ა. უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული არ იქნება შედეგში
- ბ. არ უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული იქნება შედეგში
- გ. უნდა შეიცავდეს სააგრეგირებელი სვეტის სახელს, რომელიც ჩართული იქნება შედეგში

4.10.4. COMPUTE განყოფილებაში BY სიტყვა მიუთითებს, რომ გამოთვლის შედეგი:

- ა. უნდა დაჯგუფდეს
- ბ. არ უნდა დაჯგუფდეს
- გ. უნდა დაჯგუფდეს როგორც სვეტების, ისე სტრიქონების მიხედვით

4.10.5. COMPUTE განყოფილების გამოყენებისას შედეგი წინასწარ უნდა იყოს დახარისხებული იმ სვეტის მიხედვით, რომლის მიხედვითაც:

- ა. უნდა მოხდეს მონაცემთა ბაზის არჩევა
- ბ. არ უნდა შესრულდეს დაჯგუფება
- გ. უნდა შესრულდეს დაჯგუფება

4.10.6. COMPUTE განყოფილებაში:

- ა. დაუშვებელია DISTINCT საკვანძო სიტყვის გამოყენება
- ბ. დასაშვებია DISTINCT საკვანძო სიტყვის გამოყენება
- გ. დასაშვებია CREATE TABLE ბრძანების გამოყენება

4.10.7. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 2000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1);

მოთხოვნის შესრულების შედეგად:

- ა. გაიცემა ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 2000-ს არ აღემატება
- ბ. გაიცემა ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 2000-ს აღემატება
- გ. არ გაიცემა ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 2000-ს აღემატება

4.10.8. იმისათვის, რომ მივიღოთ ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 2000-ს აღემატება, უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

ა. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 2000

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1);

ბ. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 < 2000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1);

გ. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 2000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1);

4.10.9. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 9000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1) BY personaliID;

მოთხოვნის შესრულების შედეგად:

ა. გაიცემა personaliID სვეტის მიხედვით მიღებული ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 9000-ს აღემატება

ბ. არ გაიცემა personaliID სვეტის მიხედვით მიღებული ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 9000-ს აღემატება

გ. გაიცემა personaliID სვეტის მიხედვით მიღებული ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 9000-ს არ აღემატება

4.10.10. იმისათვის, რომ personaliID სვეტის მიხედვით მივიღოთ ყველა იმ ხელშეკრულებით გადასახდელი თანხების ჯამი და ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებშიც გადასახდელი თანხა 9000-ს აღემატება, უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

ა. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 < 9000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1) BY personaliID;

ბ. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 9000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1) BY personaliID;

გ. SELECT personaliID, gadasaxdeli_1, vali_1, shesruleba

FROM Xelshekruleba

WHERE gadasaxdeli_1 > 9000

ORDER BY personaliID

COMPUTE SUM(gadasaxdeli_1), COUNT(gadasaxdeli_1);

NULL მნიშვნელობასთან მუშაობა

4.11.1. NULL მნიშვნელობა:

ა. გამოიყენება გამოტოვებული მნიშვნელობებისა და მნიშვნელობების არარსებობის აღსანიშნავად

ბ. არ გამოიყენება გამოტოვებული მნიშვნელობებისა და მნიშვნელობების არარსებობის აღსანიშნავად

გ. გამოიყენება მხოლოდ მნიშვნელობების არარსებობის აღსანიშნავად

4.11.2. სამობით ლოგიკას იმას ნიშნავს, რომ პრედიკატებმა შეიძლება:

ა. ორიდან ერთ-ერთი მნიშვნელობა მიიღოს: TRUE (ჭეშმარიტი) და FALSE (მცდარი)

ბ. სამიდან ერთ-ერთი მნიშვნელობა მიიღოს: TRUE (ჭეშმარიტი), FALSE (მცდარი) და UNKNOWN (უცნობი)

გ. მხოლოდ ერთი მნიშვნელობა მიიღოს: TRUE (ჭეშმარიტი)

4.11.3. თუ ლოგიკური გამოსახულება მოწმდება გამოტოვებული მნიშვნელობისთვის (NULL, მნიშვნელობის არარსებობა), მაშინ ის:

- ა. იღებს TRUE (ჭეშმარიტი) მნიშვნელობას
- ბ. იღებს FALSE (მცდარი) მნიშვნელობას
- გ. იღებს UNKNOWN (უცნობი) მნიშვნელობას

4.11.4. განვიხილოთ პრედიკატი $asaki > 0$. თუ ასაკი 50-ის ტოლია, ლოგიკური გამოსახულება იღებს:

- ა. TRUE მნიშვნელობას
- ბ. FALSE მნიშვნელობას
- გ. UNKNOWN მნიშვნელობას

4.11.5. განვიხილოთ პრედიკატი $asaki > 0$. თუ ასაკი -50-ის ტოლია, ლოგიკური გამოსახულება იღებს:

- ა. TRUE მნიშვნელობას
- ბ. FALSE მნიშვნელობას
- გ. UNKNOWN მნიშვნელობას

4.11.6. განვიხილოთ პრედიკატი $asaki > 0$. თუ ასაკი NULL-ის ტოლია, ლოგიკური გამოსახულება იღებს:

- ა. TRUE მნიშვნელობას
- ბ. FALSE მნიშვნელობას
- გ. UNKNOWN მნიშვნელობას

4.11.7. UNKNOWN მნიშვნელობის მიმართ NOT (არა) ოპერაციის გამოყენება:

- ა. TRUE მნიშვნელობას გვაძლევს
- ბ. FALSE მნიშვნელობას გვაძლევს
- გ. UNKNOWN მნიშვნელობას გვაძლევს

4.11.8. თუ მოცემულია პრედიკატი NOT ($asaki > 0$) და ასაკი NULL-ის ტოლია, მაშინ $asaki > 0$ გამოსახულება გასცემს:

- ა. UNKNOWN მნიშვნელობას
- ბ. FALSE მნიშვნელობას
- გ. TRUE მნიშვნელობას

4.11.9. ორი NULL მნიშვნელობის შემდარებელი გამოსახულება ($NULL = NULL$) გასცემს:

- ა. FALSE მნიშვნელობას
- ბ. UNKNOWN მნიშვნელობას
- გ. TRUE მნიშვნელობას

4.11.10. დაჯგუფებისა და დახარისხების დროს ორი NULL მნიშვნელობა:

- ა. ხანდახან ითვლება ტოლად
- ბ. არ ითვლება ტოლად
- გ. ითვლება ტოლად

4.11.11. UNIQUE შეზღუდვის გამოყენების შემთხვევაში სვეტებში დასაშვებია მხოლოდ:

- ა. ორი NULL მნიშვნელობა
- ბ. ერთი NULL მნიშვნელობა
- გ. სამი NULL მნიშვნელობა

მონაცემების მასობრივი გადაწერა

4.12.1. მონაცემების იმპორტისა და ექსპორტისათვის გამოიყენება:

- ა. BCP უტილიტი
- ბ. DELETE ბრძანება
- გ. UPDATE ბრძანება

4.12.2. BCP უტილიტი ასრულებს მონაცემების გაცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის:

- ა. შეცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის
- ბ. გაცვლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის
- გ. წაშლას სერვერსა და ტექსტურ ფაილებს შორის

4.12.3. BCP უტილიტი ცხრილის სტრიქონებს წერს:

- ა. Excel-ის ფაილში და პირიქით
- ბ. ტექსტურ ფაილში და პირიქით
- გ. Access-ის ფაილში და პირიქით

4.12.4. BCP უტილიტის მუშაობის შედეგები:

- ა. აისახება შენახულ პროცედურაში
- ბ. აისახება ტრანზაქციების ჟურნალში
- გ. არ აისახება ტრანზაქციების ჟურნალში

4.12.5. თუ BCP უტილიტის მიერ გადაწერის ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდა, მაშინ:

- ა. საწყისი მონაცემების აღდგენას ვერ შევძლებთ
- ბ. საწყისი მონაცემების აღდგენას შევძლებთ
- გ. საწყისი მონაცემების აღდგენას ზოგიერთ შემთხვევაში შევძლებთ

4.12.6. `bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\BCP\Personali1.txt" -w -T`

ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები არ დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- ბ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- გ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული არ იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი

4.12.7. იმისათვის, რომ Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაწეროთ ყველა სტრიქონი, მონაცემები დავამუშავოთ Unicode ფორმატში და გამოვიყენოთ Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -T
- ბ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w
- გ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -T

4.12.8. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_1" -T ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები არ დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი. სერვერის სახელია Serveri_3
- ბ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი. სერვერის სახელია Serveri_1
- გ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული არ იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი. სერვერის სახელია Serveri_2

4.12.9. იმისათვის, რომ Serveri_1 სერვერის Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადავწეროთ ყველა სტრიქონი, მონაცემები დავამუშავოთ Unicode ფორმატში და გამოვიყენოთ Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -S"Serveri_3" -T
- ბ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_2"
- გ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_1" -T

4.12.10. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_1" -U"sa" -P"paroli" ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Serveri_1 სერვერის Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მითითებულია მომხმარებლის სახელი და პაროლი. სერვერის სახელია Serveri_1
- ბ. Serveri_1 სერვერის Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. მითითებულია მომხმარებლის სახელი და პაროლი. სერვერის სახელია Serveri_2
- გ. Serveri_1 სერვერის Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. არაა მითითებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სერვერის სახელია Serveri_1

4.12.11. იმისათვის, რომ Serveri_1 სერვერის Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადავწეროთ ყველა სტრიქონი, მივუთითოთ სერვერის სახელი - Serveri_1, მომხმარებლის სახელი და პაროლი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_2" -U"sa" -P"paroli"
- ბ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -S"Serveri_1" -U"sa" -P"paroli"
- გ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt"

-w -S"Serveri_1"

4.12.12.bcp "SELECT * FROM Shekveta.dbo.Personali"

queryout "C:\Users\Romani\Documents\BCP\Personali.txt" -w -T ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში არ გადაიწერება ყველა სტრიქონი. გამოყენებულია SELECT მოთხოვნა და Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- ბ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. არაა გამოყენებული SELECT მოთხოვნა და Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- გ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაიწერება ყველა სტრიქონი. გამოყენებულია SELECT მოთხოვნა და Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი

4.12.13.იმისათვის, რომ Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილიდან ტექსტურ ფაილში გადაეწეროთ ყველა სტრიქონი, გამოვიყენოთ SELECT მოთხოვნა და Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი, უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

- ა. bcp "SELECT * FROM Shekveta.dbo.Shemkveti"
queryout "C:\Users\Romani\Documents\BCP\Personali.txt" -w -T
- ბ. bcp "SELECT * FROM Shekveta.dbo.Personali"
queryout "C:\Users\Romani\Documents\BCP\Personali.txt" -w
- გ. bcp "SELECT * FROM Shekveta.dbo.Personali"
queryout "C:\Users\Romani\Documents\BCP\Personali.txt" -w -T

4.12.14.bcp "Shekveta.dbo.Personali" in "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali.txt" -w -T

ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილს არ დაემატება სტრიქონები ტექსტური ფაილიდან. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- ბ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილს დაემატება სტრიქონები ტექსტური ფაილიდან. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი
- გ. Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილს დაემატება სტრიქონები ტექსტური ფაილიდან. მონაცემები დამუშავდება Unicode ფორმატში. გამოყენებული არ იქნება Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი

4.12.15.იმისათვის, რომ Shekveta მონაცემთა ბაზის Personali ცხრილს დავუმატოთ სტრიქონები ტექსტური ფაილიდან, მონაცემები დავამუშავოთ Unicode ფორმატში და გამოვიყენოთ Windows NT-ის სააღრიცხვო ჩანაწერი, უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

- ა. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -T
- ბ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w
- გ. bcp "Shekveta.dbo.Personali" out "C:\Users\Romani\Documents\ BCP\Personali1.txt" -w -T

თაზო 5. შეერთებები

FROM განყოფილება

- 5.1.1. SELECT მოთხოვნის FROM განყოფილება (ელემენტი) ლოგიკურად:
- ა. პირველი მუშავდება
 - ბ. მეორე მუშავდება
 - გ. მესამე მუშავდება
- 5.1.2. FROM განყოფილებაში შესასვლელი (საწყისი) ცხრილების მიმართ გამოიყენება:
- ა. მხოლოდ PIVOT და UNPIVOT ცხრილური ოპერაციები
 - ბ. JOIN, APPLY, PIVOT და UNPIVOT ცხრილური ოპერაციები
 - გ. მხოლოდ JOIN და UNPIVOT ცხრილური ოპერაციები
- 5.1.3. არსებობს შეერთების:
- ა. ორი ძირითადი ტიპი: ჯვარედინი და გარე
 - ბ. ორი ძირითადი ტიპი: შიდა და გარე
 - გ. სამი ძირითადი ტიპი: ჯვარედინი, შიდა და გარე
- 5.1.4. შეერთების ჯვარედინი, შიდა და გარე ტიპი ერთმანეთისაგან:
- ა. მოთხოვნის ლოგიკური დამუშავების სტადიებით განსხვავდება და სტადიების სხვადასხვა შემადგენლობა აქვს
 - ბ. მოთხოვნის ლოგიკური დამუშავების სტადიებით არ განსხვავდება და სტადიების სხვადასხვა შემადგენლობა აქვს
 - გ. მოთხოვნის ლოგიკური დამუშავების სტადიებით განსხვავდება და სტადიების სხვადასხვა შემადგენლობა არ აქვს
- 5.1.5. ჯვარედინი შეერთება დამუშავების:
- ა. ორ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს და გაფილტვრას
 - ბ. მხოლოდ ერთ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს (წარმოებულს)
 - გ. სამ სტადია მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს, გაფილტვრასა და გარე სტრიქონების დამატებას
- 5.1.6. შიდა შეერთება დამუშავების:
- ა. ორ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს და გაფილტვრას
 - ბ. მხოლოდ ერთ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს (წარმოებულს)
 - გ. სამ სტადია მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს, გაფილტვრასა და გარე სტრიქონების დამატებას
- 5.1.7. გარე შეერთება დამუშავების:
- ა. ორ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს და გაფილტვრას
 - ბ. მხოლოდ ერთ სტადიას მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს (წარმოებულს)
 - გ. სამ სტადია მოიცავს - დეკარტულ ნამრავლს, გაფილტვრასა და გარე სტრიქონების დამატებას
- 5.1.8. SELECT მოთხოვნაში FROM სიტყვის შემდეგ ეთითება იმ:
- ა. ცხრილების ან წარმოდგენების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა

- ბ. ინდექსების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა
- გ. პროცედურების სახელები, საიდანაც ხდება სვეტების ამორჩევა

5.1.9. FROM განყოფილებაში <ბმული_ცხრილი> კონსტრუქცია გამოიყენება კავშირის უზრუნველსაყოფად:

- ა. რამდენიმე პროცედურას შორის
- ბ. რამდენიმე ფუნქციას შორის
- გ. რამდენიმე ცხრილს შორის

5.1.10. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <მარცხენა_ცხრილი> კონსტრუქცია შეიცავს:

- ა. დამოკიდებული ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ცხრილები
- ბ. მთავარი ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ცხრილები
- გ. მთავარი ცხრილის სახელს, რომელსაც დაუკავშირდება სხვა ინდექსები

5.1.11. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქცია განსაზღვრავს:

- ა. ორ ტრიგერს შორის კავშირის ტიპს
- ბ. ორ პროცედურას შორის კავშირის ტიპს
- გ. ორ ცხრილს შორის კავშირის ტიპს

5.1.12. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის:

- ა. მარცხნივ ეთითება მთავარი ცხრილის სახელი
- ბ. მარჯვნივ ეთითება მთავარი ცხრილის სახელი
- გ. მარცხნივ ეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი

5.1.13. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის:

- ა. მარცხნივ ეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი
- ბ. მარჯვნივ ეთითება დამოკიდებული ცხრილის სახელი
- გ. მარჯვნივ ეთითება მთავარი ცხრილის სახელი

5.1.14. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის INNER კავშირის ტიპის მითითების შემთხვევაში:

- ა. შედეგში ჩართული იქნება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში. მარცხენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ
- ბ. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათთვის შესაბამისი სტრიქონი მარჯვენა ცხრილში. მარჯვენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ
- გ. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ სტრიქონები ბმულ (მარჯვენა) ცხრილში. ჩართული იქნება, აგრეთვე, მარჯვენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში

5.1.15. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის LEFT კავშირის ტიპის მითითების შემთხვევაში:

ა. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათთვის შესაბამისი სტრიქონი მარჯვენა ცხრილში. მარჯვენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ

ბ. შედეგში ჩართული იქნება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში. მარცხენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ

გ. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ სტრიქონები ბმულ (მარჯვენა) ცხრილში. ჩართული იქნება, აგრეთვე, მარჯვენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში

5.1.16. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის RIGHT კავშირის ტიპის მითითების შემთხვევაში:

ა. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ სტრიქონები ბმულ (მარჯვენა) ცხრილში. ჩართული იქნება, აგრეთვე, მარჯვენა ცხრილის მხოლოდ ის სტრიქონები, რომლებისთვისაც არსებობენ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში

ბ. შედეგში ჩართული იქნება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში. მარცხენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ

გ. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათთვის შესაბამისი სტრიქონი მარჯვენა ცხრილში. მარჯვენა ცხრილის შესაბამის სვეტებს NULL მნიშვნელობა ექნებათ

5.1.17. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის FULL კავშირის ტიპის მითითების შემთხვევაში:

ა. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა და მარჯვენა ცხრილების ყველა სტრიქონი

ბ. შედეგში ჩართული იქნება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათთვის შესაბამისი სტრიქონი მარჯვენა ცხრილში

გ. შედეგში ჩართული იქნება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შესაბამისი სტრიქონები მარცხენა ცხრილში

5.1.18. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში <ბმის_ტიპი> კონსტრუქციის JOIN არგუმენტის შემდეგ ეთითება:

ა. შუა ცხრილი

ბ. მარცხენა ცხრილი

გ. მარჯვენა ცხრილი

5.1.19. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში ON <ბმის_პირობა> არის:

ა. ორივე ცხრილის დაკავშირების ლოგიკური პირობა

ბ. ორივე ცხრილის დაკავშირების ფიზიკური პირობა

გ. სამივე ცხრილის დაკავშირების ლოგიკური პირობა

5.1.20. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში CROSS JOIN საკვანძო სიტყვის გამოყენებისას სრულდება:

ა. მარჯვენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ

სტრიქონთან

ბ. მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

გ. მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

5.1.21. FROM განყოფილების <ბმული_ცხრილი> კონსტრუქციაში თუ ცხრილებს შორის კავშირი არ არის მითითებული, მაშინ:

ა. ავტომატურად სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარცხენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

ბ. ავტომატურად არ სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

გ. ავტომატურად სრულდება მარცხენა ცხრილის თითოეული სტრიქონის დაკავშირება მარჯვენა ცხრილის თითოეულ სტრიქონთან

ჯვარედინი შეერთებები

5.2.1. ჯვარედინი შეერთება:

ა. აფორმირებს ორი ცხრილის სტრიქონების დეკარტულ ნამრავლს

ბ. არ აფორმირებს ორი ცხრილის სტრიქონების დეკარტულ ნამრავლს

ბ. აფორმირებს სამი ცხრილის სტრიქონების დეკარტულ ნამრავლს

5.2.2. ჯვარედინი შეერთების დროს:

ა. ერთი ცხრილის თითოეულ სტრიქონს არ შეეთანადება მეორე ცხრილის ყველა სტრიქონი

ბ. ერთი ცხრილის თითოეულ სტრიქონს შეეთანადება მეორე ცხრილის ყველა სტრიქონი

გ. ორი ცხრილის თითოეულ სტრიქონს შეეთანადება სამი ცხრილის ყველა სტრიქონი

5.2.3. ჯვარედინი შეერთების დროს: თუ ერთ ცხრილში გვაქვს m სტრიქონი და მეორეში - n სტრიქონი, მაშინ სტრიქონების შედეგობრივ ნაკრებში მივიღებთ:

ა. $2 \times m \times n$ სტრიქონს

ბ. $m \times 2 \times n$ სტრიქონს

გ. $m \times n$ სტრიქონს

5.2.4. პრეფიქსი იძლევა სვეტის ცალსახად იდენტიფიცირების საშუალებას მაშინ, როცა ორივე ცხრილში:

ა. გვხვდება სვეტების ერთნაირი სახელები

ბ. გვხვდება სვეტების სხვადასხვა სახელები

გ. არ გვხვდება სვეტების სხვადასხვა სახელები

5.2.5. ცხრილებს ფსევდონიმები:

ა. სახელის სიმოკლისთვის არ ენიჭება

ბ. სახელის სიმოკლისთვის ენიჭება

გ. ყოველთვის ენიჭება

5.2.6. სვეტების პრეფიქსების მითითება აუცილებელია მაშინ, როცა:

ა. სვეტის ერთი და იგივე სახელი არც ერთ ცხრილში არ გვხვდება

- ბ. სვეტის ერთი და იგივე სახელი ორივე ცხრილში არ გვხვდება
- გ. სვეტის ერთი და იგივე სახელი ორივე ცხრილში გვხვდება

5.2.7. თუ სვეტების სახელები ცალსახადაა განსაზღვრული, მაშინ პრეფიქსები:

- ა. შეგვიძლია არ გამოვიყენოთ
- ბ. აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ
- გ. უნდა გამოვიყენოთ სტრიქონების სახელების წინ

5.2.8. თვითშეერთება ეწოდება:

- ა. სხვადასხვა ცხრილის რამდენიმე ეგზემპლარის შეერთების შესაძლებლობას
- ბ. ერთი და იგივე ცხრილის რამდენიმე ეგზემპლარის შეერთების შესაძლებლობას
- გ. ერთი და იგივე ცხრილის რამდენიმე ეგზემპლარის შეერთების შეუძლებლობას

5.2.9. თვითშეერთების დროს:

- ა. შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ერთი ტიპის შეერთება
- ბ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ყველა ძირითადი ტიპის შეერთები
- გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ ყველა ძირითადი ტიპის შეერთები

შიდა შეერთებები. შიდა შეერთების სახეები. შედგენილი შეერთებები. შეერთებები უტოლობის შემთხვევაში. მრავალცხრილიანი შეერთებები

5.3.1. შიდა შეერთების დროს სრულდება მოთხოვნის ლოგიკური დამუშავების:

- ა. ორი სტადია
- ბ. ერთი სტადია
- გ. სამი სტადია

5.3.2. შიდა შეერთების დროს:

- ა. ჯერ, ამოირჩევა სტრიქონები, შემდეგ კი განისაზღვრება ორი შესასვლელი ცხრილის დეკარტული ნამრავლი
- ბ. ჯერ, განისაზღვრება ორი შესასვლელი ცხრილის დეკარტული ნამრავლი, შემდეგ კი ამოირჩევა სტრიქონები
- გ. მხოლოდ ამოირჩევა სტრიქონები

5.3.3. შიდა შეერთების სახეებია:

- ა. შეერთებები უტოლობის შემთხვევაში და მრავალცხრილური შეერთებები
- ბ. შედგენილი შეერთებები (composite joins) და მრავალცხრილური შეერთებები
- გ. შედგენილი შეერთებები (composite joins), შეერთებები უტოლობის შემთხვევაში და მრავალცხრილური შეერთებები

5.3.4. შედგენილი შეერთება ეფუძნება პრედიკატს, რომელიც:

- ა. მოიცავს რამდენიმე სვეტს თითოეული ცხრილიდან
- ბ. არ მოიცავს რამდენიმე სვეტს თითოეული ცხრილიდან
- გ. მოიცავს მხოლოდ ერთ სვეტს

5.3.5. შედგენილ შეერთებას ადგილი აქვს მაშინ, როცა:

- ა. პირველადი გასაღები შედგება რამდენიმე სვეტისგან, ხოლო გარე გასაღები - ერთი სვეტისაგან
- ბ. პირველადი გასაღები შედგება რამდენიმე სვეტისგან და გარე გასაღებიც შედგება ამდენივე სვეტისგან
- გ. პირველადი გასაღები შედგება ერთი სვეტისგან, ხოლო გარე გასაღები - რამდენიმე სვეტისგან

5.3.6. თუ შეერთების პირობა მხოლოდ ტოლობის ოპერაციას შეიცავს, მაშინ ეს:

- ა. არის შეერთება ტოლობის პირობით ან ეკვივალენტური შეერთება
- ბ. არ არის შეერთება ტოლობის პირობით ან ეკვივალენტური შეერთება
- გ. არის შეერთება უტოლობის პირობით

5.3.7. თუ შეერთების პირობაში გამოიყენება შედარების ნებისმიერი ოპერაცია ტოლობის ოპერაციის გარდა, მაშინ ასეთ შეერთებას ეწოდება:

- ა. შეერთება ტოლობის პირობით
- ბ. შეერთება როგორც ტოლობის, ისე უტოლობის პირობით
- გ. შეერთება უტოლობის პირობით

5.3.8. FROM განყოფილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ცხრილურ ოპერაციას. ეს ოპერაციები ლოგიკურად:

- ა. მუშავდება მარცხნიდან მარჯვნივ
- ბ. მუშავდება მარჯვნიდან მარცხნივ
- გ. არ მუშავდება

5.3.9. FROM განყოფილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ცხრილურ ოპერაციას. ეს ოპერაციები ლოგიკურად მუშავდება მარცხნიდან მარჯვნივ. ეს იმას ნიშნავს, რომ:

- ა. შედეგობრივი ცხრილი, მიღებული პირველ ცხრილურ ოპერაციაში, არ გამოიყენება მარცხენა ცხრილად მეორე ცხრილური ოპერაციისათვის
- ბ. შედეგობრივი ცხრილი, მიღებული პირველ ცხრილურ ოპერაციაში, გამოიყენება მარცხენა ცხრილად მეორე ცხრილური ოპერაციისათვის
- გ. შედეგობრივი ცხრილი, მიღებული პირველ ცხრილურ ოპერაციაში, გამოიყენება მარჯვენა ცხრილად მეორე ცხრილური ოპერაციისათვის

5.3.10. თუ FROM განყოფილებაში არის რამდენიმე შეერთება, პირველი შეერთება ასრულებს ორი საბაზო ცხრილის ლოგიკურ დამუშავებას, ხოლო ყველა დანარჩენი შეერთებები:

- ა. იღებენ წინა შეერთების შედეგს, როგორც მარჯვენა ცხრილს
- ბ. არ იღებენ წინა შეერთების შედეგს, როგორც მარცხენა ცხრილს
- გ. იღებენ წინა შეერთების შედეგს, როგორც მარცხენა ცხრილს

5.3.11. Xelshekruleba.gadasaxdeli_1, Xelshekruleba.vali_1

FROM Personali INNER JOIN Xelshekruleba

ON Personali.personaliID = Xelshekruleba.personaliID

გამოყენებულია:

- ა. შიდა შეერთება
- ბ. გარე შეერთება

გ. ჯვარედინი შეერთება

```
5.3.12. SELECT T1.col1, T1.col2, T2.col1, T2.col2
FROM Table1 AS T1 JOIN Table2 AS T2
ON T1.col1 = T2.col1 AND T1.col2 = T2.col2;
```

მოთხოვნაში:

- ა. გამოყენებულია გარე შეერთება
- ბ. გამოყენებულია შედგენილი შეერთება
- გ. არ არის გამოყენებული შედგენილი შეერთება

```
5.3.13. SELECT P1.personaliID, P1.saxeli, P1.gvari, P2.personaliID, P2.saxeli, P2.gvari
FROM Personali AS P1 JOIN Personali AS P2
ON P1.personaliID < P2.personaliID;
```

მოთხოვნაში:

- ა. გამოყენებულია გარე შეერთება
- ბ. არ არის გამოყენებული შეერთება უტოლობის შემთხვევაში
- გ. გამოყენებულია შეერთება უტოლობის შემთხვევაში

გარე შეერთებები

5.4.1. გარე შეერთებები შიდა შეერთებების დროს გამოყენებული ლოგიკური დამუშავების ორივე სტადიის გარდა:

- ა. მოიცავს მესამე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტადიას, რომელსაც გარე სტრიქონების დამატება ეწოდება
- ბ. არ მოიცავს მესამე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტადიას, რომელსაც გარე სტრიქონების დამატება ეწოდება
- გ. მოიცავს მესამე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტადიას, რომელსაც შიდა სტრიქონების დამატება ეწოდება

5.4.2. გარე შეერთებაში:

- ა. ორივე ცხრილი მოინიშნება როგორც "შესანახი" (მთავარი) LEFT OUTER JOIN, RIGHT OUTER JOIN ან FULL OUTER JOIN საკვანძო სიტყვების საშუალებით
- ბ. ერთი ცხრილი მოინიშნება როგორც "შესანახი" (მთავარი) LEFT OUTER JOIN, RIGHT OUTER JOIN ან FULL OUTER JOIN საკვანძო სიტყვების საშუალებით, მეორე კი - როგორც „არაშესანახი“ (დამხმარე)
- გ. ორივე ცხრილი მოინიშნება როგორც „არაშესანახი“ (დამხმარე)

5.4.3. გარე შეერთებაში:

- ა. OUTER საკვანძო სიტყვის მითითება ხანდახან არის აუცილებელი
- ბ. OUTER საკვანძო სიტყვის მითითება აუცილებელია
- გ. OUTER საკვანძო სიტყვის მითითება არ არის აუცილებელი

5.4.4. გარე შეერთებაში LEFT საკვანძო სიტყვა ნიშნავს, რომ:

- ა. შეინახება მარჯვენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში გამოჩნდება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი)
- ბ. არ შეინახება მარცხენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში არ გამოჩნდება მარცხენა

ცხრილის ყველა სტრიქონი)

გ. შეინახება მარცხენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში გამოჩნდება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი)

5.4.5. გარე შეერთებაში RIGHT სიტყვა მიუთითებს, რომ:

ა. არ შეინახება მარჯვენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში არ გამოჩნდება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი)

ბ. შეინახება მარჯვენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში გამოჩნდება მარჯვენა ცხრილის ყველა სტრიქონი)

გ. შეინახება მარცხენა ცხრილის სტრიქონები (შედეგში გამოჩნდება მარცხენა ცხრილის ყველა სტრიქონი)

5.4.6. გარე შეერთებაში FULL საკვანძო სიტყვა მიუთითებს, რომ:

ა. შეინახება ორივე ცხრილის სტრიქონები (შედეგში გამოჩნდება ორივე ცხრილის ყველა სტრიქონი)

ბ. არ შეინახება ორივე ცხრილის სტრიქონები (შედეგში არ გამოჩნდება ორივე ცხრილის ყველა სტრიქონი)

გ. შეინახება მხოლოდ მარცხენა ცხრილის სტრიქონები

5.4.7. გარე შეერთებაში მოთხოვნის ლოგიკური დამუშავების მესამე სტადია:

ა. არ განსაზღვრავს სტრიქონებს შესანახი ცხრილიდან, რომლებსთვისაც არ მოინახა შესაბამისი სტრიქონები არაშესანახ ცხრილში ON ელემენტის პრედიკატის საფუძველზე

ბ. განსაზღვრავს სტრიქონებს შესანახი ცხრილიდან, რომლებსთვისაც არ მოინახა შესაბამისი სტრიქონები არაშესანახ ცხრილში ON ელემენტის პრედიკატის საფუძველზე

გ. განსაზღვრავს სტრიქონებს შესანახი ცხრილიდან, რომლებსთვისაც მოინახა შესაბამისი სტრიქონები არაშესანახ ცხრილში ON ელემენტის პრედიკატის საფუძველზე

5.4.8. SELECT S.shemkvetiID, S.firmis_dasaxeleba, X.xelshekrulebaID

FROM Shemkveti AS S LEFT OUTER JOIN Xelshekruleba AS X

ON S.shemkvetiID = X.shemkvetiID;

მოთხოვნის შესრულების შედეგში:

ა. გამოჩნდება Shemkveti ცხრილის ყველა სტრიქონი

ბ. არ გამოჩნდება Shemkveti ცხრილის ყველა სტრიქონი

გ. გამოჩნდება Xelshekruleba ცხრილის ყველა სტრიქონი

5.4.9. SELECT S.shemkvetiID, S.firmis_dasaxeleba, X.xelshekrulebaID

FROM Shemkveti AS S RIGHT OUTER JOIN Xelshekruleba AS X

ON S.shemkvetiID = X.shemkvetiID;

მოთხოვნის შესრულების შედეგში:

ა. გამოჩნდება Shemkveti ცხრილის ყველა სტრიქონი

ბ. არ გამოჩნდება Xelshekruleba ცხრილის ყველა სტრიქონი

გ. გამოჩნდება Xelshekruleba ცხრილის ყველა სტრიქონი

5.4.10. SELECT S.shemkvetiID, S.firmis_dasaxeleba, X.xelshekrulebaID

FROM Shemkveti AS S FULL OUTER JOIN Xelshekruleba AS X

ON S.shemkvetiID = X.shemkvetiID;

მოთხოვნის შესრულების შედეგში:

- ა. არ გამოჩნდება Shemkveti და Xelshekruleba ცხრილების ყველა სტრიქონი
- ბ. გამოჩნდება Shemkveti და Xelshekruleba ცხრილების ყველა სტრიქონი
- გ. გამოჩნდება მხოლოდ Xelshekruleba ცხრილის ყველა სტრიქონი

თავი 6. მმართველი კონსტრუქციები

BEGIN...END

6.1.1. BEGIN...END კონსტრუქცია:

- ა. იძლევა ერთ ბლოკში ორი და მეტი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას
- ბ. არ იძლევა ერთ ბლოკში ორი და მეტი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას
- გ. იძლევა ერთ ბლოკში მხოლოდ ერთი ბრძანების დაჯგუფების საშუალებას

6.1.2. BEGIN საკვანძო სიტყვა:

- ა. არც იწყებს და არც ამთავრებს ბლოკს
- ბ. იწყებს ბლოკს
- გ. ამთავრებს ბლოკს

6.1.3. END საკვანძო სიტყვა:

- ა. იწყებს ბლოკს
- ბ. არც იწყებს და არც ამთავრებს ბლოკს
- გ. ამთავრებს ბლოკს

6.1.4. BEGIN...END კონსტრუქცია:

- ა. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ განშტოებებში, პირობისა და ციკლის კონსტრუქციებში
- ბ. შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ განშტოებებში
- გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ განშტოებებში, პირობისა და ციკლის კონსტრუქციებში

6.1.5. BEGIN...END ბლოკი:

- ა. შეიძლება იყოს ჩადგმული
- ბ. შეიძლება იყოს ჩაუდგმელი
- გ. არ შეიძლება იყოს ჩადგმული

6.1.6.

BEGIN

DECLARE @cvladi INT;

SET @cvladi = 5;

END

ბლოკი მოიცავს ბრძანებებს:

- ა. BEGIN, DECLARE @cvladi INT; და SET @cvladi = 5;
- ბ. DECLARE @cvladi INT; და SET @cvladi = 5;
- გ. DECLARE @cvladi INT; , SET @cvladi = 5; და END

6.1.7.

BEGIN

DECLARE @cvladi INT;

SET @cvladi = 5;

END

ბრძანებების მიმდევრობა:

- ა. ხანდახან არის პროგრამული ბლოკი
- ბ. არ არის პროგრამული ბლოკი
- გ. არის პროგრამული ბლოკი

6.1.8.

```
DECLARE @cvladi INT;  
SET @cvladi = 5;  
END
```

ბრძანებების მიმდევრობა:

- ა. ხანდახან არის პროგრამული ბლოკი
- ბ. არ არის პროგრამული ბლოკი
- გ. არის პროგრამული ბლოკი

6.1.9. BEGIN

```
DECLARE @cvladi INT;  
SET @cvladi = 5;
```

ბრძანებების მიმდევრობა:

- ა. ხანდახან არის პროგრამული ბლოკი
- ბ. არ არის პროგრამული ბლოკი
- გ. არის პროგრამული ბლოკი

IF...ELSE

6.2.1. IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება':

- ა. არ არის ლოგიკური პირობა
- ბ. არის ფიზიკური პირობა
- გ. არის ლოგიკური პირობა

6.2.2. IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება':

- ა. იღებს true (ჭეშმარიტი) ან false (მცდარი) მნიშვნელობას
- ბ. იღებს მნიშვნელობებს 10 ან 20
- გ. არ იღებს true (ჭეშმარიტი) ან false (მცდარი) მნიშვნელობას

6.2.3. თუ IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს true მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- ბ. შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- გ. შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'

6.2.4. თუ IF...ELSE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს false მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. შესრულდება პირველი 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- ბ. არ შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'
- გ. შესრულდება ELSE სიტყვის შემდეგ მოთავსებული 'sql_ბრძანება' ან 'ბრძანებების_ბლოკი'

6.2.5. DECLARE @kenti_luwi INT;

```
SET @kenti_luwi = 10;
```

```
IF @kenti_luwi % 2 = 0
```

```
SELECT N'რიცხვი ლუწია';
```


ELSE

SELECT N'რიცხვი კენტია';

პროგრამული კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

- ა. 'რიცხვი ლუწია'
- ბ. 'რიცხვი კენტია'
- გ. არაფერი არ გაიცემა

CASE

6.3.1. CASE:

- ა. არის ერთგანშტოებიანი კონსტრუქცია
- ბ. არის მრავალგანშტოებიანი კონსტრუქცია
- გ. არ არის მრავალგანშტოებიანი კონსტრუქცია

6.3.2. 'case_გამოსახულება':

- ა. შეიძლება შეიცავდეს ცვლადის სახელს ან ფუნქციას
- ბ. შეიძლება შეიცავდეს ტრიგერის სახელს ან შენახულ პროცედურას
- გ. არ შეიძლება შეიცავდეს ცვლადის სახელს ან ფუნქციას

6.3.3. CASE კონსტრუქციაში 'when_გამოსახულება':

- ა. არ იღებს 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს
- ბ. იღებს მნიშვნელობებს 0 ან 1
- გ. იღებს 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობებიდან ერთ-ერთს

6.3.4. თუ CASE კონსტრუქციაში 'when_გამოსახულება' და 'case_გამოსახულება' არგუმენტების მნიშვნელობა ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ:

- ა. გაიცემა 'then_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- ბ. გაიცემა 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- გ. არ გაიცემა 'then_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა

6.3.5. თუ CASE კონსტრუქციაში 'case_გამოსახულება' არგუმენტების მნიშვნელობები არ ემთხვევა 'when_გამოსახულება' არგუმენტის არც ერთ მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. არ გაიცემა 'else_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- ბ. გაიცემა 'else_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა
- გ. გაიცემა 'case_გამოსახულება' არგუმენტის მნიშვნელობა

COALESCE

6.4.1. COALESCE კონსტრუქცია:

- ა. გასცემს მეორე არანულოვან მნიშვნელობას
- ბ. არ გასცემს პირველ არანულოვან მნიშვნელობას
- გ. გასცემს პირველ არანულოვან მნიშვნელობას

6.4.2. DECLARE @ricxvi_1 INT, @ricxvi_2 FLOAT, @ricxvi_3 INT;

SET @ricxvi_1 = 33;

SET @ricxvi_2 = 20.55;

PRINT COALESCE(@ricxvi_3, @ricxvi_1, @ricxvi_2);

პროგრამული კოდის შესრულების შედეგად გაიცემა:

- ა. 33
- ბ. 20.55
- გ. არაფერი არ გაიცემა

WHILE...BREAK & CONTINUE

6.5.1. WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქცია:

- ა. არ გამოიყენება ციკლების ორგანიზებისათვის
- ბ. გამოიყენება ციკლების ორგანიზებისათვის
- გ. გამოიყენება ციკლების წაშლისთვის

6.5.2. თუ WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' იღებს true მნიშვნელობას, მაშინ:

- ა. შესრულდება ციკლის ტანი (კოდი)
- ბ. შესრულდება ციკლის შემდეგ მოთავსებული ოპერატორი
- გ. არ შესრულდება ციკლის ტანი (კოდი)

6.5.3. თუ WHILE...BREAK & CONTINUE კონსტრუქციაში 'ლოგიკური_გამოსახულება' false მნიშვნელობას მიიღებს, მაშინ:

- ა. ციკლის შესრულება გაგრძელდება
- ბ. ციკლის შესრულება არ შეწყდება
- გ. ციკლის შესრულება შეწყდება

6.5.4. BREAK ბრძანების შესრულება:

- ა. იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას
- ბ. იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას ბრძანების შესრულება
- გ. არ იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას

6.5.5. CONTINUE ბრძანების შესრულება:

- ა. არ იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას ბრძანების შესრულება
- ბ. იწვევს ლოგიკური პირობის შემოწმებაზე გადასვლას ბრძანების შესრულება
- გ. იწვევს ციკლის შესრულების იძულებით შეწყვეტას და ციკლიდან გამოსვლას

6.5.6. CONTINUE ბრძანების შემდეგ მოთავსებული ბრძანებები:

- ა. არ შესრულდება
- ბ. შესრულდება
- გ. ხანდახან შესრულდება

6.5.7. DECLARE @ricxvi_1 INT;

SET @ricxvi_1 = 1;

WHILE @ricxvi_1 <= 10

BEGIN

PRINT STR(@ricxvi_1) + N'-ის კვადრატი =' + STR(SQUARE(@ricxvi_1));

SET @ricxvi_1 = @ricxvi_1 + 1;

END

პროგრამული კოდის შესრულების შედეგად:

- ა. არ გაიცემა 1-დან 10-მდე რიცხვების კვადრატი

- ბ. გაიცემა 1-დან 10-მდე რიცხვების კვადრატი
- გ. არაფერი არ გაიცემა

```
6.5.8. DECLARE @ricxvi_1 INT;
SET @ricxvi_1 = 1;
WHILE 10 = 10
BEGIN
PRINT STR(@ricxvi_1) + N'-ის კვადრატი =' + STR(SQUARE(@ricxvi_1));
SET @ricxvi_1 = @ricxvi_1 + 1;
IF @ricxvi_1 <= 10 CONTINUE;
BREAK;
END
```

პროგრამული კოდის შესრულების შედეგად:

- ა. არ გაიცემა 1-დან 10-მდე რიცხვების კვადრატი
- ბ. გაიცემა 1-დან 10-მდე რიცხვების კვადრატი
- გ. არაფერი არ გაიცემა

თავი 7. ქვემოთხოვნები

დამოუკიდებელი სკალარული ქვემოთხოვნები. დამოუკიდებელი ქვემოთხოვნები მრავლობითი მნიშვნელობებით

- 7.1.1. ჩადგმული მოთხოვნა გვაქვს მაშინ, როცა ერთი მოთხოვნის შიგნით:
- ა. ოთხი მოთხოვნაა მოთავსებული
 - ბ. სამი მოთხოვნაა მოთავსებული
 - გ. მეორეა მოთავსებული
- 7.1.2. მოთხოვნას, რომელიც მეორე მოთხოვნას მოიცავს:
- ა. გარე ეწოდება
 - ბ. შიდა ეწოდება
 - გ. არფერი არ ეწოდება
- 7.1.3. შიდა მოთხოვნა (ქვემოთხოვნა) - ესაა მოთხოვნა, რომლის მიერ გაცემული სტრიქონები (შედეგობრივი ნაკრები):
- ა. გამოიყენება შიდა მოთხოვნის მიერ
 - ბ. გამოიყენება გარე მოთხოვნის მიერ
 - გ. არ გამოიყენება გარე მოთხოვნის მიერ
- 7.1.4. ქვემოთხოვნის მიერ გაცემული შედეგი::
- ა. შეიძლება არ იცვლებოდეს მასში მითითებულ ცხრილებში შეტანილი ცვლილებების გამო
 - ბ. არ შეიძლება იცვლებოდეს მასში მითითებულ ცხრილებში შეტანილი ცვლილებების გამო
 - გ. შეიძლება იცვლებოდეს მასში მითითებულ ცხრილებში შეტანილი ცვლილებების გამო
- 7.1.5. ქვემოთხოვნების გამოყენება საშუალებას გვაძლევს თავი:
- ა. ავარიდოთ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ითხოვენ მოთხოვნის შუალედური შედეგების შენახვას ცვლადებში
 - ბ. არ ავარიდოთ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ითხოვენ მოთხოვნის შუალედური შედეგების შენახვას ცვლადებში
 - გ. ავარიდოთ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც არ ითხოვენ მოთხოვნის შუალედური შედეგების შენახვას ცვლადებში
- 7.1.6. ქვემოთხოვნა შეიძლება:
- ა. არ იყოს დამოუკიდებელი (მარტივი) ან ბმული (კორელირებული)
 - ბ. იყოს დამოუკიდებელი (მარტივი) ან ბმული (კორელირებული)
 - გ. იყოს მხოლოდ დამოუკიდებელი (მარტივი)
- 7.1.7. დამოუკიდებელი ქვემოთხოვნა:
- ა. არის დამოკიდებული გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის არ ეკუთვნის
 - ბ. არის დამოკიდებული გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის ეკუთვნის
 - გ. არ არის დამოკიდებული გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის ეკუთვნის
- 7.1.8. ბმული ქვემოთხოვნა:
- ა. არ არის დამოკიდებული გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის ეკუთვნის
 - ბ. დამოკიდებულია გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის არ ეკუთვნის

- გ. დამოკიდებულია გარე მოთხოვნაზე, რომელსაც ის ეკუთვნის
- 7.1.9. როგორც დამოუკიდებელ, ისე ბმულ ქვემოთხოვნებს:
- ა. შეუძლია გასცეს მხოლოდ ერთი (სკალარული) მნიშვნელობა
 - ბ. შეუძლია გასცეს ერთი (სკალარული) მნიშვნელობა, ბევრი (მრავლობითი) მნიშვნელობა ან ცხრილი
 - გ. შეუძლია გასცეს მხოლოდ ცხრილი
- 7.1.10. დამოუკიდებელი ქვემოთხოვნის შემთხვევაში:
- ა. ჯერ სრულდება შიდა მოთხოვნა, შემდეგ კი გარე
 - ბ. ჯერ სრულდება გარე მოთხოვნა, შემდეგ კი შიდა
 - გ. სრულდება მხოლოდ გარე მოთხოვნა
- 7.1.11. სკალარულია ქვემოთხოვნა, რომელიც:
- ა. გასცემს მხოლოდ ერთ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა ის ბმულია თუ არა
 - ბ. გასცემს რამდენიმე მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა ის ბმულია თუ არა
 - გ. არ გასცემს მხოლოდ ერთ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა ის ბმულია თუ არა
- 7.1.12. სკალარული ქვემოთხოვნა:
- ა. არ შეიძლება ჩავრთოთ გარე მოთხოვნის იმ ელემენტებში (WHERE, SELECT და ა.შ.), რომლებიც შეიძლება სკალარულ გამოსახულებებს შეიცავდეს
 - ბ. შეიძლება ჩავრთოთ გარე მოთხოვნის იმ ელემენტებში (WHERE, SELECT და ა.შ.), რომლებიც შეიძლება სკალარულ გამოსახულებებს შეიცავდეს
 - გ. შეიძლება ჩავრთოთ გარე მოთხოვნის იმ ელემენტებში (WHERE, SELECT და ა.შ.), რომლებიც შეიძლება სკალარულ გამოსახულებებს არ შეიცავდეს
- 7.1.13. ქვემოთხოვნა მრავლობითი მნიშვნელობებით არის ქვემოთხოვნა, რომელიც:
- ა. რამდენიმე (მრავლობით) მნიშვნელობას გასცემს ერთი სვეტის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ბმული ქვემოთხოვნა არ არის
 - ბ. რამდენიმე (მრავლობით) მნიშვნელობას გასცემს ერთი სვეტის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ბმული ქვემოთხოვნაა
 - გ. რამდენიმე (მრავლობით) მნიშვნელობას გასცემს ერთი სვეტის სახით იმისგან დამოუკიდებლად, ბმულია თუ არა ეს ქვემოთხოვნა
- 7.1.14. IN პრედიკატში:
- ა. შეგვიძლია გამოვიყენოთ ქვემოთხოვნები მხოლოდ ერთი მნიშვნელობით
 - ბ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ქვემოთხოვნები მრავლობითი მნიშვნელობებით
 - გ. შეგვიძლია გამოვიყენოთ ქვემოთხოვნები მრავლობითი მნიშვნელობებით
- 7.1.15. თუ IN პრედიკატში 'სკალარული_გამოსახულება' ერთ-ერთი მნიშვნელობის ტოლია, რომელიც ქვემოთხოვნამ გასცა, მაშინ პრედიკატი იღებს:
- ა. TRUE მნიშვნელობას
 - ბ. FALSE მნიშვნელობას
 - გ. UNKNOWN მნიშვნელობას

7.1.16. თუ IN პრედიკატში 'სკალარული_გამოსახულება' არ არის არც ერთი მნიშვნელობის ტოლი, რომელიც ქვემოთხოვნამ გასცა, მაშინ პრედიკატი იღებს:

- ა. TRUE მნიშვნელობას
- ბ. FALSE მნიშვნელობას
- გ. UNKNOWN მნიშვნელობას

7.1.17. SELECT xelshekrulebaID, personaliID, shemkvetiID, tarigi_dawyebis, vali_1
FROM Xelshekruleba
WHERE vali_1 =

(
SELECT MAX(X.vali_1)
FROM Xelshekruleba AS X
); მოთხოვნაში ჩადგმული მოთხოვნა გასცემს:

- ა. ერთ მნიშვნელობას
- ბ. ორ მნიშვნელობას
- გ. სამ მნიშვნელობას

7.1.18. SELECT xelshekrulebaID, personaliID, shemkvetiID, tarigi_dawyebis, vali_1
FROM Xelshekruleba
WHERE vali_1 =

(
SELECT MAX(X.vali_1)
FROM Xelshekruleba AS X
); მოთხოვნის შესრულების შედეგად გაიცემა:

- ა. მაქსიმალური ვალის მნიშვნელობა
- ბ. მინიმალური ვალის მნიშვნელობა
- გ. ვალის საშუალო მნიშვნელობა

7.1.19. SELECT shemkvetiID, xelshekrulebaID, tarigi_damtavrebis, personaliID
FROM Xelshekruleba
WHERE shemkvetiID IN

(
SELECT S.shemkvetiID
FROM Shemkveti AS S
WHERE S.qalaqi = N'თბილისი'

); მოთხოვნის შესრულების შედეგად:

- ა. არ გაიცემა ხელშეკრულებები, რომლებიც გააფორმეს თბილისელმა შემკვეთებმა
- ბ. გაიცემა ხელშეკრულებები, რომლებიც გააფორმეს თბილისელმა შემკვეთებმა
- გ. გაიცემა ხელშეკრულებები, რომლებიც არ გააფორმეს თბილისელმა შემკვეთებმა

7.1.20. იმისათვის, რომ მივიღოთ ინფორმაცია თბილისელი შემკვეთების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

ა. SELECT shemkvetiID, xelshekrulebaID, tarigi_damtavrebis, personaliID
FROM Xelshekruleba
WHERE shemkvetiID IN

(

```

SELECT S.shemkvetiID
FROM Shemkveti AS S
WHERE S.qalaqi = N'ბათუმი'
);
ბ. SELECT shemkvetiID, xelshekrulebaID, tarigi_damtavrebis, personaliID
FROM Xelshekruleba
WHERE shemkvetiID IN
(
SELECT S.shemkvetiID
FROM Shemkveti AS S
WHERE S.qalaqi = N'თბილისი'
);
გ. SELECT shemkvetiID, xelshekrulebaID, tarigi_damtavrebis, personaliID
FROM Xelshekruleba
WHERE shemkvetiID NOT IN
(
SELECT S.shemkvetiID
FROM Shemkveti AS S
WHERE S.qalaqi = N'თბილისი'
);

```

ბმული ქვემოთხოვნები

7.2.1. ბმული ქვემოთხოვნა არის ისეთი ქვემოთხოვნა, რომელიც:

- ა. გარე მოთხოვნაში გამოყენებული ცხრილის სვეტებს არ მიმართავს
- ბ. გარე მოთხოვნაში გამოყენებული ცხრილის სვეტებს მიმართავს
- გ. შიდა მოთხოვნაში გამოყენებული ცხრილის სვეტებს მიმართავს

7.2.2. ბმული მოთხოვნების გამოყენების დროს:

- ა. შიდა მოთხოვნა სრულდება გარე მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის
- ბ. გარე მოთხოვნა სრულდება შიდა მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის
- გ. შიდა მოთხოვნა სრულდება შიდა მოთხოვნაში მითითებული ცხრილის თითოეული სტრიქონისათვის

7.2.3. ბმული მოთხოვნების გამოყენების დროს:

- ა. ჯერ ამოიჩვენა შიდა მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება გარე მოთხოვნა
- ბ. ჯერ ამოიჩვენა გარე მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება შიდა მოთხოვნა
- გ. ჯერ ამოიჩვენა შიდა მოთხოვნის სტრიქონი, შემდეგ კი მისთვის შესრულდება შიდა მოთხოვნა

```

7.2.4. SELECT P.personaliID, P.gvari, P.saxeli
FROM Personali P

```

```
WHERE 1 <
(
SELECT COUNT(*)
FROM Xelshekruleba X
WHERE P.personaliID = X.personaliID
); მოთხოვნის შესრულების შედეგად:
```

- ა. გაიცემა იმ თანამშრომლების გვარები და ნომრები, რომლებსაც ერთზე მეტი შემკვეთი არ ჰყავთ
- ბ. არ გაიცემა იმ თანამშრომლების გვარები და ნომრები, რომლებსაც ერთზე მეტი შემკვეთი ჰყავთ
- გ. გაიცემა იმ თანამშრომლების გვარები და ნომრები, რომლებსაც ერთზე მეტი შემკვეთი ჰყავთ

7.2.5. იმისათვის, რომ მივიღოთ იმ თანამშრომლების გვარები და ნომრები, რომლებსაც ერთზე მეტი შემკვეთი ჰყავთ უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

```
ა. SELECT P.personaliID, P.gvari, P.saxeli
FROM Personali P
WHERE 1 >
(
SELECT COUNT(*)
FROM Xelshekruleba X
WHERE P.personaliID = X.personaliID
);
```

```
ბ. SELECT P.personaliID, P.gvari, P.saxeli
FROM Personali P
WHERE 1 =
(
SELECT COUNT(*)
FROM Xelshekruleba X
WHERE P.personaliID = X.personaliID
);
```

```
გ. SELECT P.personaliID, P.gvari, P.saxeli
FROM Personali P
WHERE 1 <
(
SELECT COUNT(*)
FROM Xelshekruleba X
WHERE P.personaliID = X.personaliID
);
```

ლოგიკის ოპერატორები. ALL და ANY ოპერატორები.

7.3.1. ALL ოპერატორი სკალარულ სიდიდეს:

- ა. ადარებს ქვემოთხოვნის მიერ დაბრუნებულ თითოეულ მნიშვნელობას
- ბ. გასცემს ქვემოთხოვნის შედეგს
- გ. არ ადარებს ქვემოთხოვნის მიერ დაბრუნებულ თითოეულ მნიშვნელობას

7.3.2. თუ ALL ოპერატორში ლოგიკური პირობა სრულდება ყველა დაბრუნებული მნიშვნელობისათვის, მაშინ პირობა:

- ა. ჩაითვლება ნახევრად შესრულებულად
- ბ. ჩაითვლება შესრულებულად
- გ. არ ჩაითვლება შესრულებულად

7.3.3. ALL ოპერატორში ქვემოთხოვანა:

- ა. არ გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს
- ბ. გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს
- გ. გასცემს რამდენიმე სვეტის მნიშვნელობებს

7.3.4. ALL ოპერატორში ქვემოთხოვანა გასცემს ერთი სვეტის მნიშვნელობებს, რომლის მნიშვნელობების ტიპი:

- ა. არ უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს
- ბ. ხანდახან უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს
- გ. უნდა ემთხვეოდეს 'გამოსახულების' ტიპს

7.3.5. SOME და ANY ოპერატორები სკალარულ სიდიდეს:

- ა. ადარებენ ქვემოთხოვანის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას
- ბ. ადარებენ პროცედურის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას
- გ. არ ადარებენ ქვემოთხოვანის მიერ გაცემულ თითოეულ მნიშვნელობას

7.3.6. თუ SOME და ANY ოპერატორებში ლოგიკური პირობა სრულდება ერთ-ერთი მათგანისათვის, მაშინ პირობა:

- ა. არ ჩაითვლება შესრულებულად
- ბ. ჩაითვლება შესრულებულად
- გ. ჩაითვლება ნახევრად შესრულებულად

7.3.7. IF N'კი' = ALL

```
(  
SELECT shesruleba  
FROM Xelshekruleba  
)  
SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';  
ELSE  
SELECT N'ყველა ხელშეკრულება არ შესრულდა';
```

მოთხოვნის შესრულების შედეგად:

- ა. გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ ყველა ხელშეკრულება შესრულდა თუ არა
- ბ. არ გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ ყველა ხელშეკრულება შესრულდა თუ არა
- გ. გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ ხოგიერთი ხელშეკრულება შესრულდა თუ არა

7.3.8. ინფორმაციის მისაღებად იმის შესახებ ყველა ხელშეკრულება შესრულდა თუ არა უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

ა. IF N'კი' = ANY
(

```

SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';
ELSE
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება არ შესრულდა';
ბ.      IF N'კი' = ALL
(
SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';
ELSE
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება არ შესრულდა';
გ.      IF N'კი' != ALL
(
SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';
ELSE
  SELECT N'ყველა ხელშეკრულება არ შესრულდა';

```

7.3.9. IF N'არა' = ANY

```

(
SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
  SELECT N'ზოგიერთი ხელშეკრულება არ შესრულდა';
ELSE
SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';
მოთხოვნის შესრულების შედეგად:

```

- ა. გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ, რომელიმე ხელშეკრულება შესრულდა თუ არა
- ბ. არ გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ, რომელიმე ხელშეკრულება შესრულდა თუ არა
- გ. გაიცემა ინფორმაცია იმის შესახებ, ყველა ხელშეკრულება შესრულდა თუ არა

7.3.10. თუ გვაინტერესებს, რომელიმე ხელშეკრულება შესრულდა თუ არა, უნდა შევასრულოთ მოთხოვნა:

```

ა.      IF N'არა' != ANY
(
SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
  SELECT N'ზოგიერთი ხელშეკრულება არ შესრულდა';
ELSE
SELECT N'ყველა ხელშეკრულება შესრულდა';

```

```

ბ. IF N'არა' = ANY
(
SELECT shesruleba
FROM Xelshekruleba
)
SELECT N'ზოგიერთი ხელშეკრულება არ შესრულდა';
ELSE
- ბ. მისი შემსრულებელი მომხმარებლის უფლებები
- გ. მისი წამშლელი მომხმარებლის უფლებები

10.2.2. თუ პროცედურის შექმნისას ნებადართული იყო სისტემურ ცხრილებთან მიმართვა, მაშინ პროცედურა:

- ა. ყოველთვის ვერ შეძლებს სისტემურ ცხრილებთან მიმართვას
- ბ. ყოველთვის შეძლებს სისტემურ ცხრილებთან მიმართვას
- გ. ხანდახან შეძლებს სისტემურ ცხრილებთან მიმართვას

10.2.3. შენახულ პროცედურას:

- ა. აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები
- ბ. აუცილებლად არ უნდა ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები
- გ. შეიძლება ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი პარამეტრები

10.2.4. პროცედურის პარამეტრები:

- ა. შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ჩვეულებრივი ცვლადები
- ბ. შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც არაჩვეულებრივი ცვლადები
- გ. არ შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ჩვეულებრივი ცვლადები

10.2.5. პროცედურის კოდი:

- ა. შეიძლება შეიცავდეს ინდექსების ნებისმიერ მიმდევრობას
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ბრძანებების მიმდევრობას, სხვა შენახული პროცედურების გამოძახებების ჩათვლით
- გ. შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერი ბრძანებების მიმდევრობას, სხვა შენახული პროცედურების გამოძახებების ჩათვლით

10.2.6. შენახული პროცედურის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. CREATE DATABASE ბრძანება
- ბ. CREATE PROCEDURE ბრძანება
- გ. CREATE INDEX ბრძანება

10.2.7. შენახული პროცედურის შესაქმნისას:

- ა. დაუშვებელია მფლობელის სახელისა და დასაშვებია მონაცემთა ბაზის სახელის მითითება
- ბ. დასაშვებია მფლობელის სახელისა და მონაცემთა ბაზის სახელის მითითება
- გ. დაუშვებელია მფლობელის სახელისა და მონაცემთა ბაზის სახელის მითითება

10.2.8. შენახული პროცედურა ყოველთვის:

- ა. არ იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში

- ბ. იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში
- გ. იქმნება master მონაცემთა ბაზაში

10.2.9. შენახული პროცედურის პარამეტრების სახელები:

- ა. @ სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს
- ბ. # სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს
- გ. * სიმბოლოთი უნდა იწყებოდეს

10.2.10. შენახული პროცედურის პარამეტრები ერთმანეთისაგან გამოიყოფა:

- ა. წერტილებით
- ბ. წერტილ-მძიმეებით
- გ. მძიმეებით

10.2.11. შენახული პროცედურის პარამეტრები წარმოადგენენ:

- ა. გლობალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს
- ბ. ლოკალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს
- გ. ლოკალურ პარამეტრებს, ამიტომ სხვადასხვა შენახულ პროცედურებს არ შეიძლება ერთნაირი პარამეტრები ჰქონდეს

10.2.12. შენახულ პროცედურაში პარამეტრის სახელი ცვლადის სახელს:

- ა. არ უნდა ემთხვეოდეს
- ბ. უნდა ემთხვეოდეს
- გ. ხანდახან უნდა ემთხვეოდეს

10.2.13. პარამეტრს:

- ა. არ შეიძლება ნებისმიერი ტიპი ჰქონდეს, მათ შორის მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპები
- ბ.
- გ. შეიძლება ნებისმიერი ტიპი ჰქონდეს, მათ შორის მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპები

10.2.14. რაც შეეხება cursor ტიპს, ის შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. მხოლოდ შესასვლელი პარამეტრებისათვის
- ბ. როგორც გამოსასვლელი, ისე შესასვლელი პარამეტრებისთვის
- გ. მხოლოდ გამოსასვლელი პარამეტრებისათვის

10.2.15. OUTPUT არგუმენტი მიუთითებს, რომ პარამეტრი:

- ა. არის გამოსასვლელი, ანუ შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემების დასაბრუნებლად შენახული პროცედურიდან
- ბ. არის გამოსასვლელი, ანუ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ მონაცემების დასაბრუნებლად შენახული პროცედურიდან
- გ. არც შესასვლელია და არც გამოსასვლელი

10.2.16.შენახული პროცედურიდან გამოსვლისას გამოსასვლელი პარამეტრის მიმდინარე მნიშვნელობა:

- ა. ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული არ იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- ბ. ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- გ. არ ენიჭება იმ ლოკალურ ცვლადს, რომელიც მითითებული იყო შენახული პროცედურის გამოძახების დროს

10.2.17.CREATE PROCEDURE ბრძანების VARYING არგუმენტს:

- ა. არ აქვს cursor ტიპი და არ გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად
- ბ. აქვს cursor ტიპი და გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად
- გ. აქვს int ტიპი და არ გამოიყენება OUTPUT არგუმენტთან ერთად

10.2.18.CREATE PROCEDURE ბრძანების VARYING არგუმენტი მიუთითებს, რომ გამოსასვლელი პარამეტრი:

- ა. იქნება სიმრავლე
- ბ. არ იქნება სიმრავლე
- გ. იქნება მთელი რიცხვი

10.2.19.CREATE PROCEDURE ბრძანების DEFAULT არგუმენტი მიუთითებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც პარამეტრი ავტომატურად:

- ა. არ მიიღებს თუ მისი მნიშვნელობა არ იქნება მითითებული
- ბ. მიიღებს თუ მისი მნიშვნელობა არ იქნება მითითებული
- გ. მიიღებს თუ მისი მნიშვნელობა იქნება მითითებული

10.2.20.CREATE PROCEDURE ბრძანების RECOMPILE არგუმენტი მიუთითებს, რომ შენახული პროცედურის ყოველი გამოძახებისას:

- ა. უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და არ უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება
- ბ. არ უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება
- გ. უნდა შედგეს მისი შესრულების გეგმა და შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის ხელახალი კომპილირება

10.2.21.CREATE PROCEDURE ბრძანების ENCRYPTION არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის დაშიფვრა
- ბ. არ უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის დაშიფვრა
- გ. უნდა შესრულდეს შენახული პროცედურის კოდის გაშიფვრა

10.2.22.CREATE PROCEDURE ბრძანების AS არგუმენტი:

- ა. ხანდახან იწყებს შენახული პროცედურის ტანს
- ბ. არ იწყებს შენახული პროცედურის ტანს
- გ. იწყებს შენახული პროცედურის ტანს

10.2.23.შენახული პროცედურიდან გამოსასვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. CREATE PROCEDURE ბრძანება
- ბ. RETURN ბრძანება
- გ. UPDATE ბრძანება

10.2.24. ერთი შენახული პროცედურის ტანიდან მეორე შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. იქმნება ჩადგმული პროცედურები
- ბ. იქმნება ჩაუდგმელი პროცედურები
- გ. არ იქმნება ჩადგმული პროცედურები

10.2.25. შენახული პროცედურების ჩადგმულობის მიმდინარე დონის მისაღებად შეგვიძლია გამოვიყენოთ:

- ა. @@CPU_BUSY ფუნქცია
- ბ. @@TOTAL_READ ფუნქცია
- გ. @@NESTLEVEL ცვლადი

10.2.26. შექმნილი შენახული პროცედურის სახელი შეიტანება ამავე მონაცემთა ბაზის:

- ა. sys.all_views სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- გ. sys.indexes სისტემურ წარმოდგენაში

10.2.27. შენახული პროცედურის შექმნის მომენტში:

- ა. არ სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა
- ბ. სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და არ მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა
- გ. სრულდება ბრძანებების მხოლოდ სინტაქსური შემოწმება და მოწმდება მასში მითითებული ობიექტების არსებობა

10.2.28. მიმართვების სისწორის შემოწმება ხდება შენახული პროცედურის:

- ა. სინტაქსური შემოწმების დროს
- ბ. შექმნის მომენტში
- გ. კომპილირების დროს

10.2.29. თუ შენახული პროცედურის გამოძახება არის ერთადერთი ბრძანება შესასრულებლად გადასაცემ პაკეტში, მაშინ:

- ა. აუცილებელია EXECUTE ბრძანების გამოყენება
- ბ. შენახული პროცედურა არ შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითების გზით
- გ. შენახული პროცედურა შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითების გზით

10.2.30. თუ შენახული პროცედურის გამოძახება არ არის ერთადერთი ბრძანება პაკეტში, მაშინ:

- ა. არ უნდა გამოვიყენოთ EXECUTE ბრძანება
- ბ. უნდა გამოვიყენოთ EXECUTE ბრძანება
- გ. შენახული პროცედურა შესრულდება მხოლოდ მისი სახელის მითითების გზით

10.2.31. EXECUTE ბრძანება უნდა გამოვიყენოთ, აგრეთვე, შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. სხვა შენახული პროცედურიდან ან ტრიგერიდან
- ბ. სხვა ინდექსიდან
- გ. სხვა ცხრილიდან

10.2.32.EXECUTE ბრძანების OUTPUT არგუმენტის გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი პარამეტრი გამოცხადებული:

- ა. არ იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით შენახული პროცედურის შექმნის დროს
- ბ. იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- გ. იყო OUTPUT სიტყვის გამოყენებით შენახული პროცედურის შექმნის დროს

10.2.33.EXECUTE ბრძანების DEFAULT არგუმენტის გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი პარამეტრისათვის განსაზღვრული:

- ა. იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის გამოძახების დროს
- ბ. იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის შექმნის დროს
- გ. არ იყო ნაგულისხმევი მნიშვნელობა შენახული პროცედურის შექმნის დროს

10.2.34.შენახული პროცედურის გამოძახებისას პარამეტრების სახელები შეგვიძლია:

- ა. არ მივუთითოთ
- ბ. მივუთითოთ
- გ. წავშალოთ

10.2.35.შენახული პროცედურის გამოძახებისას პარამეტრების სახელები შეგვიძლია არ მივუთითოთ. ასეთ შემთხვევაში, პარამეტრების მნიშვნელობები ისეთივე მიმდევრობით:

- ა. უნდა მივუთითოთ, როგორც იყვნენ ისინი ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს
- ბ. არ უნდა მივუთითოთ, როგორც იყვნენ ისინი ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს
- გ. უნდა მივუთითოთ, როგორც არ იყვნენ ისინი ჩამოთვლილი შენახული პროცედურის შექმნის დროს

10.2.36.შენახული პროცედურის პარამეტრისათვის ავტომატური მნიშვნელობის მინიჭება, ჩამონათვალში მისი სახელის გამოტოვებით:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

10.2.37.შენახული პროცედურის ბოლო პარამეტრები შეგვიძლია გამოვტოვოთ, თუ მათთვის:

- ა. განსაზღვრულია ავტომატური მნიშვნელობა
- ბ. განსაზღვრული არ არის ავტომატური მნიშვნელობა
- გ. განსაზღვრულია არავტომატური მნიშვნელობა

10.2.38.შენახული პროცედურის გამოძახებისას:

- ა. შეგვიძლია მივუთითოთ ან პარამეტრის სახელი მნიშვნელობასთან ერთად, ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელის გარეშე
- ბ. არ შეგვიძლია მივუთითოთ ან პარამეტრის სახელი მნიშვნელობასთან ერთად, ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელის გარეშე

გ. შეგვიძლია მივუთითოთ ან პარამეტრის სახელი მნიშვნელობის გარეშე, ან მხოლოდ მნიშვნელობა სახელთან ერთად

10.2.39.CREATE PROCEDURE MyProc @ganyofileba NVARCHAR(30)

AS

SELECT *

FROM Personali

WHERE ganyofileba = @ganyofileba

პროგრამული კოდის შესრულების შედეგად შეიქმნება შენახული პროცედურა, რომელიც:

- ა. გასცემს ინფორმაციას მითითებულ ქალაქში მომუშავე თანამშრომლების შესახებ
- ბ. გასცემს ინფორმაციას მითითებულ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომლების შესახებ
- გ. არ გასცემს ინფორმაციას მითითებულ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომლების შესახებ

10.2.40.CREATE PROCEDURE MyProc @ganyofileba NVARCHAR(30) ბრძანების შესრულების

შედეგად შექმნილია შენახული პროცედურა. მისი გამოძახება შეიძლება შემდეგნაირად:

- ა. EXEC MyProc 100;
- ბ. EXEC MyProc;
- გ. EXEC MyProc N'სავაჭრო';

10.2.41.რომელი შენახული პროცედურა გასცემს თანამშრომლების შესახებ ინფორმაციას:

ა. CREATE PROCEDURE Chemi_Procedura

AS

SELECT * FROM Personali;

ბ. CREATE PROCEDURE Chemi_Procedura

AS

SELECT * FROM Shemkveti;

გ. CREATE PROCEDURE Chemi_Procedura

AS

SELECT * FROM Xelshekruleba;

შენახული პროცედურების მართვა. შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება. შენახული პროცედურის სახელის შეცვლა. შენახული პროცედურის წაშლა. შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულების მართვა

10.3.1. შენახული პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად:

- ა. უნდა გამოვიყენოთ sp_help პროცედურა
- ბ. არ უნდა გამოვიყენოთ sp_help პროცედურა
- გ. უნდა გამოვიყენოთ sp_rename პროცედურა

10.3.2. შენახული პროცედურის სახელის შესაცვლელად:

- ა. გამოვიყენებთ sp_rename ბრძანებას
- ბ. გამოვიყენებთ sp_help პროცედურას

გ. გამოიყენება sp_procoption პროცედურა

10.3.3. შენახული პროცედურის წასაშლელად:

- ა. გამოიყენება DROP PROCEDURE ბრძანება
- ბ. გამოიყენება sp_help პროცედურა
- გ. გამოიყენება sp_rename ბრძანება

10.3.4. შენახული პროცედურის ავტომატურად შესრულებისათვის:

- ა. საჭიროა მისი კონფიგურირება
- ბ. საჭირო არაა მისი კონფიგურირება
- გ. საჭიროა ტრიგერის კონფიგურირება

10.3.5. შენახული პროცედურის კონფიგურირება:

- ა. არ სრულდება მისი თვისებების ცვლილების გზით
- ბ. სრულდება მისი თვისებების ცვლილების გზით
- გ. სრულდება მისი თვისებების უცვლელობის გზით

10.3.6. შენახული პროცედურის კონფიგურირებისათვის:

- ა. გამოიყენება sp_rename ბრძანება
- ბ. გამოიყენება DROP PROCEDURE ბრძანება
- გ. გამოიყენება sp_procoption პროცედურა

10.3.7. EXEC sp_help MyProc; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. გაიცემა ინფორმაცია MyProc შენახული პროცედურის შესახებ
- ბ. არ გაიცემა ინფორმაცია MyProc შენახული პროცედურის შესახებ
- გ. გაიცემა ინფორმაცია sp_help შენახული პროცედურის შესახებ

10.3.8. EXEC sp_rename 'Chemi_Procedura3', 'Chemi_Procedura'; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. 'Chemi_Procedura' შენახულ პროცედურას დაერქმევა 'Chemi_Procedura3' ახალი სახელი
- ბ. 'Chemi_Procedura3' შენახულ პროცედურას დაერქმევა 'Chemi_Procedura' ახალი სახელი
- გ. 'Chemi_Procedura3' შენახულ პროცედურას არ დაერქმევა 'Chemi_Procedura' ახალი სახელი

10.3.9. იმისათვის, რომ 'Chemi_Procedura3' შენახულ პროცედურას დავარქვათ 'Chemi_Procedura' ახალი სახელი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. EXEC sp_rename 'Chemi_Procedura', 'Chemi_Procedura3';
- ბ. EXEC sp_rename 'Chemi_Procedura3', 'Chemi_Procedura';
- გ. EXEC sp_rename 'Chemi_Procedura3', 'Chemi_Procedura';

10.3.10. DROP PROC A1; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. წაიშლება A1 შენახული პროცედურა
- ბ. არ წაიშლება A1 შენახული პროცედურა
- გ. შეიქმნება A1 შენახული პროცედურა

თავი 11. ინდექსები

შესავალი. ინდექსების გამოყენების დაგეგმვა

11.1.1. არაინდექსირებულ ცხრილში, რომელშიც ათასობით სტრიქონია, მონაცემების ძებნა:

- ა. დიდ დროს იკავებს
- ბ. მცირე დროს იკავებს
- გ. დროს არ იკავებს

11.1.2. მონაცემების ძებნის დაჩქარების მიზნით გამოიყენება:

- ა. ფუნქციები
- ბ. ინდექსები
- გ. ტრიგერები

11.1.3. ინდექსი წარმოადგენს მიმართვების ნაკრებს, რომლებიც:

- ა. მოწესრიგებულია გარკვეული სტრიქონის მნიშვნელობების მიხედვით
- ბ. მოწესრიგებული არ არის გარკვეული სვეტის მნიშვნელობების მიხედვით
- გ. მოწესრიგებულია გარკვეული სვეტის მნიშვნელობების მიხედვით

11.1.4. ინდექსი მონაცემთა ბაზის:

- ა. დამოკიდებულ ობიექტს წარმოადგენს
- ბ. დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს
- გ. არანაირ ობიექტს არ წარმოადგენს

11.1.5. ინდექსი შეიძლება მოიცავდეს ცხრილის:

- ა. ერთ ან მეტ სვეტს
- ბ. არც ერთ სვეტს
- გ. მხოლოდ ერთ სვეტს

11.1.6. ფიზიკურად ინდექსი წარმოადგენს:

- ა. ინდექსირებული სვეტის მონაცემების მოწესრიგებულ ნაკრებს ცხრილის სტრიქონების ლოგიკური განლაგების ადგილმდებარეობაზე მიმთითებლებით
- ბ. ინდექსირებული სვეტის მონაცემების მოწესრიგებულ ნაკრებს ცხრილის სტრიქონების ფიზიკური განლაგების ადგილმდებარეობაზე მიმთითებლებით
- გ. არაინდექსირებული სვეტის მონაცემების მოწესრიგებულ ნაკრებს ცხრილის სტრიქონების ფიზიკური განლაგების ადგილმდებარეობაზე მიმთითებლებით

11.1.7. როცა სრულდება მოთხოვნა, რომელიც ინდექსირებულ სვეტს მიმართავს, სერვერი:

- ა. არავტომატურად აანალიზებს ინდექსს საჭირო მნიშვნელობის მოძებნის მიზნით
- ბ. ავტომატურად არ აანალიზებს ინდექსს საჭირო მნიშვნელობის მოძებნის მიზნით
- გ. ავტომატურად აანალიზებს ინდექსს საჭირო მნიშვნელობის მოძებნის მიზნით

11.1.8. როცა სრულდება სტრიქონების ცვლილება, მაშინ:

- ა. სრულდება მხოლოდ ინდექსების გაახლება
- ბ. სრულდება მხოლოდ მონაცემების გაახლება
- გ. საკუთრივ მონაცემების გაახლების გარდა, სრულდება ყველა ინდექსის გაახლება

11.1.9. ინდექსების გამოყენების უპირატესობაა:

- ა. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი დაჩქარება
- ბ. მონაცემების გაახლების (დამატების, შეცვლის და წაშლის) პროცესის შენელება
- გ. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი შენელება

11.1.10. ინდექსების გამოყენების ნაკლია:

- ა. მონაცემების ამორჩევის არც თუ მნიშვნელოვანი შენელება
- ბ. მონაცემების გაახლების (დამატების, შეცვლის და წაშლის) პროცესის შენელება
- გ. მონაცემების ამორჩევის მნიშვნელოვანი დაჩქარება

11.1.11. არ უნდა მოვახდინოთ იმ სვეტების ინდექსირება, რომლებიც:

- ა. არ თამაშობენ არანაირ როლს მოთხოვნის შესრულების დროს
- ბ. თამაშობენ არანაირ როლს მოთხოვნის შესრულების დროს
- გ. არ თამაშობენ უმნიშვნელო როლს მოთხოვნის შესრულების დროს

11.1.12. ძალიან გრძელი სვეტების ინდექსირება, რომელთა სიგრძეა რამდენიმე ათეული სიმბოლო:

- ა. არის სასურველი
- ბ. არ არის სასურველი
- გ. ხანდახან არის სასურველი

11.1.13. არსებობს ინდექსების:

- ა. ორი ტიპი: არაკლასტერული და უნიკალური
- ბ. ერთი ტიპი: უნიკალური
- გ. სამი ტიპი: კლასტერული, არაკლასტერული და უნიკალური

არაკლასტერული ინდექსი. კლასტერული ინდექსი. უნიკალური ინდექსი

11.2.1. არაკლასტერული ინდექსი:

- ა. შეიცავს ერთი ან მეტი სვეტის მნიშვნელობებს დალაგებულს ზრდადობით ან კლებადობით
- ბ. არ შეიცავს ერთი ან მეტი სვეტის მნიშვნელობებს დალაგებულს ზრდადობით ან კლებადობით
- გ. შეიცავს ერთი ან მეტი სვეტის მნიშვნელობებს დალაგებულს მხოლოდ ზრდადობით

11.2.2. არაკლასტერული ინდექსი:

- ა. არ შეიცავს სტრიქონებზე მიმართვებს
- ბ. შეიცავს სტრიქონებზე მიმართვებს
- გ. შეიცავს სვეტებზე მიმართვებს

11.2.3. არაკლასტერული ინდექსში მნიშვნელობების ძებნა::

- ა. სრულდება მხოლოდ ზრდადობით დალაგებულ უბანში
- ბ. არ სრულდება ზრდადობით ან კლებადობით დალაგებულ უბანში
- გ. სრულდება ზრდადობით ან კლებადობით დალაგებულ უბანში

11.2.4. არაკლასტერულ ინდექსში ნაპოვნი მნიშვნელობის გასწვრივ:

- ა. მოთავსებულია შესაბამის სტრიქონზე მიმართვა, რომელიც შეიცავს სტრიქონის რეალურ მისამართს ცხრილში
- ბ. არაა მოთავსებული შესაბამის სტრიქონზე მიმართვა, რომელიც შეიცავს სტრიქონის რეალურ მისამართს ცხრილში
- გ. მოთავსებულია შესაბამის სტრიქონზე მიმართვა, რომელიც არ შეიცავს სტრიქონის რეალურ მისამართს ცხრილში

11.2.5. არაკლასტერული ინდექსის გამოყენების შემთხვევაში, სერვერი:

- ა. არ მიმართავს ინდექსს და ასრულებს საჭირო სტრიქონის ძებნას
- ბ. ჯერ მიმართავს ინდექსს და შემდეგ ასრულებს საჭირო სტრიქონის ძებნას
- გ. მიმართავს ინდექსს და არ ასრულებს საჭირო სტრიქონის ძებნას

11.2.6. არაკლასტერული ინდექსის შექმნა:

- ა. უმჯობესია იშვიათად ცვალებადი სვეტებისთვის
- ბ. არაა უმჯობესი ხშირადცვალებადი სვეტებისთვის
- გ. უმჯობესია ხშირადცვალებადი სვეტებისთვის

11.2.7. ერთ ცხრილში:

- ა. შეიძლება განისაზღვროს 999-მდე არაკლასტერული ინდექსი
- ბ. არ შეიძლება განისაზღვროს 999-მდე არაკლასტერული ინდექსი
- გ. შეიძლება განისაზღვროს 100-მდე არაკლასტერული ინდექსი

11.2.8. ერთი არაკლასტერული ინდექსი:

- ა. არ შეიძლება შეიცავდეს 16-მდე სვეტს, რომლებიც ერთ ცხრილს უნდა ეკუთვნოდეს
- ბ. შეიძლება შეიცავდეს 16-მდე სვეტს, რომლებიც ერთ ცხრილს უნდა ეკუთვნოდეს
- გ. შეიძლება შეიცავდეს 16-მდე სვეტს, რომლებიც ერთ ცხრილს არ უნდა ეკუთვნოდეს

11.2.9. შედგენილ ინდექსში შემავალი სვეტების:

- ა. მაქსიმალურად დასაშვები საერთო ზომაა 500 ბაიტი
- ბ. მაქსიმალურად დასაშვები საერთო ზომაა 100 ბაიტი
- გ. მაქსიმალურად დასაშვები საერთო ზომაა 900 ბაიტი

11.2.10. შედგენილი ინდექსი შედგება:

- ა. რამდენიმე სვეტისგან
- ბ. ერთი სვეტისგან
- გ. ერთი სტრიქონისგან

11.2.11. ცხრილში კლასტერული შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ ერთი ინდექსი
- ბ. მხოლოდ ორი ინდექსი
- გ. მხოლოდ სამი ინდექსი

11.2.12. კლასტერული ინდექსის (clustered index) გამოყენების დროს ცხრილში მონაცემების:

- ა. ფიზიკური განლაგება არ გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად

- ბ. ფიზიკური განლაგება გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად
- გ. ლოგიკური განლაგება გადაეწყობა ინდექსის სტრუქტურის შესაბამისად

11.2.13. კლასტერული ინდექსები მნიშვნელოვნად:

- ა. ზრდიან მონაცემების ძებნის მწარმოებლურობას
- ბ. ამცირებენ მონაცემების ძებნის მწარმოებლურობას
- გ. ვერ ზრდიან მონაცემების ძებნის მწარმოებლურობას

11.2.14. კლასტერული ინდექსის გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების მომდევნო პორცია განლაგდება უშუალოდ მოძებნილი მონაცემების შემდეგ. შედეგად:

- ა. შესრულდება ინდექსთან მიმართვის და სტრიქონის ძებნის ზედმეტი ოპერაციები
- ბ. აღარ შესრულდება ინდექსთან მიმართვის და სტრიქონის ძებნის ზედმეტი ოპერაციები
- გ. სერვერი თავდაპირველად მიმართავს ინდექსს, შემდეგ კი პოულობს საჭირო სტრიქონს ცხრილში

11.2.15. კლასტერულ ინდექსად უნდა ავირჩიოთ ყველაზე:

- ა. ხშირად გამოყენებადი სვეტები
- ბ. იშვიათად გამოყენებადი სვეტები
- გ. ხშირად გამოყენებადი სტრიქონები

11.2.16. კლასტერული ინდექსი:

- ა. არ შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე სვეტს
- ბ. შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე სვეტს
- გ. შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ერთ სვეტს

11.2.17. კლასტერული ინდექსში შემავალი სვეტების რაოდენობა შეძლებისდაგვარად:

- ა. ძალიან ბევრი უნდა იყოს
- ბ. ბევრი უნდა იყოს
- გ. მცირე უნდა იყოს

11.2.18. კლასტერული ინდექსი ხშირად ცვალებადი სვეტებისათვის:

- ა. უნდა გამოვიყენოთ
- ბ. არ უნდა გამოვიყენოთ
- გ. ხანდახან უნდა გამოვიყენოთ

11.2.19. ცხრილში პირველადი გასაღების შექმნისას სერვერი მისთვის ავტომატურად ქმნის კლასტერულ ინდექსს:

- ა. თუ ის იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას იყო აშკარად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი
- ბ. თუ ის არ იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას არ იყო აშკარად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი
- გ. თუ ის იყო ადრე შექმნილი ან გასაღების განსაზღვრისას იყო ავტომატურად მითითებული ინდექსის სხვა ტიპი

11.2.20. თუ ცხრილში განსაზღვრულია კლასტერული და არაკლასტერული ინდექსები, მაშინ:

- ა. კლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის ლოგიკურ მდებარეობას,

რომელიც ამ სტრიქონს აღწერს

- ბ. კლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის არა ფიზიკურ მდებარეობას, არამედ არაკლასტერული ინდექსის შესაბამის ელემენტს, რომელიც ამ სტრიქონს აღწერს
- გ. არაკლასტერული ინდექსის მიმთითებელი მიმართავს სტრიქონის არა ფიზიკურ მდებარეობას, არამედ კლასტერული ინდექსის შესაბამის ელემენტს, რომელიც ამ სტრიქონს აღწერს

11.2.21. თუ არაკლასტერული ინდექსის აგებისას კლასტერული ინდექსი არ არის უნიკალური, მაშინ სერვერი:

- ა. ავტომატურად უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს, რომლებიც მას უნიკალურს ხდის
- ბ. ავტომატურად არ უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს, რომლებიც მას უნიკალურს არ ხდის
- გ. არ უმატებს მას დამატებით მნიშვნელობებს

11.2.22. უნიკალური ინდექსები ინდექსირებულ ცხრილში მნიშვნელობების უნიკალურობის გარანტიას:

- ა. ხანდახან იძლევიან
- ბ. არ იძლევიან
- გ. იძლევიან

11.2.23. უნიკალური ინდექსი:

- ა. შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული ინდექსისათვის
- ბ. არ შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული ინდექსისათვის
- გ. შეიძლება რეალიზებული იყოს მხოლოდ კლასტერული ინდექსისათვის

11.2.24. ერთ ცხრილში შეიძლება არსებობდეს:

- ა. ერთი უნიკალური არაკლასტერული ინდექსი და რამდენიმე უნიკალური კლასტერული ინდექსი
- ბ. ერთი უნიკალური კლასტერული ინდექსი და რამდენიმე უნიკალური არაკლასტერული ინდექსი
- გ. რამდენიმე უნიკალური კლასტერული ინდექსი და მხოლოდ ერთი უნიკალური არაკლასტერული ინდექსი

11.2.25. მონაცემების მთლიანობის უზრუნველსაყოფად უმჯობესია:

- ა. UNIQUE ან PRIMARY KEY შეზღუდვების გამოყენება
- ბ. უნიკალური ინდექსის
- გ. არ გამოვიყენოთ ინდექსი

შევსების ფაქტორი

11.3.1. შევსების ფაქტორი განსაზღვრავს გვერდზე მონაცემების ჩაწერის:

- ა. სიმჭიდროვეს

- ბ. სიჩქარეს
- გ. სიხშირეს

11.3.2. შევსების ფაქტორი განსაზღვრავს:

- ა. მონაცემების ჩაწერის სიჩქარეს
- ბ. საინდექსო გვერდების თავისუფალი სივრცის რამდენი პროცენტი შეივსება მონაცემებით
- გ. საინდექსო გვერდების თავისუფალი სივრცის რამდენი პროცენტი არ შეივსება მონაცემებით

11.3.3. რაც მეტია შევსების ფაქტორით ნაკლები იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ:

- ა. მით მეტი იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო ნაკლებ კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ
- ბ. მით მეტი იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ
- გ. მით ნაკლები იქნება გვერდზე თავისუფალი სივრცე და მით უფრო კომპაქტურად იქნება განთავსებული ინფორმაცია ინდექსების შესახებ

11.3.4. შევსების ფაქტორის არჩევისას:

- ა. არ უნდა შევავსოთ რამდენად ინტენსიურად შესრულდება ცხრილში მონაცემების ცვლილება (დამატება, წაშლა და შეცვლა)
- ბ. უნდა შევავსოთ რამდენად ინტენსიურად შესრულდება ცხრილში მონაცემების ცვლილება (დამატება, წაშლა და შეცვლა)
- გ. უნდა შევავსოთ რამდენად ინტენსიურად შესრულდება ცხრილში მონაცემების მხოლოდ დამატება

11.3.5. თუ ცხრილი ძირითადად გამოიყენება მხოლოდ წაკითხვისათვის, მაშინ უმჯობესია შევსების ფაქტორი დავაყენოთ:

- ა. 100%-თან ახლოს
- ბ. 50%-თან ახლოს
- გ. 10%-თან ახლოს

11.3.6. თუ ცხრილში მონაცემები ხშირად იცვლება, მაშინ შევსების ფაქტორი:

- ა. უნდა იყოს ძალიან დიდი
- ბ. უნდა იყოს დიდი როგორც მონაცემებისათვის, ისე ინდექსებისათვის
- გ. არ უნდა იყოს დიდი როგორც მონაცემებისათვის, ისე ინდექსებისათვის

11.3.7. თუ ინტენსიურად გამოიყენება ცხრილში დავაყენებთ მაღალ შეფასების ფაქტორს, მაშინ სერვერი იძულებული იქნება:

- ა. ხშირად შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით
- ბ. იშვიათად შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით
- გ. არ შეასრულოს გვერდების დახლეჩა ახალი მონაცემების ჩასმის მიზნით

11.3.8. ცხრილში მონაცემების ცვლილებასა და დამატებასთან ერთად:

- ა. არ იცვლება გვერდების შევსების ხარისხი
- ბ. იცვლება გვერდების შევსების ხარისხი

გ. იცვლება გვერდების შევსების სისწრაფე

11.3.9. ინდექსის ზომის შემცირების მიზნით, პერიოდულად საჭირო:

- ა. ხდება ინდექსის წაშლა
- ბ. არ ხდება ინდექსის გადაწყობა
- გ. ხდება ინდექსის გადაწყობა

ინდექსის შექმნა

11.4.1. ინდექსის შექმნის უფლება აქვს:

- ა. მხოლოდ ფუნქციის მფლობელს
- ბ. მხოლოდ ცხრილის მფლობელს
- გ. მხოლოდ შენახული პროცედურის მფლობელს

11.4.2. ინდექსის შექმნის უფლების გადაცემა სხვა მომხმარებლისათვის:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

11.4.3. პირველადი გასაღების შექმნისას:

- ა. ინდექსი ხანდახან იქმნება
- ბ. ინდექსი ავტომატურად არ იქმნება
- გ. ინდექსი ავტომატურად იქმნება

11.4.4. ინდექსის ავტომატურად იქმნება:

- ა. CREATE DATABASE ბრძანების შესრულებისას
- ბ. UNIQUE შეზღუდვის განსაზღვრისას
- გ. DROP TABLE ბრძანების შესრულებისას

11.4.5. ინდექსის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. DROP TABLE ბრძანება
- ბ. CREATE DATABASE ბრძანება
- გ. CREATE INDEX ბრძანება

11.4.6. CREATE INDEX ბრძანებაში UNIQUE არგუმენტის მითითების შემთხვევაში:

- ა. არ შეიქმნება უნიკალური ინდექსი
- ბ. შეიქმნება უნიკალური ინდექსი
- გ. შეიქმნება არაუნიკალური ინდექსი

11.4.7. უნიკალური ინდექსის შექმნისას სერვერი:

- ა. ასრულებს სვეტის წინასწარ შემოწმებას მნიშვნელობების უნიკალურობაზე
- ბ. არ ასრულებს სვეტის წინასწარ შემოწმებას მნიშვნელობების უნიკალურობაზე
- გ. არაფერს არ აკეთებს

11.4.8. თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას სვეტში არის ორი ერთნაირი მნიშვნელობა, მაშინ:

- ა. ინდექსი არ შეიქმნება და არ გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

- ბ. ინდექსი შეიქმნება და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- გ. ინდექსი არ შეიქმნება და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

11.4.9. თუ ინდექსი შედგენილია, ანუ შეიცავს ორ ან მეტ სვეტს, მაშინ უნიკალური:

- ა. არ უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სტრიქონში
- ბ. უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სტრიქონში
- გ. უნდა იყოს ყველა საინდექსირებელი სვეტის მნიშვნელობების ერთობლიობა ცხრილის ან წარმოდგენის თითოეულ სვეტში

11.4.10. საინდექსებელ სვეტში სასურველია, აგრეთვე, NULL მნიშვნელობის შენახვის აკრძალვა, რათა:

- ა. ავიცილოთ სტრიქონებში მონაცემების გამეორება
- ბ. ავიცილოთ სვეტებში მონაცემების გამეორება
- გ. ავიცილოთ მნიშვნელობების უნიკალურობასთან დაკავშირებული პრობლემები

11.4.11. თუ სვეტში გვხვდება ორი NULL მნიშვნელობა, მაშინ სერვერი მას ორ ერთნაირ მნიშვნელობად ჩათვლის:

- ა. ორ ერთნაირ მნიშვნელობად ჩათვლის
- ბ. ორ სხვადასხვა მნიშვნელობად ჩათვლის
- გ. სამ ერთნაირ მნიშვნელობად ჩათვლის

11.4.12. უნიკალური ინდექსის განსაზღვრის შემდეგ სერვერი არ შეგვასრულებინებს ისეთ INSERT ან UPDATE ბრძანებას, რომელიც გამოიწვევს:

- ა. ორი ერთნაირი მნიშვნელობის არსებობას
- ბ. ორი სხვადასხვა მნიშვნელობის არსებობას
- გ. სამი ერთნაირი მნიშვნელობის არსებობას

11.4.13. CREATE INDEX ბრძანებაში CLUSTERED არგუმენტი მიუთითებს, რომ შესაქმნელი ინდექსი იქნება:

- ა. არაკლასტერული
- ბ. კლასტერული
- გ. როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული

11.4.14. CREATE INDEX ბრძანებაში NONCLUSTERED მიუთითებს, რომ შესაქმნელი ინდექსი იქნება:

- ა. არაკლასტერული
- ბ. კლასტერული
- გ. როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული

11.4.15. თუ CREATE INDEX ბრძანებაში მითითებულია ერთზე მეტი სვეტი, მაშინ ინდექსი:

- ა. იქნება შედგენილი
- ბ. არ იქნება შედგენილი
- გ. იქნება შეუდგენელი

11.4.16.ერთი შედგენილი ინდექსი შეიძლება შეიცავდეს:

- ა. 64-მდე სვეტს
- ბ. 16-მდე სვეტს
- გ. 8-მდე სვეტს

11.4.17.ინდექსის აგება:

- ა. დასაშვებია text, ntext ან image ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე
- ბ. დაუშვებელია text, ntext ან image ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე
- გ. დაუშვებელია int და nvarchar ტიპის მქონე სვეტების ბაზაზე

11.4.18.ინდექსში სვეტების სახელების მითითების მიმდევრობა გავლენას:

- ა. ახდენს მოთხოვნების შესრულების სხშირეზე
- ბ. არ ახდენს მოთხოვნების შესრულების მწარმოებლურობაზე
- გ. ახდენს მოთხოვნების შესრულების მწარმოებლურობაზე

11.4.19.მაქსიმალური მწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია:

- ა. მხოლოდ იმ სვეტების მითითება რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვთ
- ბ. თავდაპირველად იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვთ, შემდეგ კი იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მინიმალური სიგრძე აქვთ
- გ. თავდაპირველად იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მინიმალური სიგრძე აქვთ, შემდეგ კი იმ სვეტების სახელების მითითება, რომლებსაც მაქსიმალური სიგრძე აქვთ

11.4.20.თუ CREATE INDEX ბრძანებაში [ASC | DESC] არგუმენტი ინდექსში:

- ა. არ განსაზღვრავს საკვანძო ელემენტების დახარისხების მეთოდს
- ბ. განსაზღვრავს საკვანძო ელემენტების დახარისხების მეთოდს
- გ. ინდექსის შექმნის მეთოდს

11.4.21.CREATE INDEX ბრძანებაში თუ მითითებულია ASC არგუმენტი, მაშინ მონაცემები დალაგდება:

- ა. კლებადობის მიხედვით
- ბ. ზრდადობის მიხედვით
- გ. არც ზრდადობით და არც კლებადობით

11.4.22.CREATE INDEX ბრძანებაში თუ მითითებულია DESC არგუმენტი, მაშინ მონაცემები დალაგდება:

- ა. კლებადობის მიხედვით
- ბ. ზრდადობის მიხედვით
- გ. არც ზრდადობით და არც კლებადობით

11.4.23.CREATE INDEX ბრძანებაში ავტომატურად:

- ა. იგულისხმება როგორც ASC, ისე DESC
- ბ. იგულისხმება DESC
- გ. იგულისხმება ASC

11.4.24.CREATE INDEX ბრძანებაში 'FILLFACTOR = შევსების_ფაქტორი' აგრუმენტი:

- ა. განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი არ აქვს მხოლოდ

ინდექსის შექმნის დროს

ბ. განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი აქვს მხოლოდ ინდექსის შექმნის დროს

გ. არ განსაზღვრავს საინდექსო გვერდების შევსების ხარისხს და აზრი აქვს მხოლოდ ინდექსის შექმნის დროს

11.4.25.თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას (როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული) მითითებული იყო IGNORE_DUP_KEY არგუმენტი, მაშინ იმ ოპერაციის შესრულებისას, რომელიც იწვევს დუბლირებული მნიშვნელობების შექმნას, სერვერი:

ა. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვიეს

ბ. არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვიეს

გ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ და არ გააუქმებს მხოლოდ იმ სტრიქონების შეცვლას, რომლებმაც დუბლირება გამოიწვიეს

11.4.26.თუ უნიკალური ინდექსის შექმნისას (როგორც კლასტერული, ისე არაკლასტერული) IGNORE_DUP_KEY არგუმენტი არ იყო მითითებული, მაშინ იმ ოპერაციის შესრულებისას, რომელიც იწვევს დუბლირებული მნიშვნელობების შექმნას, სერვერი:

ა. არ გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ აუქმებს ყველა ცვლილებას

ბ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ აუქმებს ყველა ცვლილებას

გ. გასცემს შეტყობინებას შეცდომის შესახებ, მაგრამ არ აუქმებს ყველა ცვლილებას

11.4.27.თუ ცხრილში განსაზღვრული იყო ინდექსი იმავე სახელით, როგორც შესაქმნელ ინდექსს ექნება, მაშინ DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება:

ა. გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და არ შეასრულებს მის გადაწყობას

ბ. არ გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და შეასრულებს მის გადაწყობას

გ. გამოიწვევს არსებული ინდექსის ახლით შეცვლას და შეასრულებს მის გადაწყობას

11.4.28.CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია კლასტერული ინდექსების გადაწყობის დროს მაშინ, როცა ცხრილში:

ა. არაკლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა

ბ. კლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა

გ. კლასტერული და არაკლასტერული ინდექსების დიდი რაოდენობაა

11.4.29.თუ ჯერ წავშლით კლასტერულ ინდექსს, სერვერს მოუწევს ყველა:

ა. არაკლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები

ბ. კლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები

გ. კლასტერული და არაკლასტერული ინდექსის სტრუქტურის გადაწყობა, რათა შეცვალოს ცხრილის სტრიქონებზე მიმართვები

11.4.30.CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის მითითების შემთხვევაში სერვერი:

ა. არ შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად

ზრდის ინდექსის შექმნის სიჩქარეს

ბ. შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად ზრდის ინდექსის შექმნის სიჩქარეს

გ. არ შეასრულებს არაკლასტერული ინდექსების შუალედურ გადაწყობას, რაც მკვეთრად ამცირებს ინდექსის შექმნის სიჩქარეს

11.4.31.CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის გამოყენება ნებადართულია მაშინ, როცა მონაცემთა ბაზაში ცხრილისთვის ან წარმოდგენისთვის:

ა. არ არსებობს ამავე სახელის მქონე ინდექსი

ბ. უკვე არსებობს ამავე სახელის მქონე ინდექსი

გ. საერთოდ არ არსებობს ინდექსი

11.4.32.ინდექსი ყოველთვის იქმნება:

ა. მხოლოდ არამიმდინარე მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის

ბ. master მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის

გ. მხოლოდ მიმდინარე მონაცემთა ბაზის ცხრილის ან წარმოდგენისათვის

11.4.33.CREATE UNIQUE INDEX Ind_mobiluri ON Personal (mobiluri); ბრძანების შესრულების შედეგად:

ა. Personal ცხრილის mobiluri სვეტისთვის შეიქმნება უნიკალური Ind_mobiluri ინდექსი

ბ. Personal ცხრილის mobiluri სვეტისთვის არ შეიქმნება უნიკალური Ind_mobiluri ინდექსი

გ. Personal ცხრილის mobiluri სვეტისთვის შეიქმნება არაუნიკალური Ind_mobiluri ინდექსი

11.4.34.იმისათვის, რომ Personal ცხრილის mobiluri სვეტისთვის შევქმნათ უნიკალური Ind_mobiluri ინდექსი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

ა. CREATE INDEX Ind_mobiluri ON Personal (mobiluri);

ბ. CREATE UNIQUE INDEX Ind_mobiluri ON Personal (mobiluri);

გ. CREATE UNIQUE INDEX Ind_mobiluri ON Personal (qalaqi);

11.4.35.CREATE NONCLUSTERED INDEX Ind_qalaqi_gvari

ON Personal ([qalaqi] DESC, [gvari] ASC) WITH FILLFACTOR = 40; ბრძანების შესრულების შედეგად:

ა. Personal ცხრილის qalaqi და gvari სვეტებისთვის შეიქმნება Ind_qalaqi_gvari არაკლასტერული, შედგენილი ინდექსი. შევსების ფაქტორია 60%. qalaqi სვეტი დალაგებულია ზრდადობით, gvari სვეტი კი - კლებადობით

ბ. Personal ცხრილის qalaqi და gvari სვეტებისთვის შეიქმნება Ind_qalaqi_gvari უნიკალური, კლასტერული, შედგენილი ინდექსი. შევსების ფაქტორია 40%. qalaqi სვეტი დალაგებულია კლებადობით, gvari სვეტი კი - ზრდადობით

გ. Personal ცხრილის qalaqi და gvari სვეტებისთვის შეიქმნება Ind_qalaqi_gvari არაკლასტერული, შედგენილი ინდექსი. შევსების ფაქტორია 40%. qalaqi სვეტი დალაგებულია კლებადობით, gvari სვეტი კი - ზრდადობით

**ინდექსების მართვა. ინდექსისთვის სახელის შეცვლა. ინდექსის წაშლა.
ინდექსების გადაწყობა. ინდექსის შესახებ ინფორმაციის მიღება**

11.5.1. ინდექსისთვის სახელის შესაცვლელად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურა
- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. DROP INDEX ბრძანება

11.5.2. ინდექსის წასაშლელად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურა
- ბ. sp_help შენახული პროცედურა
- გ. DROP INDEX ბრძანება

11.5.3. ერთი DROP INDEX ბრძანებით:

- ა. შეიძლება რამდენიმე ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში
- ბ. არ შეიძლება რამდენიმე ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში
- გ. შეიძლება მხოლოდ ერთი ინდექსის წაშლა ნებისმიერ ცხრილში

11.5.4. დროთა განმავლობაში საინდექსო ცხრილების შევსების ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება, რასაც:

- ა. არ მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან
- ბ. მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის ამაღლებასთან
- გ. მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან

11.5.5. დროთა განმავლობაში საინდექსო ცხრილების შევსების ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება, რასაც მივყავართ ცხრილში მონაცემების დამატებისა და შეცვლის ოპერაციების მწარმოებლურობის დაქვეითებასთან. ასეთ შემთხვევებში:

- ა. უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის გაუქმების მიზნით
- ბ. უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის მოწესრიგების მიზნით
- გ. არ უნდა შევასრულოთ ინდექსის გადაწყობა საინდექსო გვერდებზე თავისუფალი ადგილის მოწესრიგების მიზნით

11.5.6. ინდექსის გადაწყობის გზით:

- ა. შესაძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შემადგენლობის შეცვლა
- ბ. შესაძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შემადგენლობის გაუქმება
- გ. შეუძლებელია ინდექსში შემავალი სვეტების შემადგენლობის შეცვლა

11.5.7. ინდექსის გადაწყობის ერთ-ერთი გზაა:

- ა. ინდექსისთვის სახელის შეცვლა
- ბ. ინდექსის წაშლა
- გ. ინდექსის წაშლა და მისი ხელახლა შექმნა

11.5.8. ინდექსის გადაწყობის ეფექტური გზაა:

- ა. ინდექსის წაშლა და მისი ხელახლა შექმნა

- ბ. CREATE INDEX ბრძანებაში DROP_EXISTING არგუმენტის მითითება
- გ. ინდექსისთვის სახელის შეცვლა

11.5.9. ინდექსის გადაწყობის მესამე გზაა:

- ა. DBCC DBREINDEX ბრძანების გამოყენება
- ბ. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება
- გ. sp_help შენახული პროცედურის გამოყენება

11.5.10. ინდექსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება:

- ა. sp_helpindex შენახული პროცედურა
- ბ. sp_help შენახული პროცედურის გამოყენება
- გ. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება

11.5.11. ინდექსის თვისებების სანახავად გამოიყენება:

- ა. sp_rename შენახული პროცედურის გამოყენება
- ბ. INDEXPROPERTY ბრძანება
- გ. DBCC DBREINDEX ბრძანების გამოყენება

11.5.12. თუ ინდექსის თვისება დაყენებულია, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

11.5.13. თუ ინდექსის თვისება დაყენებული არაა, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

11.5.14. თუ ინდექსის თვისების მდგომარეობის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ გაიცემა:

- ა. NULL
- ბ. 0
- გ. 1

11.5.15. თუ ინდექსის Is Clustered თვისება 1 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. კლასტერულია
- ბ. არაკლასტერულია
- გ. განუსაზღვრელია

11.5.16. თუ ინდექსის Is Clustered თვისება 0 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. კლასტერულია
- ბ. არაკლასტერულია
- გ. განუსაზღვრელია

11.5.17. თუ ინდექსის Is Unique თვისება 1 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. არის უნიკალურიც და არაუნიკალურიც
- ბ. არ არის უნიკალური

გ. უნიკალურია

11.5.18.თუ ინდექსის IsUnique თვისება 0 მდგომარეობაშია, მაშინ ინდექსი:

- ა. არ არის უნიკალური
- ბ. უნიკალურია
- გ. არის უნიკალურიც და არაუნიკალურიც

11.5.19.EXEC sp_rename 'Personali.Ind_ganyofileba', 'IndGanyofileba', 'INDEX'; შენახული პროცედურის შესრულების შედეგად:

- ა. Personali ცხრილში Ind_ganyofileba ინდექსს არ დაერქმევა ახალი IndGanyofileba სახელი
- ბ. Personali ცხრილში Ind_ganyofileba ინდექსს დაერქმევა ახალი IndGanyofileba სახელი
- გ. Personali ცხრილში IndGanyofileba ინდექსს დაერქმევა ახალი Ind_ganyofileba სახელი

11.5.20.იმისათვის, რომ Personali ცხრილში Ind_ganyofileba ინდექსს დაერქმევა ახალი IndGanyofileba სახელი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. sp_rename 'Personali.Ind_ganyofileba', 'IndGanyofileba';
- ბ. sp_rename 'Personali.Ind_ganyofileba', 'IndGanyofileba', 'COLUMN';
- გ. sp_rename 'Personali.Ind_ganyofileba', 'IndGanyofileba', 'INDEX';

11.5.21.DROP INDEX Personali.Ind_qalaqi_gvari; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. Personali ცხრილიდან წაიშლება Ind_qalaqi_gvari ინდექსი
- ბ. Personali ცხრილიდან არ წაიშლება Ind_qalaqi_gvari ინდექსი
- გ. Personali ცხრილიდან წაიშლება Ind_qalaqi_gvari სვეტი

11.5.22.იმისათვის, რომ Personali ცხრილიდან წავშალოთ Ind_qalaqi_gvari ინდექსი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. CREATE INDEX Personali.Ind_qalaqi_gvari;
- ბ. DROP Personali.Ind_qalaqi_gvari;
- გ. DROP INDEX Personali.Ind_qalaqi_gvari;

11.5.23.DBCC DBREINDEX ('Personali', PK_Personali, 80); ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. შესრულდება Personali ცხრილის PK_Personali ინდექსის გადაწყობა. შევსების ფაქტორია 80
- ბ. არ შესრულდება Personali ცხრილის PK_Personali ინდექსის გადაწყობა. შევსების ფაქტორია 80
- გ. შესრულდება Personali ცხრილის PK_Personali10 ინდექსის გადაწყობა. შევსების ფაქტორია 60

11.5.24.იმისათვის, რომ გადავაწყოთ Personali ცხრილის PK_Personali ინდექსი, უნდა შევასრულოთ ბრძანება:

- ა. DBCC DBREINDEX ('Personali', Ind_Personali);
- ბ. DBCC DBREINDEX ('Personali', PK_Personali);
- გ. DBREINDEX ('Personali', PK_Personali);

11.5.25.EXEC sp_helpindex 'Personali'; ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. გაიცემა ინფორმაცია Shemkveti ცხრილის ინდექსების შესახებ

- ბ. არ გაიცემა ინფორმაცია Personali ცხრილის ინდექსების შესახებ
- გ. გაიცემა ინფორმაცია Personali ცხრილის ინდექსების შესახებ

თავი 12. წარმოღვენები

შესავალი

12.1.1. წარმოდგენა არის:

- ა. ლოგიკური ცხრილი
- ბ. ფიზიკური ცხრილი
- გ. ვირტუალური ცხრილი

12.1.2. წარმოდგენა შედგება სვეტებისა და სტრიქონებისაგან, რომლებიც:

- ა. დინამიურად ამოირჩევა ერთი ან მეტი ცხრილიდან და/ან წარმოდგენიდან
- ბ. სტატიკურად ამოირჩევა ერთი ან მეტი ცხრილიდან ან წარმოდგენიდან
- გ. დინამიურად ამოირჩევა მხოლოდ ორი ცხრილიდან

12.1.3. ფიზიკურად წარმოდგენას აქვს:

- ა. INSERT მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზეც სრულდება მონაცემების ამორჩევა
- ბ. SELECT მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზეც სრულდება მონაცემების ამორჩევა
- გ. UPDATE მოთხოვნის სახე, რომლის საფუძველზეც სრულდება მონაცემების ამორჩევა

12.1.4. თუ წარმოდგენაში ჩართული არ არის ცხრილის რომელიმე სვეტი, მაშინ ცხრილზე დადებულია:

- ა. ვერტიკალური ფილტრი
- ბ. ჰორიზონტალური ფილტრი
- გ. დიაგონალური ფილტრი

12.1.5. თუ მოთხოვნა შეიცავს სტრიქონების ამორჩევის პირობებს, მაშინ ცხრილზე დადებულია:

- ა. დიაგონალური ფილტრი
- ბ. ჰორიზონტალური ფილტრი
- გ. ვერტიკალური ფილტრი

12.1.6. წარმოდგენა ბმული ცხრილების სვეტებს:

- ა. შეიძლება შეიცავდეს
- ბ. არ შეიძლება შეიცავდეს
- გ. არ უნდა შეიცავდეს

12.1.7. წარმოდგენასთან მიმართვის დროს სერვერი:

- ა. არ ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი SELECT მოთხოვნის შესასრულებლად
- ბ. ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი UPDATE მოთხოვნის შესასრულებლად
- გ. ამოწმებს იმ ობიექტების არსებობას, რომლებიც საჭიროა წარმოდგენის განმსაზღვრელი SELECT მოთხოვნის შესასრულებლად

12.1.8. თუ SELECT მოთხოვნაში მითითებული რომელიმე ცხრილი წაშლილია, მაშინ წარმოდგენა:

- ა. ვერ იმუშავებს და არ გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ
- ბ. მაინც იმუშავებს და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

გ. ვერ იმუშავებს და გაიცემა შეტყობინება შეცდომის შესახებ

12.1.9. წარმოდგენა ყოველთვის იქმნება მიმდინარე მონაცემთა ბაზაში:

- ა. model მონაცემთა ბაზაში
- ბ. master მონაცემთა ბაზაში
- გ. მიმდინარე მონაცემთა ბაზაში

12.1.10. განაწილებული მოთხოვნების გამოყენებით:

- ა. შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებს და არ შეგვიძლია მივმართოთ წარმოდგენებს
- ბ. არ შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებსა და წარმოდგენებს
- გ. შეგვიძლია მივმართოთ მიმდინარე სერვერის სხვა მონაცემთა ბაზებში შექმნილ ცხრილებსა და წარმოდგენებს

12.1.11. ერთი მომხმარებლის წარმოდგენებს:

- ა. ხანდახან შეიძლება ერთნაირი სახელები ჰქონდეს
- ბ. ერთნაირი სახელები უნდა ჰქონდეს
- გ. სხვადასხვა სახელები უნდა ჰქონდეს

12.1.12. წარმოდგენისა და ცხრილის სახელი ერთმანეთს:

- ა. ხანდახან შეიძლება ემთხვეოდეს
- ბ. არ უნდა ემთხვეოდეს
- გ. უნდა ემთხვეოდეს

12.1.13. თუ წარმოდგენაში სვეტი მიღებულია არითმეტიკული გამოსახულების გამოთვლის გზით, მაშინ:

- ა. წარმოდგენის სვეტს სახელი უნდა მივანიჭოთ
- ბ. წარმოდგენის სტრიქონს სახელი უნდა მივანიჭოთ
- გ. წარმოდგენის სვეტს სახელი არ უნდა მივანიჭოთ

12.1.14. თუ წარმოდგენაში ორ ან მეტ სვეტს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი სახელები, მაშინ:

- ა. წარმოდგენის სვეტს სახელი უნდა მივანიჭოთ
- ბ. წარმოდგენის სვეტს სახელი არ უნდა მივანიჭოთ
- გ. წარმოდგენის სტრიქონს სახელი უნდა მივანიჭოთ

12.1.15. წარმოდგენა დროებით ცხრილებს:

- ა. შეიძლება მიმართავდეს
- ბ. არ შეიძლება მიმართავდეს
- გ. ხანდახან შეიძლება მიმართავდეს

12.1.16. დროებითი წარმოდგენის შექმნა:

- ა. შეიძლება
- ბ. ხანდახან შეიძლება
- გ. არ შეიძლება

12.1.17.რადგან წარმოდგენა მონაცემებს სხვადასხვა ცხრილებიდან და წარმოდგენებიდან ირჩევს, ამიტომ მისთვის:

- ა. არ შეიძლება განისაზღვროს მთლიანობაზე შეზღუდვები, ტრიგერები და ავტომატური მნიშვნელობები
- ბ. შეიძლება განისაზღვროს მთლიანობაზე შეზღუდვები, ტრიგერები და ავტომატური მნიშვნელობები
- გ. არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მთლიანობაზე შეზღუდვები

12.1.18.წარმოდგენისთვის ჩვეულებრივი ან სრულტექსტოვანი ინდექსის შექმნა:

- ა. შეიძლება
- ბ. არ შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

12.1.19.წარმოდგენის სვეტებისათვის ნაგულისხმევი მნიშვნელობები:

- ა. ხანდახან შეიძლება განვსაზღვროთ
- ბ. შეიძლება განვსაზღვროთ
- გ. არ შეიძლება განვსაზღვროთ

12.1.20.წარმოდგენისთვის SELECT მოთხოვნის განსაზღვრისას:

- ა. არ შეიძლება მხოლოდ OPTION, ORDER BY განყოფილებების გამოყენება
- ბ. შეიძლება OPTION, ORDER BY, COMPUTE BY, COMPUTE და INTO განყოფილებების გამოყენება
- გ. არ შეიძლება OPTION, ORDER BY, COMPUTE BY, COMPUTE და INTO განყოფილებების გამოყენება

12.1.21.წარმოდგენისთვის SELECT მოთხოვნის განსაზღვრისას ORDER BY განყოფილების გამოყენება:

- ა. შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია OPTION სიტყვა
- ბ. არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია TOP სიტყვა
- გ. შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მითითებულია TOP სიტყვა

12.1.22.წარმოდგენის საშუალებით:

- ა. არ შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობენ
- ბ. შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობენ
- გ. შეიძლება მონაცემების ცვლილება იმ ცხრილებში, რომლებიც წარმოდგენაში არ მონაწილეობენ

12.1.23.წარმოდგენის საშუალებით რამდენიმე ცხრილში მონაცემების შეცვლა:

- ა. არ შეიძლება
- ბ. შეიძლება
- გ. ხანდახან შეიძლება

12.1.24.ერთმა UPDATE ან INSERT ბრძანებამ მონაცემები წარმოდგენის:

- ა. მხოლოდ ერთ ცხრილში უნდა შეცვალოს

- ბ. მხოლოდ ორ ცხრილში უნდა შეცვალოს
- გ. მხოლოდ სამ ცხრილში უნდა შეცვალოს

წარმოდგენის შექმნა

12.2.1. წარმოდგენის შესაქმნელად გამოიყენება:

- ა. CREATE TABLE ბრძანება
- ბ. CREATE INDEX ბრძანება
- გ. CREATE VIEW ბრძანება

12.2.2. ავტომატურად, წარმოდგენაში სვეტების სახელები:

- ა. ემთხვევა საწყისი ცხრილების სვეტების სახელებს
- ბ. არ ემთხვევა საწყისი ცხრილების სვეტების სახელებს
- გ. ემთხვევა საწყისი ცხრილების სტრიქონების სახელებს

12.2.3. წარმოდგენაში სვეტის სახელი აშკარად უნდა მივუთითოთ შემდეგ შემთხვევებში:

- ა. 1. როცა სვეტის მნიშვნელობა არ ფორმირდება არითმეტიკული გამოსახულების, ფუნქციის ან მუდმივას საფუძველზე; 2. როცა წარმოდგენის სვეტს არ უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება
- ბ. 1. როცა სვეტის მნიშვნელობა ფორმირდება არითმეტიკული გამოსახულების, ფუნქციის ან მუდმივას საფუძველზე; 2. როცა ორ ან მეტ სვეტს აქვს ერთნაირი სახელი; 3. როცა წარმოდგენის სვეტს უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება
- გ. 1. როცა ორ ან მეტ სვეტს არ აქვს ერთნაირი სახელი; 2. როცა წარმოდგენის სვეტს უნდა ჰქონდეს იმ სვეტისაგან განსხვავებული სახელი, რომლისგანაც ის მიიღება

12.2.4. CREATE VIEW ბრძანების ENCRYPTION არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის დაშიფვრა
- ბ. უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის გაშიფვრა
- გ. უნდა მოხდეს წარმოდგენის კოდის დაშიფვრა

12.2.5. CREATE VIEW ბრძანების SCHEMABINDING არგუმენტი თუ მითითებულია წარმოდგენის შექმნის დროს, მაშინ სერვერი წარმოდგენის სტრუქტურას:

- ა. დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც UPDATE მოთხოვნა მიმართავს
- ბ. არ დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც SELECT მოთხოვნა მიმართავს
- გ. დააკავშირებს იმ ობიექტების სტრუქტურასთან, რომლებსაც SELECT მოთხოვნა მიმართავს

12.2.6. CREATE VIEW ბრძანების WITH CHECK OPTION არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- ა. არ უნდა შესრულდეს იმ ცვლილებების შემოწმება, რომლებიც წარმოდგენის საშუალებით შესრულდება
- ბ. უნდა შესრულდეს იმ ცვლილებების შემოწმება, რომლებიც წარმოდგენის საშუალებით შესრულდება
- გ. უნდა შესრულდეს იმ ცვლილებების შემოწმება, რომლებიც წარმოდგენის საშუალებით

არ შესრულდება

12.2.7. წარმოდგენის სახელი ინახება:

- ა. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- გ. master მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში

12.2.8. წარმოდგენის კოდი ინახება:

- ა. master მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- გ. model მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში

12.2.9. ინფორმაცია წარმოდგენის საწყის ცხრილებზე დამოკიდებულების შესახებ ინახება:

- ა. მიმდინარე მონაცემთა ბაზის syscomments სისტემურ წარმოდგენაში
- ბ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sys.objects სისტემურ წარმოდგენაში
- გ. მიმდინარე მონაცემთა ბაზის sysdepends სისტემურ წარმოდგენაში

12.2.10.CREATE VIEW View_1

```
AS  
SELECT *  
FROM Xelshekruleba  
WHERE vali_1 > 0;
```

ბრძანების შესრულების შედეგად:

- ა. შეიქმნება წარმოდგენა, რომელშიც გამოჩნდება Xelshekruleba ცხრილის ყველა სვეტი და ინფორმაცია მევალების შესახებ
- ბ. არ შეიქმნება წარმოდგენა, რომელშიც გამოჩნდება Xelshekruleba ცხრილის ყველა სვეტი და ინფორმაცია მევალების შესახებ
